

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



მეოთხე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

მიძღვნილი პროფ. ალექსი ლეკიაშვილის  
90 წლის იუბილესადმი

თბილისი  
2010

## მარინა ალექსიძე

### ზოგიერთი ნაწილაკის ფუნქციონირებისათვის “შეგულიანების” სამეტყველო აქტებში

თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებს ახასიათებს საგანთა შესწავლის სიმრავლე. ლინგვისტურ ობიექტთა იერარქიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთი მეტყველების ნაწილების შესწავლასაც, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა (კავშირები, ნაწილაკები, შორისდებულები, თანდებულები). ასეთი, არც ისე მარტივი, ობიექტების შესწავლის შესაძლებლობას განაპირობებს სემანტიკისა და პრაგმატიკის თეორიის განვითარების თანამედროვე დონე. ამგვარ ლექსიკურ ერთეულებს, მართალია, არ გააჩნიათ დამოუკიდებელი სემანტიკა, მაგრამ ისინი ატარებენ გარკვეულ პრაგმატულ მნიშვნელობებს, რომლებიც ძნელად აღსაქმელია უცხოელისათვის. ამიტომ ამ სფეროში მიმდინარე კვლევები აქტუალურია, პირველ რიგში, რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდისათვის. დამოუკიდებელი მნიშვნელობის არ მქონე სიტყვათა გამოყენება მეტყველებაში წარმოადგენს უცხო ენის ფლობის საკმაოდ მაღალი დონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რადგან ამგვარი სიტყვების სიუხვე პრინციპულად განასხვავებს ენის მატარებლის მეტყველებას უცხოელის მეტყველებისაგან.

ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ზოგიერთი ნაწილაკი “შეგულიანების” სემანტიკის მქონე გამონათქვამებში. ამგვარი კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნაწილაკების ფართო გამოყენება: გამაძლიერებელი პოსტპოზიციური ნაწილაკის – *же*, “მოდალურ-ნებელობითი” პოსტპოზიციური ნაწილაკის –*ка*, “შემარბილებელი” ნაწილაკის *пожалуйста*, მოდალური ნაწილაკის *ну, а ну, а ну-ка*. აღნიშნული ერთეულები არ წარმოადგენენ დასახელებული ტიპის გამონათქვამების აუცილებელ, სტრუქტურულად განპირობებულ კომპონენტს. ისინი არა ცვლიან “შეგულიანების” სახეობას და მასში მხოლოდ დამატებითი სემანტიკური ელემენტების შემომტანებად გვევლინებიან. იმისდა მიუხედავად, არის ნაწილაკი მოცემულ გამონათქვამში – ბრძანებაში თუ თხოვნაში – თუ არა, ბრძანება ბრძანებად რჩება, თხოვნა კი – თხოვნად. დასახელებული ნაწილაკები შერჩევით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ “შეგულიანების” სხვადასხვა სახეობის მიმართ. მაგალითად, ნაწილაკი *пожалуйста* არ იხმარება “რჩევის” სამეტყველო აქტის დროს.

ერთსა და იმავე ნაწილაკს წინადადებისათვის სხვადასხვა სემანტიკური ელფერის მიცემა შეუძლია, იმის მიხედვით, თუ “შეგულიანების” რომელ სახეობაში ხდება მისი გამოყენება. მაგალითად, “თხოვნის” დროს ნაწილაკ *ну*-ს “ინტენსიურობის” სემანტიკური ელფერი შემოაქვს, “ნებართვის” დროს კი – “სურვილის უქონლობის გადალახვის” სემანტიკური ელფერი.

ამა თუ იმ ნაწილაკის გამოყენება დამოკიდებულია აგრეთვე კომუნიკანტების სოციალურ სტატუსზე.

## ლელა ალექსიძე

### კოსმოსი როგორც თეატრალური სცენა პლოტინის ონტო-ანთროპოლოგიაში

პლოტინი III 2 ენეადაში ადარებს სამყაროს თეატრალურ სცენას, ადამიანებს კი – მსახიობებს. თეატრის ანალოგიას პლოტინის შემოქმედებაში ფართო ადგილი არ უკავია, მაგრამ შინაარსობლივად მას დიდი დატვირთვა აქვს: სცენა – კოსმოსია, პიესა – კოსმიური დრამაა, მსახიობები და მათი როლების განაწილება პლოტინის ონტოლოგიის კონტექსტში ადამიანის ადგილისა და თავისებურებების გამოხატულებაა. სცენა არის სახე-სიმბოლო – შუალედური რგოლი ინტელიგიბილურ სამყაროსა და ადამიანებს შორის. სცენა ერთგვარი „ადგილია“, სადაც უზენაესი განგება – ღვთაებრივი წინასწარჭვრეტა სივრცობლივ განფენილობაში ბედისწერის სახით იშლება და მსახიობთა როლებით გათამაშდება.

მსოფლიო გეგმა მრავალფეროვნებას ითვალისწინებს. ამიტომ დრამა მხოლოდ გმირებისგან არ შედგება: მასში მეორეხარისხოვანი პერსონაჟები და კორდებალეტიც მონაწილეობს. სოლისტი კი არ არის მთავარი, არამედ თითოეულმა მსახიობმა თავისი ინდივიდუალური ტონით ხელი უნდა შეუწყოს საყოველთაო ჰარმონიას. როგორც სცენაზე არის ადგილი სხვადასხვა დონის და მნიშვნელობის მსახიობისთვის, ასევე უნივერსუმში არის ადგილი სხვადასხვა ტიპის – არა ურთიერთთანასწორი სულებისთვის. ადამიანი მსოფლიო დრამაში სწორ ადგილას არის დაყენებული, რომელიც შეიძლება საპატიო ან ნაკლებად საპატიო იყოს.

კარგი და ცუდი მსახიობები შესაბამის როლებს იღებენ და მათ შესაბამისი ადგილი მიეჩინებათ. მსახიობს არ შეუძლია ცუდი თამაშით პიესა გააფუჭოს (შესაბამისად, სამყაროში ცუდი მოვლენები კოსმიური გეგმის სიცუდეს არ გამოხატავენ), თუნდაც თავად მსახიობი დაითხოვონ. ინდივიდისთვის სიცუდე არ ნიშნავს საყოველთაოდ ცუდს; სიკვდილი ერთგვარად სხეულის გამოცვლაა – ისევე, როგორც მსახიობი იცვლის კოსტიუმს.

ბუნებრივი კლება კოსმიურ გეგმაშია ნაგულისხმევი, თუნდაც მის მიერ არ იყოს გამოწვეული. ეს განაპირობებს უთანაბრობასაც. შემოქმედის ნებამ კი არ განსაზღვრა უთანასწორობა უნივერსუმში, არამედ გონით სფეროში განხორციელებულმა ბუნებრივმა საფეხურეობრიობამ.

პოეტმა ლიბრეტოში ცარიელი ადგილები არ უნდა დატოვოს მსახიობების თავისუფალი ნების გადასარჩენად. ლიბრეტოში არ არის ცარიელი ადგილები, რომლებსაც მსახიობი თვითონ ავსებს. ადამიანი არაა შემთხვევითი ეპიზოდი, ის ლიბრეტოშია გათვალისწინებული. მართალია, ადამიანს გააჩნია თავისუფალი საწყისი საკუთარ თავში, მაგრამ ინდივიდუალური თავისუფლება შეზღუდულია უნივერსუმში არსებული სიმპათიით, რომლის ერთ ნაწილს ადამიანიც წარმოადგენს. ამავე დროს, ადამიანი არც მხოლოდ უნივერსუმის ნაწილია, ის საკუთრივი მთელიც არის.

თეატრალური სცენა პლოტინთან ერთგვარია ანალოგია „ადგილისა“, სადაც კოსმიური დრამა სრულდება: ღვთაებრივი განგება მიწიერ ბედისწერად გამოვლინდება, და ადამიანი / მსახიობი, კოსმიური გეგმისა და პირადი თავისუფლების ჭიდილში, თავის როლს ასრულებს.

## ნათია ამირეჯიბი

### ფსიქოლოგიური პროზის თარგმნის საკითხისათვის

ფსიქოლოგიური პროზა (რომანი, მოთხრობა და ა.შ.) მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა XX საუკუნეში შეიძინა. აღნიშნული ჟანრი იმდენად “კანონიკური” გახდა, რომ მას ხშირად ზოგადად რომანის სინონიმად და ნორმატიული პოეტიკის უმთავრეს კატეგორიად აღიქვამენ.

როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიური პროზის ცენტრში დგას სუბიექტი, “შინაგანი ადამიანი”, “შინაგანი მე”, ანუ იგი “სულის დიალექტიკას” ასახავს მხატვრული სიტყვის საშუალებებით. მწერალი თავისი გმირის ცნობიერსა და ქვეცნობიერში იჭრება და მის სულიერ სამყაროს ასახავს. როგორც მრავალი ევროპელი მკვლევარი აღნიშნავს, ფსიქოლოგიური პროზის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ქრისტიანობამ ითამაშა, რადგან სწორედ აქ წამოიწია წინ ადამიანის ინდივიდუალურმა საწყისმა.

ამ ტიპის ნაწარმოებების თარგმნისას სწორად უნდა შეირჩეს თხრობის სტილი და ორიგინალის შესაბამისად, ზედმიწევნით უნდა გადავიდეს ესა თუ ის თხზულება სხვა ენაზე. მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთი ნაწარმოები ხშირად “უმოქმედო” მოქმედ პირს გვიხატავს, რადგან ყოველგვარი აქცია გონების ვიწრო ჩარჩოებს შლის და შინაგანიდან გარე სამყაროში გადადის. რა თქმა უნდა, გარემოცვა აქაც არსებობს, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ ფონია, ავტორი მხოლოდ ადამიანის განცდებსა და ფიქრებს უღრმავდება. ამიტომ აქცენტების შენარჩუნებას თარგმანში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ენიჭება. მიმღები ენის საშუალებებით უნდა იქნას გადმოცემული ყოველი წვრილმანი, რადგან ამგვარ ნაწარმოებში სწორედ წვრილმანია ხშირად გადამწყვეტი. მთარგმნელმა უნდა შენიშნოს და შესაბამისად გადმოიტანოს ის ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს ფსიქოლოგიური ტალღა.

## თამარ ალფენიძე

### ესქატოლოგია ორჰან ფამუქის “შავი წიგნის მიხედვით

ორჰან ფამუქის “შავი წიგნი” ადამიანთა ცხოვრებასავით მრავალთემატურია და, ამავე დროს, ერთ ძირითად პრინციპზეა აგებული. “ამ ცხოვრების” თავისებური აღქმა მწერალს ესეებისა და რომანის შინაარსის გადმოცემის ერთმანეთის მონაცვლეობით ერთ მთლიანობად აქვს აკინძული.

შავი წიგნის თემატიკა მოიცავს ოსმალეთის ისტორიას, მის კრიტიკას, სტამბოლის ადგილს და როლს ამ ისტორიაში, მის სიმბოლურობას, სუფიზმის ორსახოვნებას, ისლამის სიბნელეს, აღმოსავლურ პოეზიის ღირებულებებს, თურქული საზოგადოების აღმოსავლურიდან დასავლური ღირებულებებისკენ გარდამავალი პერიოდის მახასიათებლებს, ანტიქრისტეს საბოლოო გაბრძოლებას და ესქატოლოგიის თემატიკას, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ყველა ეს თემა ადამიანის გარშემო იყრის თავს. “შავი წიგნის” ერთ-ერთი ბოლო თავია ფ. დოსტოევსკის “ძმები კარამაზოვების” დიდი ინკვიზიტორისა და ქრისტეს ე.წ. “დიალოგის” ამსახველი თავის ფამუქისეული გამოძახილი. ო. ფამუქმა ღმერთზე გაბრაზებული ადამიანის სულიერი მდგომარეობის ამსახველი, ვატიკანიდან და კათოლიკური ეკლესიის სისუსტეებიდან გამომდინარე, მიზეზ-შედეგობრივი სიყვარულის დაკარგვის შესახებ თავი – “დიდი ინკვიზიტორი” თანამედროვეობაში გადმოიტანა და მას წმინდა პოსტმოდერნისტული ელფერი შესძინა. ინკვიზიტორი “მეჰმედი” (სიმბოლურად კონსტანტინეპოლის დამპყრობელის ფათის მეჰმედის სეხნია) სრულიად შემთხვევით კლავს ქრისტეს – ჯელალს (დიდებას), რაც პოსტმოდერნისტული რეალობის სახეა ო. ფამუქის მიხედვით. თურქი მწერალი რომანის პირველსავე თავში – როცა ბოსფორის წყლები მიიქცევიან – რომანის ამგვარი დასასრულის წინასახეს ქმნის ბოლო ჟამის ადამიანის სახით, რომლისაც არ გააჩნია საკუთარ ეგოზე აღმატებული რაიმე ღირებული. ფ. დოსტოევსკის უღმერთობასთან, განათლებას მოკლებულ “განმანათლებლობასთან” მეზრძოლი და ისტორიის გარდაუვალი განვითარების შედეგად წინასწარ განჭვრეტილი მომავლის ზუსტ ასახვას და აღწერას წარმოადგენს ო. ფამუქის თანამედროვე ადამიანის სულიერი ხედვა, რომელიც დაცლილია სულიერებისგან. ნაწარმოების პირველსავე თავში ორჰან ფამუქი სამყაროს დასასრულზე მიგვითითებს, რაც დაცემული ადამიანების ცხოვრების გამოძახილია: “ბოსფორის სრუტე შავ ჭაობს დაემსგავსება, – ამბობს ორჰან ფამუქი, სილამაზე ნელ-ნელა, შეუმჩნევლად სიმახინჯედ გადაქცევა, ცხოვრების რიტმი შეუმჩნევლად შეეჩვევა ამ სიმახინჯეს და ასეთ ყოფას მშვიდად მორგებული განაგრძობს არსებობას და არა ცხოვრებას, არა ქმნას, და უცებ დადგება სინამდვილის წინაშე, როცა ბოსფორის სრუტის წყალი მიიქცევა და მოულოდნელად დაშრება, მის ფსკერზე გამოჩნდება მისი წარსული, ისტორიისგან დარჩენილი ნაშთების სახით, სინამდვილე, რომელიც ადამიანებს ამხელს საკუთარი თავის წინაშე, თუ რანი იყვნენ და რანი არიან ახლა”.

ორჰან ფამუქი, ისევე როგორც ფ. დოსტოვესკი, გვიხატავს ცოდვისგან თვალდაბნელებულ სამყაროს, რომელიც მოხიბლულია თავისი საზიზღარი სახით, ყალბ ღირებულებებზე ორიენტირებულს არ აქვს შეგრძნება, რომ დაკარგა სული, ღმერთის ხატება.

## ფატი ანთაძე

### “გლახ//ვაგლახ” – ნომინაციური ეტიმონიდან კომუნიკაციურ ნასესხობამდე

სპარსულ ენობრივ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მანძილზე ქართულში ნომინაციურ ერთეულთა პარალელურად კომუნიკაციური შინაარსის ერთეულითაც, კერძოდ, შორისდებულები შემოდიოდა. სპარსული წარმომავლობის კომუნიკაციურ ერთეულთა შემოსვლა - დამკვიდრება სავარაუდოდ ზეპირმეტყველებითი კონტაქტებით იყო განპირობებული. ამგვარი ერთეულები ძირითადად ახალ სპარსულ ენობრივ ეპოქაშია შემოსული. მათი ეტიმონები მეტწილად გრამატიკულ პოლისემანტებს წარმოადგენენ და სპარსულში ფუნქციონირებენ როგორც ნომინაციური ერთეულების (სახელების), ასევე კომუნიკაციური ერთეულების (შორისდებულების) სახით. ქართულში მათგან მომდინარე ნასესხობებს მხოლოდ კომუნიკაციური დატვირთვა აქვს.

გამონაკლისს წარმოადგენს “გლახ//ვაგლახ” შორისდებული, რომლის ეტიმონი ნომინაციური ერთეულია. ყურადღებას იპყრობს ამ ნასესხობის შემოსვლის ენობრივი პერიოდიც. ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით, “ვაი”-ს შემდეგ ის ქართულში დამკვიდრებული საშუალო სპარსული წარმომავლობის ერთადერთი კომუნიკაციური

ერთეულია. კომუნიკაციურ ერთეულთა შემოსვლის ფაქტი საშუალო სპარსულსა და ქართულს შორის არსებულ ცოცხალ სასაუბრო ურთიერთობაზე მიგვანიშნებს.

“გლახ//ვაგლახ”-ის ეტიმონ “gilah//gilak”-ის მნიშვნელობაა “ტირილი, ჩივილი, ვაება”. აკად. მ. ანდრონიკაშვილს ამ საშუალო სპარსული სიტყვით “გლახ//ვაგლახ”-ის გარდა ეტომოლოგიზებული აქვს ნომინაციური ერთეულებიც – “გლახა”, “გლახაკი”, “გლეხი”. ამგვარად gilah//gilak-ს ქართულში დაეფუძნა როგორც ნომინაციური, ასევე კომუნიკაციური ერთეულიც.

“ვაგლახ” ფორმა წარმოადგენს საშუალო სპარსულ კომუნიკაციურ ერთეულ “vā(i)”-სა და ნომინაციური ერთეულ “gilah//gilak”-ზე დაფუძნებულ ნასესხობათა კონტამინაციას.

თავისთავად “ვაგლახ”-მა ქართულში დერივაციული აქტივობა გამოავლინა და საფუძვლად დაედო რიგ ნომინაციურ ერთეულებს “ვაგლახი”, “ვაი-ვაგლახი”, “ვაგლახად”, “ვაგლახებს” და ასევე კლიტიკიან შორისდებულს “ვაგლახმე”.

სადღეისოდ “ვაგლახ” აღიქმება სტილისტურად მარკირებულ, მწიგნობრულ-არქაული ელფერის სიტყვად, ის მეტწილად ჩანაცვლებულია ახალსპარსული წარმომავლობის “აფსუს”-ით.

ენის მატარებლები “აფსუს”-ისაგან განსხვავებით, “ვაგლახ”-ს ძირეულ ქართულ სიტყვად აღიქვამენ, რისი მიზეზიც ქართულში “ვაგლახ”-ის დამკვიდრების ხანგრძლივობაა, რადგან ნასესხობის სიძველე ხელს უწყობს მის გათავისებას, მკვიდრ ერთეულად აღქმას მსესხებელი ენის მატარებელთა მიერ.

## მაია ანდრონიკაშვილი

### სიტყვის ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური და გრაფიკული თავისებურებები არაბულში

არაბული ენის ტიპოლოგიური განვითარების შესწავლისთვის მნიშვნელოვანი შტრიხი ჩანს ფაქტი, რომლის არსი ვლინდება იმ მოვლენაში, რომ ტრადიციული არაბული მოდელისათვის ყოველთვის არ ხერხდება კონკრეტული მორფოლოგიური შინაარსის მიწერა (ე. წ. გვარის ფორმები ზოგ ნაწარმოებ თემაში).

XX ს-ის გამოჩენილ ლინგვისტთა ნაწილი ადასტურებს სალიტერატურო არაბულში ფუზიის არსებობას (სეპირი, ფორტუნატოვი და სხვ.), ნაწილი კი უარყოფს ამას (ლეკიაშვილი). ორივე თვალსაზრისს საკმარისი არგუმენტაცია აქვს, მაგრამ ერთი რამ კი ნათელია: ასეთი პოლარული შეხედულებების არსებობას წარმოშობს თვით ფუზიაში რამდენიმე საფეხურის და დეტალური დეფინიციის არარსებობა ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ კი არაბული ძირის – ე. წ. მყარი სამფეხის – სპეციფიკა.

როგორც სალიტერატურო არაბულის თანამედროვე განვითარების ტენდენცია, ასევე დიალექტების შესწავლა იძლევა მდიდარ მასალას ამ საკითხში გარკვეული სიცხადის შესატანად. სალიტერატურო არაბულში XX ს-ში სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს კომპოზიციის მოვლენა (ინდექსის ზრდა, ელიზია, აფერეზისი), ამასთან ეგვიპტური დიალექტი უჩვენებს სიტყვათა შერწყმულ გრაფიკას, რაშიც მონაწილეობს მეტყველების თითქმის ყველა ნაწილი.

აქედან გამომდინარე ჩნდება გრაფიკული სიტყვის საზღვრების დადგენის აუცილებლობა დიალექტებისათვის სალიტერატურო არაბულშივე არსებული ე. წ. ვასლის წესის გათვალისწინებით. ხომ არ არის დასაშვები ახლებურად შევხედოთ არაბულ ენას არა მხოლოდ როგორც ფლექსიურ-აგლუტინაციური ტიპის ენას, არა მხოლოდ ვალიაროთ მასში ფუზიის არსებობა გარკვეული დოზით, არამედ ჰიპოთეზის სახით დავუშვათ მასში ინკორპორაციულ სიტყვათშეერთებასთან მიახლოებული მოვლენების არსებობა?



## მარინა ანდრაზაშვილი

### გერმანულენოვან გეოგრაფიულ სახელთა თანამედროვე ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე გამოკვლევაში შემოთავაზებული გერმანულენოვან გეოგრაფიულ სახელთა თანამედროვე ლექსიკონის აგების პრინციპები ეფუძნება ჩვენ მიერ ორ ეტაპად წარმოებული კვლევის შედეგებს, რომელთაც:

- გამოავლინეს გერმანულ ტოპონიმთათვის ეკვივალენტების მისადაგების თვალსაზრისით ქართულ წყაროებში არსებული უზუსტობა-არათანხვდენილობანი და შეეცადნენ მათი გენეზისის ახსნას;

- დაადგინეს გეოგრაფიულ სახელთა ერთი ენიდან მეორეზე გადატანისას არსებული სირთულეები ზოგადად და საგანგებოდ გამოყვეს ისინი, რომელნიც რელევანტურნი არიან საკუთრივ გერმანულიდან ქართულად თარგმნისას (ორიენტაციის აღება ტოპონიმის ფონემურსა თუ გრაფემულ სურათზე, ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეზე, ორიგინალისა თუ მედიალურ ენაზე, ტრადიციისადმი ერთგულებასა თუ უახლეს ტენდენციებზე და ა.შ.);

- ხაზი გაუსვეს ტოპონიმთა ეროვნული ეკვივალენტების რევიზია-კორიგირების აუცილებლობას თანამედროვეობის გადასახედიდან მათი “ღიაობიდან” გამომდინარე (თვით სუბკლასის რამდენადმე “ჩაკეტილობის” ფონზე) და დაუკავშირეს იგი ერთი მხრივ, მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრებულ “ღიაობას”, მეორე მხრივ კი მთარგმნელობით მეცნიერებათა თანამედროვე თეორიების კარნახით შემოტანილ *nomen proprium*-თა გადატანის ინოვაციურ ტენდენციებს ტრანსლირების სტრუქტურულ ტიპებზე (სრული ტრანსლირება, ნაწილობრივი ტრანსლირება, აფიქსაცია, პერიფრაზირება, ტრანსპონირება) დაყრდნობით; გამოკვეთეს ტოპონიმთა ტრანსპონირებისკენ, შესაბამისად ეროვნულ ეკვივალენტთა ინტერნაციონალიზაციისკენ სწრაფვის საგრძნობი ტენდენცია, შედეგად – გარკვეული ზღვრის გაჩენა საცნობარო ლიტერატურაში დაფიქსირებულ ნორმასა და სალაპარაკო ენაში ახალფეხადგმულ ფორმებს შორის.

ზემოწარმოდგენილ ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა გათვალისწინებით სასურველად მივიჩნიეთ გერმანულენოვან გეოგრაფიულ სახელთა თანამედროვე ლექსიკონი აიგოს შემდეგ პრინციპებზე:

- ლექსიკონში შევიდეს გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ლუქსემბურგისა და ლიქტენშტაინის ტოპონიმები და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების სახელები;

- სალექსიკონო ერთეულთა ზოგადი რაოდენობის რეგულირება, ისევე როგორც ზემოჩამოთვლილ ქვეყანათა მიმართ სუვერენობის პრინციპის დაცვა მოხდეს ერთტიპურ რუკებზე (Klett-Perthes Verlag, Gotha 2008; M.:1:850000) დაყრდნობით, ასევე კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეალიების გათვალისწინებით;

- ლექსიკონი იყოს ორენოვანი მკითხველისთვის აქტუალურ (განსაკუთრებით ტრანსლირებადი ან აღწერილობითი ფორმით წარმოდგენილ) ერთეულთა მიგნების გაადვილების მიზნით;

- სახელის ბუდეს ჰქონდეს ქვემოშემოთავაზებული სტრუქტურა:

- გერმანულენოვან ტოპონიმს მიეწეროს არტიკლი, თუ მასთან არტიკლის ხმარება სავალდებულოა,

- სახელს მოსდევდეს ტრანსკრიფციული ჩანაწერი,

- შეძლებისდაგვარად იყოს დაცული ქართულენოვანი ეკვივალენტის ტრანსლირების მოდელი,

- დაერთოს მოკლე ანოტაცია ზოგადტოპონომასტიკურ-სპეციფიკურ მახასიათებელთა გათვალისწინებით.

ნიმუშები:

**Grevenbroich**(გერმ.) [γρε|ხv|βρι|ქ] **გრევენბროხ-ი**, ქალაქი ნორდრაინ-ვესტფალიაში, რაინის შენაკად ერფტზე, მოსახლეობა 63600

**Unstrut, die**(გერმ.) [Yv|ΣτρYτ] **უნშტრუტ-ი**, ზაალეს მარცხენა შენაკადი თიურინგიასა და ზაქსენ-ანჰალტში, სიგრძე 192 კმ.

## ციური ახვლედიანი

### რომანოკრეოლური ენები

კრეოლური ენები, ძირითადად, გამოიყენება ატლანტის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების ზოგიერთი კუნძულის მცხოვრებთა მიერ; ეს კუნძულები ადრე კოლონიზებულნი იყვნენ პორტუგალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და სხვა (არარომანული, ძირითადად, ინგლისის) ქვეყნების მიერ. ამ კუნძულთა გეოგრაფიული იზოლირება ხელშემწყობი პირობა აღმოჩნდა კრეოლურ ენათა წარმოშობისათვის. კრეოლური ენები შეიქმნა კოლონიზატორებს, ადგილობრივ მოსახლეობასა და ზანგ მონებს შორის საურთიერთო საშუალების (შუამავალი ენის) აუცილებლობის გამო. კრეოლური ენების საფუძველს წარმოადგენს ერთ-ერთი ევროპული ენა; რომანოკრეოლურების შემთხვევაში – ფრანგული, პორტუგალიური ან ესპანური; ევროპულ ენასთან შერწყმულია როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა, ასევე კოლონიებში ჩამოსახლებულ მონათა ენები, როგორც ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიურ-სინტაქსური ფორმით: mɔlatet (= ma la tête) ; mɔ lekor (= mon le corps) – არტიკლიანი არსებითი სახელი გაიგივებულია სახელის საწყის ფორმასთან და იგი შესაძლებელია იხმარებოდეს

კუთვნილებითი დეტერმინატივის თანხლებით, ამასთანავე არსებით სახელს არა აქვს სქესის გრამატიკული კატეგორია. კრეოლურ ენებში, რომლებიც წარმოიშვნენ როგორც ფრანგულის, ასევე პორტუგალიურის საფუძველზე, ინფინიტივები ბოლოკიდური –r-ს გარეშეა: ფრანკოკრეოლური vini (=ფრანგ. venir), პორტუგალოკრეოლური cantã (=პორტუგალიური cantar). კრეოლურ ენათა მატარებლებმა შეცვალეს რომანული ენებისათვის დამახასიათებელი ასპექტ-დროითი ფორმების სისტემა ასპექტ-დროითი მნიშვნელობის ზმნისწინა ნაწილაკების სისტემით: in al ‘წავიდა’ – სადაც in გადმოსცემს წარსულში დასრულებულ მოქმედებას; u a mor ‘მოკვდები’ – სადაც ნაწილაკი a მიუთითებს მომავალი დროის მოქმედებაზე.

ყოფილი კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას თან ახლდა ოფიციალურ ენად ერთ-ერთი ევროპული ენის აღიარება, რაც იწვევდა კრეოლურ ენათა საზოგადოებრივი ფუნქციების შეზღუდვას და ამ ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობის შემცირებას. იმ შემთხვევებში, როდესაც ოფიციალურ სტატუსს იძენს ის ევროპული ენა, რომელიც წარმოადგენდა კრეოლურის საფუძველს, ხდება ენის “დეკრეოლიზაციის” თანდათანობითი პროცესი, ანუ კრეოლური ენის მატარებლების მიერ შესაბამისი ევროპული ენის სალიტერატურო-სასაუბრო ფორმების დაუფლების პროცესი.

## თამარ აფციაური

### ინტერტექსტის პოეტიკა : ჯაზი და ბორის ვიანის რომანი « დღეთა ქაფი »

1. ინტერტექსტუალობა სემანტიკური ხასიათისაა, რადგან მხატვრული ნაწარმოების აზრი სავსებით ან ნაწილობრივ “დამოკიდებულია” სხვა ტექსტობრივ მასალაზე. ნასესხობისა და გავლენების თეორიისგან განსხვავებით, პოეტიკის ახალი ინტერტექსტუალური მეთოდი არა მხოლოდ მხედველობაში იღებს, არამედ სათავეში აყენებს სემანტიკურ ტრანსფორმაციას, რომელიც ბუნებრივად გადადის ერთი ტექსტიდან სხვა ტექსტობრივ სივრცეში.

2. ჩვენი მიზანია ინტერტექსტუალური ანალიზის მეშვეობით ვაჩვენოთ ის სემანტიკური კავშირი, რომელიც არსებობს ჯაზსა და ბორის ვიანის რომან « დღეთა ქაფს » შორის. ვიანი-რომანისტიკის და ვიანი-ჯაზისტიკის სამყარო ერთიან, მთლიან პოეტიკურ ღერძს არის დაყრდნობილი, ერთიან პოეტიკურ პრინციპს მისდევს – ესაა პრინციპი გაცნობიერებული დისონანსისა ადამიანისთვის a priori მიუღებელ ბედსა და მასზე საუბრის კილოს შორის.

3. ჯაზი სრულიად თავისებური ესთეტიკის საფუძველზე აღმოცენდა, რადიკალურად შეცვალა რა მუსიკალური ენის ის ელემენტები, რომლებიც დასავლური კულტურის მელომანებს მარადიული, ერთადერთი და ხელშეუხებელი ეგონათ. ჯაზმა – როგორც მაშინ ეგონათ – მუსიკალურ ჟღერადობას სრული ქაოსი დაატეხა თავს: მელოდია, ჰარმონია და რიტმი, – რომლებიც გვიანი შუა საუკუნეებიდან დაწყებული მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ და ამით მხატვრული სისტემა იქმნებოდა – ჯაზში ჰკარგავენ ამ “ლოგიკურ” ურთიერთკავშირს და მის გამომსახველ საშუალებებს.

4. ლიტერატურისა და მუსიკის სამყაროები ერთ მთლიანობას ქმნიან ბორის ვიანის მსოფლალქმაში. შემთხვევითი არაა, რომ “დღეთა ქაფში” განუწყვეტლივ ისმის მუსიკა. რომანში « დღეთა ქაფი » მუსიკალური თემის შეტანით მთელი ნაწარმოები განსაკუთრებულ მომეტებულ ემოციურ მუხტს იძენს, რომელიც ასე დამახასიათებელია ჯაზური მუსიკისათვის. როცა ამბობენ ჯაზის ნოტებზე გადატანა შეუძლებელიაო, გულისხმობენ ამ მუსიკის იმპროვიზაციულობას, რაც არ ექვემდებარება ფიქსაციას სანოტო ჩაწერის საშუალებებით ; იმპროვიზაცია ისევე, როგორც მუსიკოსის ემოცია დიდწილ თავისუფალია და მისი წინასწარხედვა შეუძლებელია.

5. ბორის ვიანის სამყაროს ორიგინალობა, ჯაზური სამყაროს მსგავსად, იმაში მდგომარეობს, რომ იგი არაა მკაცრად დეტერმინირებული, იმპულსურია და მოულოდნელობით აღსავსე. ჯაზის მსგავსად, რომან « დღეთა ქაფში » სიტყვა იძენს ახალ, დრამატულ ფუნქციას და გადაიქცევა სრული აბსურდის სამყაროსადმი « მწარე ღიმილიანი » დამოკიდებულების გამომხატველად: თამაშებრივი და დრამატული საწყისები, შემოქმედებისა და მე-ს პრობლემა, ნამდვილი და ყალბი ყოფნის პრობლემები

უკვე სერიოზულად შეეჯახება ერთმანეთს და საერთო ხდება მთელი თანამედროვე ხელოვნებისათვის.

## ირაკლი ბრაჭული

### ზნეობა და კულტურის თეოლოგია

კულტურის ფენომენის განხილვა გამოცხადების რელიგიის პრინციპების შუქზე შეადგენს კულტურის თეოლოგიის საგანს. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევების ცენტრალურ პრობლემად შეიძლება მივიჩნიოთ საკითხის ეთიკური დაყენება: რა შეიძლება იყოს მორალურად სწორი გადაწყვეტილება ბიბლიური ხედვის პოზიციებიდან. ზნეობა საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით კულტურის არსებით ელემენტად არის აღიარებული.

კულტურის ეთიკური არსისა და ბიბლიურ გამოცხადებაზე დაფუძნებული ეთიკური დოქტრინის ურთიერთმიმართულების პრობლემა მრავალი თეორიული კონცეპტის თვალსაზრისით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი. მრავალრიცხოვანი თეორიებიდან შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი პოზიცია.

პირველი თვალსაზრისის მიხედვით კულტურა და გამოცხადების რელიგია ერთმანეთთან შეუთავსებელია. ქრისტიანობა ემყარება ზეციური სასუფევლის უზენაესობას მიწიერ ცხოვრებაზე, ამიტომ ადამიანის, გონებისა და მიზანშეწონილების პრინციპზე დამყარებული ეთიკა ვერ იქნება ქრისტიანული ცხოვრების ნორმატიული საფუძველი.

მეორე თვალსაზრისის მიხედვით კულტურა და რელიგია სინონიმური ცნებებია. რელიგია არის ადამიანის ყველაზე სპეციფიკური და არსებითი მახასიათებელი, რადგან ქმნის ფიზიკურისა და მეტაფიზიკურის მაკავშირებელ ფენომენს. ადამიანის არსი ამ პოზიციიდან განიმარტება, როგორც უზენაეს ღირებულებათა მავალდებულებელ იმპლიკაციათა რეალიზაცია გარკვეულ კულტურულ მატრიცაში.

მესამე თვალსაზრისის მიხედვით, კულტურა და რელიგია არსებითად განსხვავებული სიდიდეებია. მაგრამ მათ შორის შესაძლებელია დამყარდეს, როგორც ანტაგონისტური, ასევე თანაფარდობითი და ჰარმონიული მიმართულებები. კაცობრიობის ბედი დამოკიდებულია ადამიანის თავისუფალ კულტურულშემოქმედებითი აქტივობისა და გამოცხადების ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული პრინციპების ჰარმონიზების გზების ძიებაზე.

ზნეობა როგორც ეთოსი, როგორც ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტური სტრუქტურა და როგორც უზენაეს ღირებულებათა რეალიზაცია წარმოადგენენ ერთიანი ფენომენის ორ ასპექტს.

ამ საფუძველზე შესაძლებელია გაშუქდეს კულტურის ეთიკური დილემების საკითხი; მოინახოს ფორმალისტურ – ნორმატიული და პრაგმატისტული აპორიის გახსნის გზა.

## მამუკა ბიჭაშვილი

### შმიტის პოლიტიკურის ცნების შესახებ

“პოლიტიკურის ცნება” პატარა მოცულობის ნაწარმოებია, თუმცა მისი მნიშვნელობა ძალზე დიდია, რადგან იძლევა პოლიტიკურის ისეთ ორიგინალურ ინტერპრეტაციას, რომელიც მას რადიკალურად გამოარჩევს მანამდელი თვალსაზრისებიდან. შმიტის იდეურ წინამორბედად პოლიტიკურის გაგებაში ყველაზე ხშირად ჰობსს ასახელებენ, თუმცა შმიტის ნაწარმოების გაცნობა ამგვარი ასოციაციისათვის კვალს არ ტოვებს. გაცილებით უფრო მეტადატა დავალებული შმიტი ჰეგელისაგან, პლატონსა და არისტოტელეზე რომ არაფერი ვთქვათ. როდესაც ის პოლიტიკურის ბუნებას განსაზღვრავს მეგობრობის და მტრობის ცნებებით, საერთო აღიარებით, შმიტი დიდადაა დავალებული ჰეგელის ფილოსოფიის ცნობილი პასაჟით ბატონისა და მონის შესახებ. პოლიტიკურმა ფენომენმა ენერგია შეიძლება სხვა და სხვა სახის ადამიანური ძალისხმევისაგან შეიძინოს, მაგრამ ამ მოტივებით ადამიანების დაჯგუფება მეგობრებად და მტრებად, წინა პლანზე გადმოინაცვლებს, ხოლო ყველა დანარჩენი უკან დაიხევს. “პოლიტიკურის” არ აღიარებს ომში გამარჯვებას ან წარმატებულ რევოლუციას როგორც “სოციალურ იდეალს. შეიარაღებული შეტაკება არ ნიშნავს პოლიტიკის გაგრძელებას სხვა საშუალებებით, როგორც არაზუსტად ახდენენ კლაუზევიცის ცნობილი გამოთქმის ციტირებას. ომს აქვს თავისი საკუთარი სტრატეგიული, ტაქტიკური წესები და თვალსაზრისები გააჩნია, მაგრამ ისინი გულისხმობენ, რომ უკვე მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება, თუ ვინ წარმოადგენს მტერს. ერთი ადამიანის მიერ მეორის მოკვლას არავითარი გამარლება არა აქვს არც რაიმე რაციონალური მიზნით, არც მორალური ნორმებით, არც სანიმუშო პროგრამით და როგორც გნებავთ მომხიბლავი სოციალური იდეალით, თუ ლეგიტიმურობითა და ლეგალურობით. ერთადერთი, რაც ასეთ საქციელს გაამართლებს, არის მდგომარეობა, რომელიც ადამიანის საკუთრივ ექსისტენციაზე გადის, ანუ სხვაგვარად რომ ითქვას, ომი გამართლებულია მხოლოდ პოლიტიურად. შმიტის თეორიის ეს მომენტი საშუალებას აძლევს მის კრიტიკოსებს

თეორიას “ირაციონალური არჩევანის თეორია” უწოდონ (1.xvii). შმიტი არ გაექცეოდა ასეთ შეფასებას, რადგან შმიტს მყარად წამდა, რომ მათ, ვინც ვერ აცნობიერებს პოლიტიკის ირაციონალურობას, წაღეკავენ მოვლენები. სწორედ ამიტომაც, რომ რაციონალური ჯგუფისათვის, რომელიც ჯერ კიდევ შორს არის ამ ვითარების გაცნობიერებისაგან, მოსალოდნელის საპირისპიროდ, პოლიტიკა არა მხოლოდ უნივერსალური არ არის, არამედ ძნელი გასაგებიცაა.

## გიორგი ბარამიძე

### სხვა და მისი პრეზენტაციის ზოგიერთი ასპექტი

სინამდვილის დასავლური (პლატონური) სქემა ასეთია: ყოფნა – *ქმნადობა* – არყოფნა. *ქმნადობა*, სულ ცოტა, ორგვარად შეიძლება იქნეს გააზრებული. ერთი გაგებით, ყველაფერი მდინარებს, იცვლება, *ქმნადობაშია*, მაგრამ არის რაღაც სუბსტარტი, რომელიც მეტამორფოზას არ ექვემდებარება და არის უცვლელი, ერთიდაიგივე (auto touto). მეორე გაგებით, *ქმნადობის* (ginomai) პროცესი მოკლებულია იგივეობას, იგივეს და იგი წარმოშობს მხოლოდ სხვას, უცხოს. ამისდაკვალად დასავლურ სინამდვილეში ორი პარადიგმა ჩამოყალიბდა; ერთი იგივეს და იგივეობის, მეორე კი – სხვის და სხვობის. ამასთანავე, ერთიდაიგივეობა მოიაზრება როგორც მე – ს, *მე ვაზროვნებ* – ის იგივეობა, რომელიც სხვობათა, სხვაობათა თუ უცხოთა თავში დგას. მეორე მხრივ კი არიან მხოლოდ სხვები, მაგრამ არ არსებობს იგივე. *ქმნადობა* როგორც *სხვათა* ხდომილება არის უ-დროო და უ-სივრცო. ძირეულად იგი სხვა არაფერია თუ არა *მოჩვენება*. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული სქემა ასეთ სახეს ღებულობს: ყოფნა (on) – *მოჩვენება* – არყოფნა (me on). საქმე ის არის, რომ დასავლურ სივრცეში გაბატონდა პირველი ანუ იგივეობის თუ მე –ეს პარადიგმა.

რაც შეეხება პრეზენტაციას, დასავლურ აზროვნებაში მიჩნეულია, რომ რაც კი არსებობს (თუ არ არსებობს) ყველაფერი მიისწრაფვის იქეთკენ, რომ წარდგეს, თავისი თავი წარადგინოს თუ წარუდგეს. პრეზენტაცია ძირეულად თეოლოგიური ფენომენია (ამჯერად არ ვეხებით იმას, რომ პრეზენტაციამ დაკარგა თავდაპირველი ხასიათი); ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი წარდგინება არის წარდგინება ღმერთის წინაშე. იგივეობის ანუ მე-ს პარადიგმა გულისხმობს იმას, რომ პრეზენტაციის პრეროგატივა მხოლოდ იმას აქვს, რაც ყველა ცვალებადობაში ერთიდაიგივე რჩება; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ჩამორთმეული ანუ აღკვეთილი აქვს *სხვას* და მიეწერება მხოლოდ მე-ს. ამრიგად, სხვა „თავის თავს“ კი არ წარადგენს, არამედ მას წარადგენს *მე*. აქ ერთმანეთს ეჯახება პარადიგმათა კიდევ ერთი ბინარი: თავისუფლება და სამართლიანობა.

ჩემი (მეს) თავისუფლება *სხვასთან* მიმართებაში არის უსამართლობა. ჩემ მიერ *სხვის* პრეზენტაცია ისევ ჩემი პრეზენტაციაა. ჩემი თავისუფლება და ჩემი სამართლიანობა *სხვასთან* მიმართებაში ძალმომრეობაა. აუცილებელია, *სხვას* მიეცეს « თავისი თავის »

(თავისი *სხვობის*) პრეზენტაციის საშუალება; მაგრამ რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ *სხვამ* თვითპრეზენტაცია მოახდინოს ?

## ნაირა ბეჰიევი

### ქცევის კატეგორიის გადმოცემა ოსურ ენაში

ქართულ ენაში ზმნა გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულებასაც. ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი; ობიექტი მოქმედ პირს, სუბიექტს ეკუთვნის; ერთი ობიექტი ეკუთვნის მეორეს ან მისთვის არის განკუთვნილი. ამის მიხედვით გვაქვს სამი ქცევა: საარვისო (ვაშენებ, ვაკეთებ, ვწერ), სათავისო (ვიშენებ, ვიკეთებ, ვიწერ) და სასხვისო (ვუშენებ, ვუკეთებ, ვუწერ), ანუ სამი ვერსია: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო (ა. შანიძე).

ქცევის სხვადასხვა ფორმა ქართულში ზოგჯერ პრეფიქსებით არის გადმოცემული (ა-კეთებს, ი-შენებს, უ-წერს), ზოგჯერ მხოლოდ ფორმით (წერს).

წინადადების - სახლი ავაშენე ჩემთვის - შინაარსი შეგვიძლია ზმნის ორი სიტყვით გადმოვცეთ: სახლი ავიშენე. სახლი ააშენეს შენთვის – სახლი აგიშენეს. სახლი ააშენეს მისთვის – სახლი აუშენეს.

როგორ გადმოიცემა ქცევის სხვადასხვა ფორმა ოსურ ენაში?

ოსურ ენაში ქცევას ზმნის ფორმა ვერ გადმოსცემს. პრეფიქს-სუფიქსების დართვით, ან ზმნის რომელიმე ფორმით მისი გადმოცემა შეუძლებელია. ქცევის ნებისმიერი ფორმის გადმოსაცემად აუცილებელია ზმნას დავურთოთ შესაბამისი სახელები ან ნაცვალსახელები. მან სახლი ააშენა – Уый хѣдзар **самадта** (საარვისო ქცევა), მან თავისთვის სახლი აიშენა Уый хѣдзар **самадта** йѣхицѣн (სათავისო ქცევა), მან მას სახლი აუშენა Уый кѣмѣндѣр хѣдзар **самадта** (სასხვისო ქცევა). ერთ შემთხვევაშიც, მეორე შემთხვევაშიც და მესამე შემთხვევაშიც ააშენა (самадта), ერთი და იმავე ფორმით არის გადმოცემული.

კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობის გადმოსაცემად ოსურ ენაში ზმნა არ იცვლის ფორმას, ფორმას იცვლის სახელი ან შესაბამისად ნახმარი ნაცვალსახელი.



## ნომადი ბართაია

### საქართველოში ჭადრაკის შემოსვლისა და მასთან დაკავშირებულ ტერმინთა წარმომავლობის შესახებ

ქართულში არსებული ჭადრაკთან დაკავშირებული ტერმინები: ვეზირი, ლაზიერი, მათი, პაიკი, როქი, სპილო, ფერზი, ქიში, ყაიმი, შაჰი, შამათი და ჭადრაკი მომდინარეობენ სპარსულიდან, რაც ამ თამაშის ქართულ სამყაროში ირანიდან შემოსვლას მოწმობს.

მართალია, ჭადრაკი, რომელიც მომდინარეა ფალაური ტერმინიდან **šatrang** (შათრანგ -> ჩათრანგ -> ჩადრანგ -> ჭადრანგ -> ჭადრაგ -> ჭადრაკ) ქართულ წერილობით ძეგლებში XI საუკუნიდან დასტურდება, მაგრამ იგი, თავისი ფორმით, შემოსული ჩანს VII საუკუნემდე, სანამ სპარსულში მოხდებოდა მისი ფალაური ფორმის (**šatrang**) არაბიზირება (شطرنج [šatramğ]).

## მარია ბრეგაძე

### ბიჰევიორემა, როგორც კულტურემის რეალიზაციის სფერო

კომუნიკაციური პროცესების კვლევისას, მეტად მნიშვნელოვანია კოგნიტური და ემოციური ასპექტების გათვალისწინება. იმისათვის, რომ შევძლოთ ნებისმიერი საკომუნიკაციო მოდელის ფსიქო- და სოციოლინგვისტური ანალიზის გაკეთება, სამუშაო ტერმინებად ვიყენებთ “კულტურემას” და “ბიჰევიორემას”.

იმისათვის, რომ ენა სრულყოფილად იქნეს გამოყენებული, საჭიროა უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ გამოთქმის, ლექსიკისა და გრამატიკული წესების ფლობა. ენის სრულყოფილად ცოდნის განუყოფელი ნაწილია აგრეთვე იმ ენობრივი ერთეულების გამოყენების უნარი, რომლებიც ამა თუ იმ ჯგუფს ან საზოგადოებაში ქცევის დამკვიდრებულ წესად მიიჩნევა. ქცევის ამგვარი წესები კულტურულად სპეციფიკურია და გარკვეული საზოგადოების ფარგლებში ვრცელდება. კულტურის სფეროს განეკუთვნება არა მარტო მატერიალური და სულიერი ასპექტები, არამედ ქცევის კომუნიკაციური მანერებიც.

ჩვენ პირით ვლაპარაკობთ, კომუნიკაციას კი მთელი სხეულით ვაწარმოებთ. ზეპირი კომუნიკაციის იდეალურ მდგომარეობას შემდეგი სამი ფაქტორი ქმნის:

- 1) მსმენელს უნდა ესმოდეს ის, თუ რას ამბობენ (იგულისხმება აკუსტიკურად);
- 2) თუ როგორ ამბობენ იმას, რასაც ამბობენ (თავაზიანად, მტრულად, ნეიტრალურად; პარაენობრივი და არავერბალური სიგნალების საშუალებით);
- 3) თუ როგორ არის ნაგულისხმევი ის, რაც ითქვა.

პრაქტიკაში შესაძლოა ამ სამმა ტიპმა კულტურათმორისი სირთულეები წარმოშვას, რადგან მესამე ტიპთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს კულტურულად განსხვავებული, გამონათქვამების არაპირდაპირი სტილი. უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს კულტურით განპირობებული ქცევის ისეთი მანერები, რომლებიც არასწორედ აღიქმება ან მათი გაგება სრულიად ვერ ხერხდება. მიუხედავად იმისა, რომ ენა, თავის თავად, არ ქმნის არავითარ სირთულეს. ენის კარგი ცოდნის შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია წარმოიშვას პრობლემები “კულტურემებთან” ე.ი. ქცევის ნორმებთან და მათ რეალიზაციასთან – “ბიჰევიორემებთან” დაკავშირებით.

“კულტურემები” წარმოადგენს სოციოკულტურული ქცევის აბსტრაქტულ ერთეულებს, აღმწერ მოდელებს, რომლებიც, სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში, კონკრეტული რეალიზაციის აღწერის შესაძლებლობას გვაძლევს. ხოლო “ბიჰევიორემები”, უპირველეს ყოვლისა შესაძლებელს ხდის პასუხს კითხვებზე: *როგორ? რისი მეშვეობით?* საკომუნიკაციო აქტის ერთიანი პერსპექტივიდან თუ შევხედავთ საკითხს, შესაძლოა აგრეთვე პასუხი გაცეს კითხვებს: *როდის? სად? რა მიმართებაში?* აქედან გამომდინარე არსებობს “ბიჰევიორემათა” შემდეგი ორი ტიპი: *აღმასრულებელი “ბიჰევიორემები”* და *მარეგულირებელი “ბიჰევიორემები”*. პირველ ტიპს განეკუთვნება ვერბალური, პარაენობრივი და არავერბალური “ბიჰევიორემები”, ხოლო მეორეს – ექსტრავერბალური. ექსტრავერბალურმა ერთეულებმა, როგორც მარეგულირებელმა “ბიჰევიორემებმა” შესაძლოა, “კულტურემის” მიხედვით, კომუნიკაციურ აქტებში, ხშირად ფუნქციონალური დომინანტურობა შეიძინოს. არა მარტო დროს, სივრცეს და პროქსემიკას (მოსაუბრეთა დისტანცია სივრცეში) ენიჭება გადაწყვეტი რილი “ბიჰევიორემების” რეალიზების ფორმებთან დაკავშირებით, არამედ უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორები და ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ასპექტები, როგორცაა ასაკი, სქესი, პროფესიული იერარქია და სხვა.

## მარიამ ბაკურიძე

### ფოლკლორი ლევან გოთუას მოთხრობებში

XX საუკუნის მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ლევან გოთუა თავისი შემოქმედებით დაკავშირებული იყო ხალხსა და შესაბამისად, მის მხატვრულ შემოქმედებასთან. მწერლის ჩანაფიქრის ნათელსაყოფად დიდი ცოდნით არის გამოყენებული საისტორიო გადმოცემები,

ლექს-სიმღერები, ანდაზები, ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზები და სფეციფიკური ტერმინები.

მოთხრობაში "ქვის ხობობი" მწერალი თავისებურად იყენებს თბილისის დაარსების ლეგენდას:

"მთელი ერი აშენებდა ტფილის-ქალაქს, ათასეული წლების გასაძლის... დედაქალაქის პირველმშენებელთა... მეჩანგენი, მთქმელნი და აღმწერელნი მოჰყვნენ. მათ გალექსეს და აამღერეს ტფილისის სახე-სახელი. მათ პირველებმა სთქვეს, რომ ქართული დედაქალაქი ხობობის მარჯვენა ფრთის თარგზეა ნაშენი... დასძინეს, რომ ავბედობის ჟამს... ოდეს მტკვარი-მატიანე ქართლის ცხოვრების"-მძიმე დღეებს შეუდგება და სისხლს შეირევს... მაშინ... უმთვარო ღამეში მეტეხი კლდისძირა მორევიდან ცხელი წყაროების წიალიდან თუ დედა-კერის ნალვერდლიდან-ქვის ხობობი წამოდგება, ყელს მოიღერებს და მისი გადაყვილი ნიშნად და ნუგეზად ჩაესმის ყველას, ვისი ყურიც ყურობს, გული გულობს, მეზრძოლი და შემოქმედი მარჯვენაც ქართულად მარჯვენობს"

როგორც ვხედავთ, მოთხრობაში "ქვის ხობობი" მთავარია ლეგენდის ახალი სემანტიკა, რაც ხალხურს არა აქვს. ხალხური ლეგენდის გამოყენებით ლევან გოთუამ მკაფიოდ წაროსახა ვახტანგ გორგასლის სახე, აქვე გვაჩვენა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრის მტრისაგან გარშემორტყმული საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

ისტორიული ამბის გადმოცემისას, მოთხრობაში "კრწანისის სევდა" ლევან გოთუა მიმართავს თხრობის ფოლკლორულ ხერხს, მაგრამ ფოლკლორული ტრადიციისაგან განსხვავებით, აქ მოთხრობელი მეფე ერეკლეა. მეფე ერეკლე ბუჩუკურაანთ ბრმა ლომთათას, რომელმაც სამი ვაჟი დაჰკარგა ბრძოლის ველზე კრწანისის ტრაგედიის წლისთავზე მოუთხრობს ალა-მაჰმად-ხანის ურდოებთან ბრძოლის ამბავს. ლომთათა ქალაქში მომავალი კრწანისის ველზე ტაბლას უშლის თავის დაღუპულ შვილებს: "ჩემო შვილებო, თქვენამც მოგივათ დადგმული ტაბლა, სანთელ-საკმეველი, ბრმა მამის დალოცვა, სუფრაზედამც დაიწვევდეთ თქვენი სიკვდილის ძმებს, უპატრონო სულელებს გაიკითხავდეთ! სული მოიბრუნა მოხუცმა, არყის ორიოდე წვეთი კრწანისის მიწას დააცვარა და ყანწი გამოსცალა".

ლევან გოთუას მოთხრობას "მუმლი მუხასა" საფუძვლად უდევს პატრიოტული ლექს-სიმღერა "მუმლი მუხასაო". საქართველოს ავბედობის გამო, პატარა ბიჭი მცხეთელი ანდრია ტყვედ წაუყვანიათ და იგი ალა-მაჰმად -ხანის მებაჯრე გამხდარა. ირანის

მბრძანებელს არაერთხელ მოუსმენია თავდადებული მეაბჯრის ლოცვა,რომელსაც სულ ორი,ისიც უცნობი და გაურკვეველი სიტყვა და კილო ჰქონდა”მუმლი ...მუხასაო...მუმლი მუხასაო...”და აი,აღა-მაჰმად -ხანის ურდოები თბილისს უახლოვდებიან.სადიხას შემოესმა სიმღერა”მუმლი მუხასაო”,ყური გაფაციცებით მიუგდო...არა,არ სცდება...

-”მუმლი მუხასაო...გარს ეხვეოდაო...”

აჰა,გაგრძელებაც ჰქონია ამ ლოცვას?...ხმლებსა და სანგრებში ნაპოვნი გაგრძელება!ომის ორომტრიალში მარცვალ-მარცვალ დაჭრილი და ბრძოლის ბუკზე უფრო ნაგრძნობი.

-მუმლი ჰქრებოდაო...მუმლი წყდებოდაო...

”ხე არ ხმებოდაო...ხე არ ხმებოდაო...”

”...ნეტავ რას ნიშნავს ომის ღვიძილში,მებრძოლთ კბილებში გაცრილი ლოცვა?!...და ნუთუ ეს ქართული ლოცვაა!სად გურჯი და სად ბელუჯი!ერეკლემ პირჯვარი ისახა და ლოცვა წამოიწყო,მოზრუნებულმა სადიხამ კი ისევ ძველი ლოცვა-გალობა ,რომელიც მუდამ წაღმართად ახლდა გადაგვარება-შემოზრუნების დაკლაკნილ გზაზე...მუმლი მუხასაო...გარს ეხვეოდაო!მუმლი ამოწყდაო,და მუხა გადარჩაო.

როგორც ვხედავთ,მოთხრობა ”მუმლი მუხასა”ქართული ხალხური ლექს-სიმღერით არის შთაგონებული და ეს სიმღერა მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს თავიდან ბოლომდე.

ლევან გოთუას მოთხრობებში ფოლკლორი ბუნებრივად არის ჩართული და ხელს უწყობს გმირთა ხასიათების სრულყოფას.

## მიხეილ ბახტაძე

### გენერალ ლუდენდორფის ერთი წერილის შესახებ

1918 წლის 12 ივნისს გერმანიის არმიის პირველმა გენერალ-კვარტირმაისტერმა ანუ ფაქტობრივად გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ერიხ ლუდენდორფმა წერილი გაუგზავნა უკრაინაში დისლოცირებული საარმიო ჯგუფ “კიევის” შტაბის უფროსს, გენერალ ვილჰელმ გრონერს.

წერილში აღნიშნული იყო, რომ “ითვალისწინებსა რა, კავკასიაში არსებული ნედლეულის უზარმაზარ მარაგებს, რომლებიც იმ თავითვე ხელმისაწვდომი გახდება გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის. გარდა ამისა ითვალისწინებს იმის შესაძლებლობასაც, რომ რუსეთის ყოფილი არმიის მრავალრიცხოვანი ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცთა შემადგენლობიდან შესაძლოა შეიქმნას მოქმედი ქართული არმია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გერმანიის მხარეს იომებს, გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადაწყვიტა: ეთხოვოს გერმანიის მთავრობას ცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა; შევეცადოთ რათა უახლოეს ხანებში დაიდოს ხელშეკრულება, ერთის მხრივ ოთხ მოკავშირე სახელმწიფოსა<sup>1</sup> და მეორეს მხრივ საქართველოს შორის; ამის შემდეგ დავაკმაყოფილოთ საქართველოს თხოვნა გერმანიის რაიხთან კავშირის შესახებ.

თუ გერმანია საქართველოში ფეხს მოიკიდებს, შექმნის იქ პატარა მაგრამ ეფექტურ გერმანულ არმიას და ყველას დაანახებს, რომ მზად არის დაიცვას თავისი ინტერესები კავკასიაში, თანდათან საქართველოს ავტონომიურად შეუერთდებიან ახალი კავკასიური სახელმწიფოები და პერსპექტივაში სავსებით შესაძლებელია შევქმნათ გერმანიასთან მჭიდროდ დაკავშირებული კავკასიური ბლოკი, რომელიც გერმანიისათვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

რუსეთის სიტუაციის ყველა მცოდნე ერთიანია იმაში, რომ შემდგომში გარდაუვალია რუსეთისა და უკრაინის, როგორც ორი მონათესავე სლავი ხალხის, გაერთიანება. კავკასიური ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან არარუსი ქრისტიანები, მუსლიმი თათრები, ბუდისტი კალმიკები ანუ არასლავები, ამ დიდი სლავური ბლოკის კარგი საპირწონე იქნება.”

ორივე გენერალი, ლუდენდორფიცა და გრონერიც გერმანიის უმაღლეს სამხედრო ხელისუფალთა წრეს ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე მათი ინფორმაციები მეტად სანდოა და მნიშვნელოვანი.

საინტერესოა, რომ წერილი დაწერილია 12 ივნისს, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე. წერილიდან ირკვევა, რომ გერმანიის ხელისუფლებას საკმაოდ ნათელი, კარგად მოფიქრებული და შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა ზოგადად კავკასიასთან და კონკრეტულად საქართველოსთან დაკავშირებით. წერილიდან აშკარად ჩანს, რომ გერმანიის ხელისუფლება

<sup>1</sup> იგულისხმება გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, თურქეთი და ბულგარეთი

ითვალისწინებდა რეალურ ვითარებას და საქართველოს მთელი კავკასიის სამხედრო-პოლიტიკურ ცენტრად აღიქვამდა. სწორედ თბილისის ირგვლივ უნდა მომხდარიყო მთელი კავკასიის გაერთიანება და დიდი პროგერმანული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებამ გერმანიის ეს გეგმა ჩაშალა და საქართველო სრულიად ახალ რეალობაში აღმოჩნდა.

## ნატალია ბასილაია

### პრიალაყრდიან ჟურნალებში ენობრივი თამაშების სტრატეგია და ტაქტიკა

პრიალაყრდიანი მოდის ჟურნალების სტრატეგიაში ცენტრალური ადგილი უკავია ენობრივ თამაშს, რომელიც ეფუძნება ენობრივი წესის მიზანმიმართულ დარღვევას და ამჟღავნებს პიროვნების შემოქმედებით პოტენციალს სისტემურად მოცემული შესაძლებლობების განხორციელებაში.

აზრების თამაში, რომლის რეალიზაცია ხდება სათაურისა და ტექსტის ერთიანობაში, სიტყვის მრავალმნიშვნელობაზე დაყრდნობით წარმოადგენს სავიზიტო ბარათს მრავალი პრიალაყრდიანი ჟურნალისა, რომელიც თავისებურად გადაწყვეტს ენისა და მეტყველების ერთეულების ინფორმატიულობის პრობლემას.

პრიალაყრდიან ჟურნალებში სათაურების პრეზენტაცია ეფუძნება ასოციაციებს, რომელიც მკითხველს უჩნდება სიტყვის მნიშვნელობის შეგნებულად გათვალისწინებული "გაყოფის" გამო. ამასთანავე, პირველადი წარდგენისას განზრახ კოდირებული სატაურები სარჩევში შეიძლება იყოს აღქმული წარმოქმნილი ასოციაციური რიგის შესაბამისად, რადგან სათაური შეიცავს ფარულ ციტატებს, ალუზიებს. სათაურებში მოცემული ეს ფარული ციტატები, ალუზიები, მინიშნებები და მნიშვნელობები ტექსტში არ არის დადასტურებული, რადგანაც, პრიალაყრდიანი ჟურნალების ტაქტიკის შესაბამისად, მკითხველმა განსაზღვრული ესთეტიური სიამოვნება უნდა მიიღოს სათაურის მნიშვნელობის ამოცნობის თამაშისგან ამ სათაურთან ტექსტის კორელაციის აღქმისას.

პრიალაყრდიან ჟურნალებში სათაურებს და რეკლამის ტექსტებს შორის არის ასოციაციების კონტრასტი, რომელიც გამოწვეულია დასათაურებული ტექსტისგან იზოლირებულად მოყვანილი სატაურებიტ და იმ ასოციაციებით, რომელსაც იწვევს სათაური და ტექსტი, როგორც ერთი შინაარსობრივი მთლიანობა. სათაურისა და ტექსტის ურთიერთობა განსაზღვრავს ინფორმაციის შინაარსის ასოციაციური გააზრების ორი მიმართულების – წარმოსახვითსა და რეალურს შორის "შეტაკების" ემოციურ ეფექტს, ექსპრესიას.

სტატიის სათაურსა და მისი ძირითადი ტექსტის შესაბამისობის ტიპები განპირობებულია ენის თამაში ჩასართველ მკითხველზე ზემოქმედების სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტექნიკის გამოყენებით:

1. იმედგაცრუებული მოლოდინის ეფექტი, როდესაც მკითხველის აზრი პუბლიკაციის შინაარსის შესახებ ჩამოყალიბდა მისი სათაურის მიხედვით კითხვის პროცესში იცვლება;

2. გაძლიერებული მოლოდინის ეფექტი, როდესაც სათაურის ზუსტი მნიშვნელობა ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ მკითხველისთვის რთულია გამოიცილოს შესაძლო მნიშვნელობა, მან უნდა გამოიცილოს ერთგვარი ამოცანა, რომლის პასუხის პოვნა ტექსტში შეიძლება;

3. გამართლებული მოლოდინის ეფექტი, როდესაც სათაურის მნიშვნელობა საკმაოდ ნათელია, თუმცა, მკაფიო სახის გამო, ადრესატს კანონზომიერად უჩნდება სურვილი რომ უფრო დეტალურად გაეცნოს პრობლემას.

პრიალაყრდიან ჟურნალებში ენობრივი თამაშების სტრატეგია და ტაქტიკა არის მკითხველთა ყურადღების უზრუნველყოფის ძლიერი საშუალება.

## ია გრიგალაშვილი

### „კოლაელ ყრმათა წამების“ დაწერის დრო

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის თანახმად, „კოლაელ ყრმათა მარტვილობა“ შექმნილია IX საუკუნეში. თუმცა, გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ მასში ასახული ამბავი ყრმათა მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ IV–VI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. აღსანიშნავია, რომ საკითხავში არ გამოკვეთილა ეროვნული ტენდენციები, რაც დამახასიათებელია IX-X საუკუნეების ქართულ მწერლობისათვის.

ბიძინა ჩოლოყაშვილი გამოკვლევაში „უძველესი ქართული მარტიოლოგიური თხზულება“ III საუკუნის რომაული მართლმსაჯულების ნიუანსების ანალიზის მეშვეობით ასკვნის, რომ „კოლაელ ყრმათა წამება“ სწორედ აღნიშნულ პერიოდში უნდა დაეწერათ. ვფიქრობთ, ძეგლის დაწერის დათარიღებისათვის გასათვალისწინებელია იმჟამინდელი ქრისტიანული ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკაც, რაც უკეთ დაადასტურებდა აღნიშნული ჰაგიოგრაფიული საკითხავის უძველესობას. „წამებაში“ აღნიშნულია: ხუცესს როდესაც შეატყობინეს ყრმათა შესახებ, მან “მოიქსენა სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ”. საგულისხმოა, რომ სწორედ III საუკუნიდან ღვთისმსახურებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საკითხავები ახალი აღთქმიდან. შედარებით გვიანდელ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ბიბლიის თემატიკა ძირითადად კონკრეტული ეპოქათა საღვთისმსახურო საკითხავების თანამიმდევრობას შეესაბამება. „წმინდა კოლაელ ყრმათა

წამებაში” მხოლოდ სახარებიდანაა ციტირება მოხმობილი, რაც მისი უძველესობის დასტურად მიგვაჩნია.

„კოლაელ ყრმათა წამება” X საუკუნის მრავალთავშია მოთავსებული. მასში არ მოიპოვება ხანმეტობის კვალი, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრებულიყო აზრი, თითქოს საკითხავი IX საუკუნეში შექმნილა.

298 წელს რომსა და სასანურ ირანს შორის დადებული ნიზიბინის ორმოცწლიანი ზავით სომხეთი და იბერია რომის იმპერიის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ბატონ ბიძინას „წამებაში” აღწერილი ამბავი 313 წლის მილანის ბრძანებულების გამოქვეყნებამდე მომხდარ მოვლენად მიაჩნია, რადგან ამ პერიოდისთვის ქრისტიანობა ნებადართულ რელიგიად გამოცხადდა და ასკვნის, რომ საკითხავი 260-313 წლებში უნდა დაწერილიყო. ბატონი ბიძინა საინტერესოდ მსჯელობს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მართლაც მნიშვნელოვანია იმჟამინდელი სამართლის ნორმების მხედველობაში მიღება საკითხავის დათარიღების საკითხებთან დაკავშირებით, ოღონდ აქ ერთი უხერხულობა იქმნება: თუკი ნიზიბინის ზავი დაიდო 298 წელს, მაშინ, ბუნებრივია, რომაული კანონმდებლობა იბერიაში უნდა აღსრულებულიყო ამ პერიოდიდან. სავარაუდოა, რომ საკითხავი 298-313 წლებში იყოს შექმნილი, თუმცა, აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად კვლევა-ძიების გაგრძელება საშურ საქმედ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, საკითხავის გადაწერა ხდებოდა დროდადრო, გადაწერისას კი იცვლებოდა მისი ენა, ამიტომაც დაიკარგებოდა ხანმეტობის კვალი. „კოლაელ ყრმათა წამება” უაღრესად საინტერესო ძეგლია ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად.

## მანანა გელაშვილი

### „გაყინული დრო” ტომას ვულფის რომანში „შინისაკენ მოიხედე, ანგელოზო”

დროის პრობლემა XX ს-ის 20-იანი წლების რომანის ერთერთ მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ტომას ვულფის რომანი „შინისაკენ მოიხედე, ანგელოზო” (1929), სადაც დროის კატეგორიის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური გააზრება ნაწარმოების ერთერთი ცენტრალურ თემაა. მეორე მხრივ დრო, როგორც თხრობის საშუალება – რომანის პოეტიკის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრულ მხარეს.

თემატურად, დროის პრობლემა ვლინდება ავტორის, უფრო ხშირად პერსონაჟების ფიქრებსა და მსჯელობაში, ან დროის მათეული შეგრძნების გადმოცემაში. მეორე მხრივ დროს, როგორც თხრობის საშუალებას, რომელსაც ვულფი შეგნებულად იყენებს, როგორც ესთეტიკურ ფენომენს, რომანის ფორმაში არსებითი სიახლეები შემოაქვს: როგორცაა



თხრობის სწორხაზოვნების რღვევა, თხრობის სუბიექტივაცია, ტრადიციული კომპოზიციის რღვევა, დროის თემატიზაცია, მონტაჟის ტექნიკის გამოყენება, სავრცეში გადაადგილებისათვის ტემპორალური მნიშვნელობის მინიჭება და პირიქით დროის სივრცედ აღქმა.

ეს უკანასკნელი, რომანს სივრცულ ფორმას აძლევს, რაც მოდენისტული რომანის ერთერთ მახასიათებელს წარმოადგენს. „გაყინული დრო“, რომელიც ერთდროულად მოიცავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, ფაქტიურად აუქმებს დროს და მას სივრცედ აქცევს, რომელშიც ყველფერი ერთ მარადიულ აწმყოში თანაარსებობს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ვულფის რომანების სივრცე ყოველთვის ზუსტად არის გეოგრაფიულად ლოკალიზებული, ამავე დროს არასდროს არ მოიაზრება, როგორც კონკრეტული ადგილი, არამედ, როგორც გმირის სულიერი მდგომარეობის ერთგვარი რეალიზაცია. ამგვარ სივრცეში ყველაფერი დასაშვებია და შესაძლებელი. მასში გადაადგილება შეუზღუდავია და იგი არა მხოლოდ იმ სივრცეებს მოიცავს, რომელიც გმირს არასოდეს უნახავს, არამედ ლიტერატურულ და ისტორიულ შრეებსაც. იგი აბსოლუტურია და უსაზღვრო, როგორც გმირის სული,

ნაწარმოებში ადგილი აქვს დროის მითოლოგიზაციას, რაც საშუალებას აძლევს ავტორს რომანში გადმოცემული ერთი კონკრეტული ამბავი გაიზროს და წარმოადგინოს არა როგორც ერჯერადი ხდომილება, არამედ, როგორც განმეორებადი. ამით, ვულფის აზრით, იხსნება „სარკმელი მარადისობაში“, რაც მას ზოგადად რომანის განუყოფელ თვისებად მიაჩნდა.

## ელენე გოგიაშვილი

### სამყაროს ხე

#### ცენტრალური ამერიკის ინდიელთა მითოლოგიაში

კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში სამყაროს ხის (arbor mundi) უნივერსალურმა კონცეფციამ თავისი კვალი დატოვა რელიგიურ და მითოლოგიურ წარმოდგენებში, რომლებიც გამოვლინდა ენაში, ზეპირსიტყვიერ ტექსტებში, სახვით ხელოვნებაში, არქიტექტურაში, დასახლებათა დაგეგმარებაში, რიტუალებში, თამაშებში, ქორეოგრაფიაში, სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებსა და ადამიანის ფსიქიკის ზოგიერთ თავისებურებებშიც (ბავშვის ფსიქიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხე როგორც მხატვრული სახე დომინირებს ბავშვების მიერ შექმნილ ნახატებში).

ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული დღევანდლამდე სამყაროს ხე გვხვდება ევროპისა და აზიის, ციმბირის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანის ხალხთა ტრადიციებში, მათ შორის ცენტრალური ამერიკის ინდიელთა მითოლოგიაში.

სამყაროს ხე დგას სამყაროს საკრალურ ცენტრში. მისი მეშვეობით სამყარო ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად იყოფა.

**სამყაროს ვერტიკალური დაყოფა.** მაიას და აცტეკთა კოსმოგონიური მითების თანახმად, მთელი სამყარო ერთიანად აღიქმება და სამად იყოფა: ზესკნელი, სადაც ციური ღვთაებები ცხოვრობდნენ, შუასკნელი – დედამიწის ზედაპირი და ქვესკნელი – ხთონურ არსებათა სამყოფელი. ქვესკნელში ბნელი ძალები ცხოვრობენ. იმავდროულად ქვესკნელი ადამიანის წარმოშობასთანაც არის კავშირში. მითების დიდი უმრავლესობა მოგვითხრობს, რომ ადამიანები დედამიწის წიაღიდან წამოვიდნენ ტბების, მდინარეებისა და წყაროების გავლით.

სამყაროს ხის მეშვეობით განსხვავდება სამყაროს ძირითადი ზონები.

**სამყაროს ჰორიზონტალური დაყოფა.** სამყაროს ხის ჰორიზონტალური სიბრტყე განისაზღვრება ორი კოორდინატით – მარცხნიდან მარჯვნივ და წინიდან უკან. გვერდებზე ან კუთხეებში შეიძლება იყოს ცენტრში მდგარ სამყაროს ხის ურთიერთშესაბამისი სხვა ხეები ან მითოლოგიური პერსონაჟები, ქარები, ღმერთები. სამყაროს ჰორიზონტალური დაყოფა განსაკუთრებით ხელშესახებად ჩანს აცტეკთა მითოლოგიაში. სწორედ ეს სქემა უდევს საფუძვლად აცტეკთა არქიტექტურულ საკულტო ნაგებობებს.

სამყაროს ხის ჰორიზონტალური სტრუქტურა ახდენს არა მარტო რიცხვითი მიმართებების და ქვეყნიერების მხარეების მოდელირებას, არამედ წელიწადის დროების, დღე-ღამის, ფერებისა და სამყაროს ელემენტებისაც.

ჰორიზონტალური სტრუქტურა საშუალებას იძლევა განვასხვავოთ სამყაროს “ცივილიზებული” (კულტურასთან დაკავშირებული) და “აუთვისებელი” (ბუნებასთან დაკავშირებული) ნაწილები. სამყაროს ხე გამოყოფს კოსმიურ სამყაროს ქაოსურისგან.

სამყაროს ხის განსაკუთრებული როლი მითოლოგიაში განისაზღვრება იმით, რომ ის შუალედური რგოლია სამყაროს (მაკროკოსმოსს) და ადამიანს (მიკროკოსმოსს) შორის და წარმოადგენს მათი გადაკვეთის ადგილს. სამყაროს ხის სახე აჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს ადამიანი თავის ადგილს სამყაროში.

ცენტრალური ამერიკის ინდიელთა წარმოდგენა სამყაროს ხის შესახებ ბევრ ასპექტში ემთხვევა სამყაროს ხის ინდოევროპულ მოდელს როგორც ვიზუალური, ისე კონცეპტუალური თვალსაზრისით. ინდიელთა მსოფლადქმის ძირითადი თავისებურება სამყაროს ზონების მრავალფეროვნებაშია.

## ნანა გოგოლაშვილი

### “პოლიტკორექტულობის” ცნების შესახებ

“პოლიტიკური კორექტულობის” ანუ “პოლიტკორექტულობის” სახელწოდებით ცნობილი გამოთქმა დღეისთვის მხოლოდ ენობრივ ფენომენს არ წარმოადგენს. იგი გამოხატავს ადამიანთა პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისს, აზროვნების წესს, ქცევას, და, დრო და დრო, ცხოვრების სტილსაც კი; მაგრამ ამ ცნების ძირითადი საზრისი მაინც ენის ეგ. წ. სანქციონირებულ მართვაში მდგომარეობს. “პოლიტკორექტულობის” გავლენით მომხდარი ენობრივი ცვლილებების შეფასება მხოლოდ იმ აზროვნების წესის ფონზე შეიძლება, რომელიც მრავალ ენაში ჰპოვებს გამოძახილს და უნივერსალურ ხასიათს ატარებს. “პოლიტკორექტულობის” ცნება ამერიკული მენტალობის წიაღში იშვა და აღარ არის მარგინალური მოვლენა, რადგან კითხვებს საზოგადოებრივი თანაცხოვრების პრობლემებთან დაკავშირებით წამოჭრის, რასაც დღესდღეობით ვერცერთი საზოგადოება ვერ გაექცევა. ეს კითხვები ეხება ჰეტეროგენულ მულტიკულტურულ, მულტიეთიკურ, მულტირასობრივ, მულტიენობრივ, მულტისექსუალურ და მულტირელიგიურ საზოგადოებებს, რომელთა ცალკეულ წრეებსა და ჯგუფებს გლობალიზაციის პროცესში ერთმანეთთან უხდებათ ურთიერთობა.

როგორ ხდება ამ დროს ადამიანთა თანაცხოვრების ორგანიზება? რა აზრების გამოთქმის უფლება აქვთ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ასეთ საზოგადოებებში, როდესაც ყოველი სიტყვა შეიძლება კონფლიქტის მიზეზი გახდეს?

“პოლიტკორექტულობის” ცნება ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ენას ადამიანის ცნობიერებაზე და როგორ ცვლის იგი მისი ცხოვრების წესს. “პოლიტკორექტული” აზროვნება ეფუძნება კოლექტივისადმი მიკუთვნებულობის აბსოლუტიზაციასა და ფუნდამენტალიზაციას, და, ამდენად ყველაფერი, რასაც ადამიანი ამბობს, წერს თუ მოიმოქმედებს, დაკავშირებულია ერთადერთ კითხვასთან: ვის მიეკუთვნება იგი, აღიარებულ “მსხვერპლთა” თუ “მომალადეთა” ჯგუფს. სწორედ ამგვარი მსოფლმხედველობა შეადგენს “პოლიტკორექტულობის” ცნების ძირითად საზრისს, რადგან ადამიანი ამ დროს ცდილობს დაიმკვიდროს იდენტურობა, რომელიც მასში საკუთარი წრისა თუ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდას ბადებს. იმავდროულად, “პოლიტკორექტულად” მოაზროვნე ადამიანისთვის მიუღებელია ერთიანი სახელმწიფო ენა, რომელსაც მას თავს ახვევენ პარტიკულარული ენების ამავე ფუნქციით გამოყენების საპირისპიროდ.

## აკაკი გეთიაშვილი

### ჰუსიზმის იდეური წინამორბედნი

კათოლიკური ეკლესიის და მთლიანად ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლის, ადრეული რეფორმაციის, საერთო ევროპული კერა ჩეხეთია; ხოლო მისი იდეოლოგია ჰუსიზმი.

ჰუსიზმი, როგორც ეროვნულ-რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური იდეოლოგია, აღმოცენდა იმ სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური რეალებიდან, რომლებიც წარმოიშვნენ XIV საუკუნის მე-2 ნახევრისა და XV საუკუნის დამდეგის ჩეხეთში. კოსმოპოლიტური ხასიათის რელიგიური და პოლიტიკური ძალების განუსაზღვრელ ბატონობას (კათოლიკური ეკლესია და ეფემერული რომის საღვთო იმპერია) ემატებოდა მწვავე სოციალური და ეროვნული პრობლემატიკა, რაც მთელს ჩეხეთში მოწინავე ადამიანების პროტესტს იწვევდა.

ჰუსის იდეურ წინამორბედთა შორის შეიძლება დავასახელოთ ტინელი მონაზონი კონრად ვალდჰაუზერი, რომელიც უკვე XIV საუკუნის 60-ანი წლებიდან გამოდიოდა კათოლიკური ეკლესიის მკაცრი კრიტიკით და მრევლის წინაშეც მისგან ასეთივე მოწოდებები გაისმოდა. ვალდჰაუზერთან ერთად, ამავე პერიოდისაა მორავიელი მოძღვარი იან მილიჩი. მისი აზრით „საზოგადოების ხსნა ცხოვრების საღვთო წერილის მიხედვით მოწყობაშია“. მისმა შეხედულებებმა და პირადი ცხოვრების მაგალითმა დიდი გავლენა მოახდინა ჰუსის შეხედულებათა ფორმირებაზე.

მსგავს და უფრო რადიკალურ რელიგიურ და სოციალურ აზრებს ქადაგებდა ახლად გახსნილი პრადის უნივერსიტეტის მაგისტრი მათე იანოველი. მისი ნაწერები, საჯარო გამოსვლები და ქადაგებანი ჰუსზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მათე იანოველმა გახედა და უნივერსიტეტის სტუდენტების თანდასწრებით პაპს „დიდი ანტიქრისტი“ უწოდა.

ჩამოთვლილთა გარდა, ბევრი ჩეხი სწავლული გამოთქვამდა პროტესტს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ ჰუსზე ყველაზე დიდი გავლენა მაინც გამოჩენილმა იგლისელმა მოაზროვნემ და რელიგიურმა რეფორმატორმა ჯონ ვიკლეფმა მოახდინა.

ჩეხეთისა და ინგლისის სამეფო კარის დინასტიურმა ნათესაობამ ხელი შეუწყო ინგლისიდან ვიკლეფის იდეების ჩეხეთში გავრცელებას. ვიკლეფის ნაწერები სწრაფად ითარგმნებოდა და ფართო მსჯელობის საგანი ხდებოდა. თავად ჰუსმა თარგმნა და არაერთი ვრცელი კომენტარი გაუკეთა ინგლისელის თხზულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი სოციალური წარმომოხების გამო (ის გლეხი გახლდათ) ჰუსი ზედმიწევნით იცნობდა ხალხის რეალურ ცხოვრებას, რასაც მისი შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ჰუსიზმის უმთავრესი თეორიული ბაზა მაინც იყო საღვთო წერილი. ჰუსის ყოველი დებულება, რელიგიური, სოციალური თუ ეროვნული, საღვთო წერილიდან მოტანილი დებულებებით არის დასაბუთებული. ამიტომ იქცა მისი მოძღვრება საერთო სახალხო ეროვნულ-რელიგიური და სოციალურად სამართლიანი საზოგადოების იდეოლოგიად.

## სიბილა გელაძე

### ნეოლოგიზმები და ქსენიზმები თანამედროვე ფრანგულსა და ქართულში

მულტილინგვიზმისა და მულტიკულტურალიზმის ეპოქაში, რაც გლობალიზაციას მოჰყვება შედეგად, ენები უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს რაც აღნიშნულია, უპირველეს ყოვლისა ნეოლოგიზმებისა და ქსენიზმების არსებობით ნებისმიერი ენის წიაღში, ყველაზე დიდი დოზებით კი ეს ეხება ინგლისური წარმომავლობის ნეოლოგიზმებსა და ქსენიზმებს. ამ თვალსაზრისით ყველას გაახსენდება საყოველთაოდ გავრცელებული *OK. No comment!! No problem. რომლებიც თანაბარი სიხშირით არის შეჭრილი როგორც ქართულში, ასევე ფრანგულშიც.* ინგლისური წარმომავლობის ნეოლოგიზმების წარმოშობა ალბათ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დღეს ინგლისური ენა გვევლინება, როგორც **lingua franca** მთელი მსოფლიოს ინფორმატიკოსებისათვის., როგორც ვხედავთ განუომელია ახალი ტექნოლოგიები და კერძოდ, ინტერნეტის როლი, ინგლისური ენის დომინანტად გადაქცევაში. დღევანდელი ეპოქა სრულიად თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინტერნეტის ეპოქად, რომელიც დიდ გავლენას ახდენს დედამიწის ზურგზე არ სეზულ 6000 ენაზე, მათ შორის ფრანგულზე, რომელიც არის ჩვენი პროფესიისათვის ამოსავალი ენა და ქართულზე, რომელიც ჩვენთვის მშობლიური ენაა. ჩვენი ინტერესის საგანია უახლესი ნეოლოგიზმები და ქსენიზმები, რომლებიც უმეტესად ინტერნეტის ენასთანაა დაკავშირებული. ახალი სიტყვის გამოჩენა, ანუ ნეოლოგიზმი, არის ისტორიული ფაქტი, რაც ინდივიდუალური დისკურსიდან იღებს სატავეს, რაც გარკვეული აუცილებლობით არის გამოწვეული. როცა მოსაუბრე ცდილობს ახალი რეალობის , ან ახალი ცნების წარმოჩენას. სიახლე, ანუ ნეოლოგიზმი გამოხატული შეიძლება იყოს სიტყვის ფორმით მნიშვნელობით და სინტაქსით. ჩვენი კვლევის მიზანი ინტერნეტულ დისკურსთან დაკავშირებული ნეოლოგიზმების კვლევაა, თანამედროვე ფრანგულისა და ქართულის ფარგლებში, საიდანაც ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული და ქართული ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული ენებია, ნეოლოგიასთან დაკავშირებით ამ ორ ენაში პარალელური პროცესები ხდება.

## ქეთევან გაბუნია

### ციფრული ტექსტის ძირითადი მარკერები

ციფრული ტექსტი წერილობითი ფიქსირებული ტექსტის სახეობაა, რომლის საშუალებითაც ასინქრონული ფორსირებული დიალოგური კომუნიკაცია ხორციელდება. ციფრულ ტექსტში ჩართულია როგორც წერილობითი ტექსტი, ასევე დისკურსის მარკერები. მათი დისკურსულობა განპირობებულია ციფრული ტექსტის სწრაფვით – სრულყოფილი დიალოგური კომუნიკაცია ვიზუალურად აღქმადი გრაფემულ-გრაფიკული ელემენტებით. ციფრული ტექსტი დისკურსულ-წერილობითი ტიპისაა, თუმცა მას მაქსიმალური აზრობრივი კომპრესიის გამო არ გააჩნია წერილობითი ტექსტის ყველა აუცილებელი მარკერი. კომუნიკაცია ციფრულ ტექსტში ხორციელდება სხვადასხვა სივრცულ-ტემპორალურ ველში მყოფი კომუნიკატორებით. ისინი ტექსტში კოდირებული ემოციის დეკოდირებას ახდენენ კონცეპტუალური საკომუნიკაციო ელემენტებით–ემოციკონებითა და აკრონიმებით. პიქტოგრამები ციფრული ტექსტის კონცეპტუალიზაციისა და სტილისტიზაციის მარკერებია, რომელთა დახმარებით ხდება დისკურსის შემადგენელ კომპონენტთა, პარავერბალურ საშუალებათა რეპრეზენტაცია. ციფრული ტექსტი სტრუქტურულად და თვისებრივად ახალი ტიპის წერილობითი ტექსტია. რამდენადაც საკომუნიკაციო არხი ერთი მიმართულებითაა გახსნილი, ხოლო კომუნიკატორები არ იმყოფება ერთიან დეიქტიკურ ველში, ამდენად კომუნიკაცია ასინქრონულად მიმდინარეობს. ციფრულ ტექსტში ჩართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი მარკერები ქმნის ერთგვარ სინთეზს, თუმცა სწორედ მაქსიმალური აზრობრივი კომპრესიის გამო ციფრულ ტექსტს არ გააჩნია წერილობითი ტექსტის კონსტრუირების ყველა პარამეტრი. გარდა ამისა, ციფრული ტექსტის პროდუცირების პროცესში კომუნიკანტები შეგნებულად ამბობენ უარს მართლწერის წესების დაცვაზე. სავსებით მართებულია ციფრული ტექსტის მარკერებად პიქტოგრამების მიჩნევა, რომლებიც ხელს უწყობს კომუნიკანტებს ტექსტში კოდირებული ემოციების დეკოდირებაში, მით უფრო, რომ ზეპირი ტექსტის ერთადერთი პრიმატი სწორედ ემოციით დეკოდირების სემანტიკაში ვლინდება.

**კახა გაბუნია**  
**ბილინგვიზმი და დიგლოსია**  
**ქართულ-ზანურ-სვანური ენების ურთიერთმიმართების საკითხი**

ქართულ ენათმეცნიერებაში გავრცელებულია აზრი, რომლის მიხედვითაც ქართულ-ზანურ-სვანური ურთიერთობა შეიძლება აღიწეროს **დიგლოსიის** და **არამცდაარამც ბილინგვიზმის** ტერმინებში. ვფიქრობთ, ამგვარი კატეგორიულობა და მცდელობა, ერთი ტერმინი სრულად ჩაენაცვლოს მეორეს, თავად ამ ტერმინთა არასწორი გაგებისა და ინტერპრეტაციის შედეგია.

**ბილინგვიზმი**, საზოგადოდ, გამოიყენება **ინდივიდში არსებული ორენოვნების** დროს. რაც შეეხება **საზოგადოებასთან მიმართებით ორენოვნების** საკითხს – ამ დროს იხმარება ტერმინი **დიგლოსია**. (ფერგიუსონი, 1959; ფიშმანი, 1972, 1980; ჰადსონი 2001).

სიტყვა დიგლოსია მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, რაც ორი ენის ქონას აღნიშნავს. პრაქტიკაში კი დიგლოსია აღნიშნავს მოვლენას, როცა **ორი ენა გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა ფუნქციით**. მაგალითად, გარკვეულმა ჯგუფმა შეიძლება ერთი ენა გამოიყენოს სახლში, რელიგიურ რიტუალებში, სოციალურ აქტივობებში, ხოლო იმავე ჯგუფმა მეორე ენა გამოიყენოს სამსახურში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ მასმედიაში.

პირველად ტერმინი დიგლოსია გამოიყენა ფერგიუსონმა (1959) **ერთი და იმავე ენის ორი სახესხვაობის (დიალექტის) დასახასიათებლად**. შემდგომში ფიშმანმა (1972, 1980) გააფართოვა ტერმინის მნიშვნელობა და გამოიყენა ერთსა და იმავე არეალში პარალელურად გამოყენებული ორი ენის მიმართ. ფერგიუსონის (1959) ადრინდელი განმარტება განასხვავებს ენათა მაღალი და დაბალი დონის სახესხვაობებს და იმავე მიმართებით განიხილავს უმრავლესობისა და უმცირესობის ენებს, რაც დისკრიმინაციულია, რადგან სხვადასხვა ენა თუ ერთი ენის სახესხვაობა შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა მიზნითა და ფუნქციით.

ბილინგვიზმი ხშირად აღიქმება, როგორც ნაციონალიზმისთვის დაბრკოლება და, რაც უადრესად საინტერესოა – **როგორც უმცირესობის, ასევე უმრავლესობის მხრიდან**. შესაბამისად, ხდება გამიჯვნა უმცირესობათა და უმრავლესობის ენათა ნაციონალიზმს შორის. თუმცა, ბილინგვიზმი, როგორც ასეთი, ვერანაირად ვერ იქნება დაბრკოლება ეროვნული თვითიდენტიფიკაციისთვის (ვინაიდან ეს ტერმინი, როგორც ითქვა, **ინდივიდში არსებული ორენოვნების აღმნიშვნელია**): იდენტობის განსაზღვრა მხოლოდ რელიგიურ თუ ენობრივ ინდიკატორებზე დაყრდნობით ხშირად სრულიად არაადეკვატურ შედეგებს გვაძლევს:

1. ეროვნებით ქართველი ლაპარაკობს სამ მონათესავე ენაზე (ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური), თუმცა, ეროვნულ თვითიდენტიფიკაციაზე ენობრივი სხვაობა არანაირ გავლენას არ ახდენს.

2. არაქართულენოვანი მოსახლეობის ერთი ჯგუფი საქართველოში (ბაცბურ ენაზე მოლაპარაკეები) საკუთარ თავს ქართველებად მიიჩნევენ, ანუ მათი ეროვნული თვითიდენტიფიკაცია არ ემყარება ენობრივ ინდიკატორს;

3. ეროვნებით ქართველების ერთი ნაწილი, სარწმუნოებით მუსულმანია (აჭარლები, მესხეთიდან დეპორტირებული მაჰმადიანი ქართველები), თუმცა თავს ქართველად მიიჩნევენ; მაჰმადიანია აგრეთვე საქართველოში მცხოვრები ლაზების უმრავლესობაც.

## ნანა გაფრინდაშვილი

### ტოტალიტარული სახელმწიფო და ლიტერატურული ურთიერთობებისა და თარგმანის პრაქტიკა (საბჭოთა ლიტერატურის მაგალითზე)

საბჭოთა პერიოდის თარგმანებისა და ლიტერატურული ურთიერთობების მიმართ მკვლევართა დამოკიდებულება იმეორებს სალიტერატურო პროცესების მიმართ არსებული დამოკიდებულების მოდელს, რომელშიც რადიკალური მიდგომაც გვხვდება – სრული აღფრთოვანება და წრეგადასული აპოლოგეტურობა საბჭოთა პერიოდში და სრული უარყოფა და ნიჰილიზმი პოსტსაბჭოთა პერიოდში და ობიექტურიც. ტოტალიტარული კულტურა თავისი არსით მონოლოგურია, რაც თავისთავად აბრკოლებს და ზღუდავს მის დიალსს. თუმცა, ლიტერატურის განვითარება კულტურათა დიალოგის გარეშე წარმოდგენილია მაშინაც კი, როცა ლიტერატურა ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ფუნქციონირებს.

საბჭოთა კულტურის პოლიტიკა ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის თვალსაზრისით ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტისაგან შედგებოდა: ეს იყო საგარეო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა და საშინაო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა.

საგარეო კულტურულ-ლიტერატურულ პოლიტიკას დიდად განსაზღვრავდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური ვექტორი. რაც უფრო ძლიერდებოდა საბჭოთა ხელისუფლება და “სიმწიფის ხანაში” შედიოდა სოციალიზმი, მით უფრო ვიწროვდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მისაღები და კეთილსაიმედო უცხოელი მწერლების რაოდენობა. კეთილსაიმედო მწერლებს კომუნისტები “პროგრესულ მწერლებს” უწოდებდნენ, თარგმნიდნენ, დაუბრკოლებლად ბეჭდავდნენ მილიონობით ტირაჟით და ყველანაირად ეწეოდნენ მათს რეკლამირებას.

საშინაო კულტურულ-ლიტერატურულ პოლიტიკას მთლიანად განსაზღვრავდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის საშინაო პოლიტიკის კურსი. საბჭოთა კავშირი სხვადასხვა ეროვნული სახელმწიფოს მექანიკური, ძალადობრივი გაერთიანების შედეგად მიღებული იმპერია იყო, რომლის იდეოლოგიები ცდილობდნენ,



ეროვნულ კულტურათა შერწყმის ნიადაგზე მიეღოთ ახალი კულტურული ფენომენი, საბჭოთა კულტურა. აქედან გამომდინარე, ისინი მეტად დაინტერესებულნი იყვნენ, ვიდრე საბოლოო მიზანს (კულტურათა შერწყმას) მიაღწევდნენ, ჯერ გაეცნოთ და დაეახლოვებინათ ცალკეული ეროვნული კულტურები და ლიტერატურები ერთმანეთისათვის. ამიტომ მათ საგანგებოდ უნდა ეზრუნათ, გაედრმავებინათ საბჭოთა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობები და პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობა; ეჩვენებინათ, რომ “ხალხთა მეგობრობას” ჰქონდა დიდი ლიტერატურულ-კულტურული პოტენციალი და ხელს შეუწყობდა ეროვნული კულტურების განვითარებას.

საბჭოთა პერიოდში საბჭოთა ხალხებს შორის ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები არსებობდა, რომლებიც მკვეთრად იდეოლოგიზებული იყო; ხშირად ხდებოდა საექვო მხატვრული ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებების პროპაგანდა და ჭეშმარიტი ფასეულობების მიჩქმალვა, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად საბჭოთა მწერლები და მთარგმნელები ახერხებდნენ ცენზურის მარწუხების გარღვევას და ჭეშმარიტი იდეურ-ესთეტიკური ფასეულობების თარგმნასა და სხვა ხალხებისათვის გაცნობას.

## ნანა გელაშვილი

### ჩინეთში ბუდიზმის გავრცელების ისტორიიდან

ერთერთი უძველესი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება – ბუდიზმი ძვ.წ. VI საუკუნეში ინდოეთში აღმოცენდა და ფართო გავრცელება ჰპოვა აზიის ბევრ ქვეყანაში, სადაც საუკუნეთა მანძილზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, კერძოდ, ისტორიულ-პოლიტიკურ განვითარებაზე, იდეოლოგიაზე, კულტურაზე და სხვადასხვა ხალხთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე მთლიანად. ამ კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთერთი უძველესი და უმდიდრესი ცივილიზაციის კერა – ჩინეთი, სადაც ბუდიზმმა ახ.წ. I საუკუნეში შეაღწია.

თავდაპირველად ბუდიზმი ჩინეთში დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა. ეს უმთავრესად განპირობებული იყო ადგილობრივი ფილოსოფიური სისტემების – კონფუციონიზმისა და დაოსიზმის დოქტრინებით, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა ბუდიზმისგან.

მოგვიანებით, III-IV საუკუნეებში ჩინეთში მიმდინარე პოლიტიკურმა ძვრებმა და ტრადიციული ჩინური იდეოლოგიის კრიზისმა ხელი შეუწყო მმართველი წრეების დამოკიდებულების შეცვლას ბუდიზმის მიმართ. გაბატონებული დინასტიები, რომლებიც ხშირად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ბუდიზმს უკვე აღიქვამდნენ არა როგორც უცხო სარწმუნოებას, არამედ როგორც მძლავრ იდეოლოგიურ საყრდენს და ამდენად, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას. იმ ხანად ჩინეთში ბუდიზმის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უამრავი ბუდისტური ტაძრების, მონასტრების, პაგოდების, ბუდას გრანდიოზული ქანდაკებების და სხვა ბუდისტურ არქიტექტურულ ნაგებობათა ინტენსიური მშენებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუდიზმმა ჩინეთში გარკვეული სახეცვლილება განიცადა და ადგილობრივი ეროვნული ელემენტები შეიძინა. ეს ეხება როგორც საკულტო ნაგებობებს, ღვთის მსახურებას ისე ღმერთების და ღვთაებების პანთეონს.

VI საუკუნეში ბუდიზმი ჩინეთში გაბატონებული იდეოლოგია გახდა და ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიის სტატუსი მოიპოვა. ამის წყალობით ბუდიზმი სწრაფად შეეთვისა ადგილობრივ ტრადიციებს, დროთა ვითარებაში კი თავისი დოქტრინით ის ნაწილობრივ დაოსიზმს შეუთავსდა, მოგვიანებით კი – კომფუციონიზმს, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო მას ორგანულად შესისხლხორცებოდა ჩინურ კულტურას. ასე რომ, კონფუციონიზმთან და დაოსიზმთან ერთად, ბუდიზმი „სამი მოძღვრების“ ანუ „სამი რელიგიის“ სინკრეტულ ერთობას ქმნიდა, რომელშიც თითოეული მოძღვრება გარკვეული დოზით ერთმანეთს ავსებდა.

## ნინო გოგელია

### პერსუასია როგორც რეციპიენტზე ემოციური ზემოქმედების საშუალება პუბლიცისტურ ტექსტებში

პერზუაზიული სტრატეგიებისა და ტექნიკების გამოყენებით შესაძლებელია რეციპიენტის "ცხოვრებისეულ სამყაროში შეჭრა" და მასზე ემოციური ზემოქმედება. პერსუასიას - დარწმუნების ხელოვნებას - დიდი ტრადიციები აქვს. მისი, როგორც სტრატეგიის განვითარებას ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჩაეყარა საფუძველი. მასმედიების ეპოქაში კი მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მასმედიების საშუალებით შესაძლებელია ძალიან ბევრ ადამიანზე ზემოქმედება, მათი დათანხმების ან დაყოლების მიზნით.

მასმედიალურ კომუნიკაციას ჩვენს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მას შეუძლია იმ პროცესების გამოწვევა, რომლებიც ადამიანთა ემოციებზე ახდენენ ზეგავლენას და რეციპიენტის გრძნობებზე მიმართული ზუსტი სტრატეგიების გამოყენებით აღძრავენ მათში გარკვეულ ემოციურ მდგომარეობას. ეს პროცესები იმ

ენობრივი სტრუქტურების დახმარებით რეალიზდება, რომლებიც მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ემოციურად დატვირთულია.

ემოციები თავს იჩენენ არა მარტო ენობრივი გამოხატვის ფორმებში, არამედ მათ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ ასევე ტექსტის პროდუცირებისა და მისი რეცეფციის დროსაც.

მოხსენებაში ზოგადად განხილულია საკითხი, თუ როგორ შეიძლება პერსუასიული სტრატეგიების გამოყენებით რეციპიენტის ემოციონალიზირება:

1. შეუძლია თუ არა დარწმუნების ხელოვნებას (პერსუასია) რეციპიენტში გარკვეული ემოციების გამოწვევა, ანუ შეიძლება თუ არა ემოცია იყოს დამარწმუნებელი;

2. რა საშუალებებით ხდება ემოციების რეციპიენტამდე მიტანა და მასზე ზემოქმედება.

ასევე განხილულია კავშირი გარკვეულ ემოციებსა და მათ ენობრივ გამოხატულებებს შორის პუბლიცისტიკის სფეროს განსაზღვრულ ტექსტებში ან ტექსტის სახეობებში, რადგანაც ბევრი მასმედიალური ტექსტი არა მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელია, არამედ საზოგადოებრივი აზრის შემქმნელიც არის და ასევე გარკვეული ემოციების გამომწვევიც და გამაძლიერებელიც.

ემპირიული კვლევის ენობრივ კორპუსს წარმოადგენს მარიონ დენჰოფის პუბლიცისტური ტექსტები. არსებული კორპუსის ეგზემპლარული ანალიზის საფუძველზე წარმოჩინდება, თუ რა სტრუქტურებითა და რომელი ენობრივი და სტილისტური საშუალებების გამოყენებით გამოიხატება ემოციები მარიონ დენჰოფის პუბლიცისტურ ტექსტებში, რამდენად არის მათში რეალიზებული პერსუასიული სტრატეგიები და ემოციონალიზირების სხვა საშუალებები და ნაჩვენებია, რომელი ფენომენებია ტექსტებისათვის სპეციფიური და ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტექსტუალური ემოციის წარმოდგენისათვის და რეციპიენტზე ემოციური ზემოქმედების მოხდენისათვის.

## თედო დუნდუა

### ჰელიოცენტრიზმი და I ციკლის კაპიტალიზმი (ნუმინომატიკური მასალების მიხედვით)

კაპიტალისტური ციკლების შედარებითი კვლევა ცნობიერების განსხვავებულ სეგმენტებს შეეხო – კონსტიტუციურ თუ ინსტიტუციურ მოწყობას, არქიტექტურას თუ ქალაქის დაგეგმარების ძირითად პრინციპებს, სახვით ხელოვნებას და აშ. ზოგადი ტიპოლოგიური მსგავსება აშკარაა II ციკლის საერთო სტრუქტურული უპირატესობის ფონზე.

დემოკრატია აშშ-ში ათენის დემოკრატიის ციკლური პარალელია, დღევანდელი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები – აია სოფიას უზარმაზარი თაღის, ნიუ-იორკის ქუჩების დაგეგმარება ჰგავს მილეთის და ალექსანდრიისას, სახვითი ხელოვნების თანამედროვე ნატურალისტური ექსპრესია – ბერძნულ-რომაულ პორტრეტს.

რა შეიძლება ითქვას სხვა დარგების, ვთქვათ, ასტრონომიის შესახებ; არსებობდა თუ არა მყარი ჰელიოცენტრული კონცეფცია ბერძნულ-რომაულ სამყაროში? ალბათ, კი.

გეოცენტრიზმის აქსიომად ქვეულ იდეას ანტიკურ ხანაში მაინც აკრიტიკებდნენ, თანაც ორი მხრიდან – ფილოსოფიური და ტექნიკური თვალსაზრისით. პითაგორელებისთვის სამყაროს ცენტრი ცეცხლია (იგივე მზე); არისტარქე სამოსელს (დაახლ. ძვ. წ. 310-230 წწ.) კი უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა იმის დაშვება, რომ სწორედ დედამიწა ბრუნავდა უზარმაზარი მზის გარშემო. გეოცენტრიზმის რევიზიის მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია, არც ბერძნულ-რომაულ სამყაროში, და არც მის მიღმა, მაგ. ეგვიპტესა და ინდოეთში.

იმპერატორის ძალაუფლების ზრდა და საიმპერიო მითრიაზმის ინტენსიური დანერგვა III ს-ის კომპლექსური მეთოდი, და მისი მიზანია მძაფრი კრიზისის ლიკვიდაცია. გამოდის, რომ, ძალაუნებურად, ჰელიოცენტრიზმი პოლიტიკური (საიმპერიო) ინტერპრეტაციის საგანი გახდა.

ვინ დგას კაცობრიობის ცენტრში? რომაელთა იმპერატორი. ვინ არის ის? განხორციელებული ღმერთი – Sol Invictus (მზე უძღველი). სწორედ ასე დასრულდა იმპერატორთა საუკუნოვანი სწრაფვა ღვთაებრიობისკენ. თურმე ძალზედ იოლი ყოფილა ავგუსტეს გულის მოგება; საკმარისი იყო მისთვის ვინმეს ეთქვა, რომ მის თვალეებში მზის ბრწყინვალეობას ხედავდა (Suet., Aug. 79, 2). აპოლონ/ჰელიოსი ახალგაზრდა კეისრის საყვარელი ღმერთი იყო. კალიგულა იუდეას ომით ემუქრებოდა, თუკი მის ქანდაკებას იერუსალიმის დიდ ტაძარში არ მოათავსებდნენ; ალბათ, თავს იაჰვე/აჰურო მაზდაოს ინკარნაციად მიიჩნევდა როგორც მითრა/აპოლონი. ნერონი მსოფლიოში საუკეთესო კითარედის ამბიციებით აპოლონს ედრება. ელაგაბალი კი უფრო შორს მიდის. დაბოლოს, “რესპუბლიკური” პრინციპსი გადაიქცა იმად, რადაც უნდა გადაქცეულიყო – *Dominus et Deus*. გამომდინარე ყოველივე აქედან, იმ დროისთვის ცნობილი რვა პლანეტის (იუპიტერი, მარსი, მერკური, სატურნი, ვენერა, მზე, მთვარე, დედამიწა) პირობებში, რომელი მათგანი გახდებოდა სამყაროს ცენტრი? რა თქმა უნდა, მზე.

ამ თეზას, თითქოს, ნუმინიზმის მასალა ამაგრებს.

ძირითადად III ს-ის იმპერატორების გასხვივოსნებული გვირგვინები რვა ქიმს იტევს. თავისთავად, გასხვივოსნებული გვირგვინის პერმანენტულ რეგალიად ქცევა უკვე სიმპტომატურია, რვა ქიმი კი, ალბათ, რვა პლანეტას შეესაბამება.

იმპერატორ ლუციუს დომიციუს ავრელიანეს (270 - 275 წწ.) პრეფერენციაა *Sol Invictus*-ი. მის გასხვივოსნებულ გვირგვინს უკვე შვიდი ქიმი ამშვენებს. მერვე პლანეტას, “უძლეველ მზეს”, კი თვით განასახიერებს. როგორც ჩანს, ჰელიოცენტრიზმი საიმპერატორო “პროტექციის” ქვეშ მოექცა.

ქრისტიანობის ტრიუმფს შედეგად მოჰყვა ჰელიოცენტრიზმის დენონსაცია. XVI ს. ის აღორძინდა II ციკლისთვის დამახასიათებელი თვისებრივი სისრულით.

აღსანიშნავია, რომ სტანდარტული ელინური ან ელინიზირებული პანთეონის პირობებში, სტანდარტულ ქვეყანაში სოლარული გვირგვინი კონკრეტული მმართველის ჰელიოსის რანგში აყვანას ნიშნავს, და სხვა არაფერს.

## ნინო ეჯიბაძე,

### ეგვიპტური დიალექტური ლიტერატურა

XX საუკუნიდან დაიწყო და ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა არაბულ სამყაროში დიალექტზე წერის ტენდენცია. დღეის სიტუაციით, პირადი კორესპონდენცია, მხატვრული ლიტერატურის ერთი, ფრიად შთამბეჭდავი ნაწილი სწორედ დიალექტზე იწერება არაბული გრაფიკული სისტემის გამოყენებით. მხატვრულ ლიტერატურაში ამ ტენდენციას საფუძველი ჩაუყარეს არაბული ლიტერატურის ისეთმა მნიშვნელოვანმა ფიგურებმა, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, მაჰმუდ თეიმური, თაუფიკ ალ-ჰაქიმი და სხვები. მხატვრული ლიტერატურის ორივე ძირითადი მიმართულება განიცდის დიალექტიზაციას. დიალექტზე იწერება პოეზიაში, ძირითადად, ლირიკა, ასევე სიმღერების ტექსტები. პროზაში დიალექტზე იქმნება როგორც მცირე, ისე დიდი ფორმატის ნაწარმოებები.

დიალექტზე თავდაპირველად ან მხოლოდ დიალოგები იწერებოდა, ან, ხზულების მთლიანად დიალექტურობის შემთხვევაში, ეს მხოლოდ იუმორისტული ან სატირული ნაწარმოები იყო. პირველი ტიპის ნაწარმოებებიდან შეიძლება დასახელდეს: მ. თეიმურის პიესები, თაუფიკ ალ-ჰაქიმის რომანები (მაგალითად, “სულის დაბრუნება” და სხვ). მეორე ტიპის ნაწარმოებებში განსაკუთრებით ცნობილია ბეირამ ათ-თონსის “საიდი და მისი ცოლი პარიზში”. ეს არის იუმორისტულ-სატირულ მაკამათა კრებული, რომელიც ბევრ ევროპულ უნივერსიტეტში ეგვიპტური დიალექტის საუკეთესო სახელმძღვანელოდ იქნა აღიარებული.

პირველი სოლიდური სრულფორმიანი ნაწარმოები არის მუსტაფა მუმარაფას “კინტარა, რომელმაც შესცოდა”, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, რომ მისი ავტორი ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი იყო, ეინშტეინის მეგობარი და თანამშრომელი. ეს რომანი, რომლის სიუჟეტი ეგვიპტის 1919 წლის რევოლუციის ფონზე იშლება, პირველი მცდელობა იყო ეგვიპტურ ლიტერატურაში დრამატული განწყობის ნაწარმოების დიალექტზე შექმნისა.

რაც შეეხება პოეზიას, უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია სალაჰ ჯაჰინის ლირიკა. სალაჰ ჯაჰინს ეკუთვნის რამდენიმე ლირიკული კრებული, რომელთაგანაც განსაკუთრებით პოპულარულია “რობაიები” – ფილოსოფიური ხასიათის რობაიათა კრებული.

## ეკა ვარდოშვილი

### ბიბლიური სახეები ილია ჭავჭავაძის პოეზიაში

ჩვენთვის საყურადღებოა პოემა “აჩრდილის” XVII თავი, სადაც ავტორი მცხეთაზე საუბრისას აღნიშნავს:

“აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,  
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა.” (“აჩრდილი”).

ამ შემთხვევაში ილია მცხეთას ამსგავსებს სამოთხის ბაღს. ლექსში “კითხვა-პასუხი” ჩვენთვის საინტერესოა პასუხი:

“მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...  
მე ტკბილი ცხოვრების წყაროსა გაწვდით” (“კითხვა-პასუხი”).

ბიბლიის თანახმად სამოთხეში დგას ცხოვრების ხე და მოსჩქეფს წყარო ცხოვრებისა. დავით ფსალმუნთმგალობელი ასე მიმართავს უფალს: “რამეთუ შენგან არს წყარო ცხოვრებისაი და ნათლითა შენითა ვიხილოთ ჩუენ ნათელი” (ფსალმუნნი, 35,9). “ცხოვრების წყარო” მამა-ღმერთის სიმბოლოა. ნ. ბარათაშვილი ლექსში “ჩემი ლოცვა”, შემდეგნაირად მიმართავს ღვთაებას: “ღმერთო მამაო”, “ცხოვრების წყაროვ”, “ჰოი, სახიერო”.

ილია ლირიკაში საუბრობს “უკვდავების წყაროსა” და “მადლის წყაროზე”. გავიხსენოთ ილიას უსათაურო ლექსი .: (“უსულდგმულო ცხოვრება”):

“ნეტავ ვინც კარგის საქმით  
აღნიშნავს თავის დროსა!  
ის იქავ ეწაფება  
უკვდავების წყაროსა” (“უსულდგმულო ცხოვრება”).  
ასევე ლექსი “დამაკვირდი”.

“გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ.  
კაცს შენზედ შურით მწვდომსაო!..

...

მადლისა წყაროს ასმევდე  
ცოდვის გუბეში მდგომსაო” (“დამაკვირდი”).

გურამიშვილის “დავითიანის” ერთ-ერთ თავს “უკვდავების წყაროს იგავთ ახსნა” ეწოდება. პოეტი იგავში ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის სურათს გვიხატავს და აღნიშნავს, რომ ყოველივე “ცხოვრების წყაროს” შემწეობით მოხდა. იგავის ბოლო სტროფი 148-ე ფსალმუნის გარდათქმაა. “ცხოვრების წყარო” ეს იგივე “უკვდავების წყაროა”, როდესაც ილია ამბობს: “ის იქავ ეწაფება უკვდავების წყაროსა”, ან “მადლისა წყაროს ასმევდე ცოდვის გუბეში მდგომსაო”, გულისხმობს მარადიულთან ზიარებას, უფლის სულთან წილხვდომილობას.

“აჩრდილში” საუბარია ასევე ცხოვრების ხეზე, რომლის ნაყოფი იყო არა მარტო ადამიანის უკვდავების და განცხრომის საწინდარი სამოთხეში, არამედ მისი სულიერი საზრდოც. სამოთხიდან განდევნის შემდეგ ადამიანს აღარ შეეძლო ამ ხის ნაყოფის ჭამა, რადგან მან იგემა ნაყოფი ცნობადის ხისა. ილიას პოეზიაში საუბარია ასევე “ხე ცნობადისას” შესახებ.

პოემაში “ქართველის დედა” ვკითხულობთ:  
“თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,

...

ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;  
მაგრამ სამოთხეც, ყოვლისფრით აღსავსე, სრული,  
პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო” (“ქართველის დედა”).

“ხე ცნობადისა” თავისუფლების ხეა, რადგან ადამიანს ეძლევა არჩევანის საშუალება, ემსახუროს სიკეთესა თუ ბოროტებას, იაროს სრულყოფილებისაკენ მიმავალი გზით, თუ პირიქით.

ილიას ნაწარმოებებში გამოყენებულ რიგ მხატვრულ სახეთა საფუძველია ბიბლია.

## ანასტასია ზაქარიაძე

### ბიოეთიკური დილემები და ქრისტიანული ეთიკა

*” და მიუგო მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვ  
თქუნ რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა  
ჩემთასა, იგი მე მიყავთ.” (მათ. 25.40)*

კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს, რომ პროგრესს რეალურად ადგილი აქვს იქ და მაშინ, როდესაც ნებისმიერი ადამიანის ღირსება და მნიშვნელობა პატივდებულია, როდესაც ადამიანის ეთიკური უფლებები და ღირებულებები დაცულია. მაგალითად იურიდიული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ბავშვების, ავადმყოფების, ხეიბრების უფლებებს, კრძალავენ მონობისა და რასიზმის სხვადასხვა ფორმებს, ემყარება ავთენტური სიკეთის დაცვის აუცილებლობას.

თანამედროვე ინფორმატიკისა და ბიოტექნოლოგიების განვითარების ეპოქა აღინიშნა ადამიანზე ჩატარებული ექსპერიმენტების სფეროში უდიდესი სამეცნიერო მიღწევებით; ამ პროცესებს თან სდევს ადამიანის უფლებების ბოროტად გამოყენება; ადამიანის ღირსების შელახვა და ამ აქტის კეთილშობილური მიზნებით ”შეფუთვა.”

ქრისტიანული ეთიკის დისკურსში უპირველეს პრიორიტეტად დასახულია ადამიანის ღირსებასა და უფლებებს აღიარება და დაცვა. პირველყოვლისა ეს ვლინდება ჯერ არშობილი ადამიანის უფლებების დაცვაში. ქრისტიანული ეთიკა უპირისპირდება ყველა იმ პრაქტიკას, რომელიც მიმართულია მის დისკრიმინაციაზე.

ქრისტიანული ეთიკის ამოსავალი დებულებაა – ჯერ არ შობილ ადამიანსაც აქვს პიროვნული ღირსება, იგი განუმეორებელი არსებაა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პიროვნული ღირსების მქონე. ღვთის ხატად შექმნილი ადამიანში თავად ქრისტე გვხვდება.

უკანასკნელ ათწლეულებში მნიშვნელოვნად გაღრმავდა ცოდნა არსებობის დაწყებით სტადიაში მყოფი ადამიანის სიცოცხლეზე, ადამიანის ბიოლოგიური აგებულებისა და მისი გენერაციის პროცესის უცნობი ასპექტებია გამოვლენილი და შესწავლილი. ეს ვითარება ხელს შეუწყობს პათოლოგიების გამოსწორებას, მათ დამღევას. არსებობს ბიოეთიკური პრობლემების პრაგმატული ხედვები; დისკურსიის პრაგმატულ ველზე ადამიანი აღიქმება საექსპერიმენტო მასალად, მისი სხეული მიჩნეულია უჯრედების ერთობლიობად, უგულვებელყოფილია ემბრიონული სხეულის განვითარება მიზანშეწონილი წინასწარგანზრახული ”პროგრამით.”

ჩასახვის მომენტიდან ადამიანური არსება ერთი მთლიანი - ფიზიკურისა და სულიერის განუყოფლობაა, უფლის ხატობა და მსგავსებაა. ამდენად არსებობის პირველი წუთიდან ადამიანის ნაყოფი ზიგოტის ჩამოყალიბებიდან მოყოლებული მოითხოვს უპირობო პატივისცემას. ამ მომენტიდანვე უნდა აღიარებულ იქნეს პიროვნების უფლებები, რომელთა შორის უპირველესია სიცოცხლის დაურღვეველი უფლება.

ყოველი ადამიანი უკვე არსებობის ფაქტის გამო ფასობს. ღვთის ხატად შექმნილ ადამიანში მისი არსებობის ყველა ფაზაში აისახება მხოლოდშობილი ძის სახე. ხოლო მისი



სიცოცხლე ყოველთვის სიკეთეს, რადგანაც იგი ღვთის სახის მაჩვენებელია წუთისოფელში, მისი არსებობის ნიშანია.

რეპროდუქციის დამხმარედ გამოყენებული ყველა ტექნოლოგია უარსაყოფი არ არის. ეთიკური კუთხით მათი შეფასება უნდა მოხდეს პიროვნების ღირსებასთან კავშირში, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის კვლევა, რომელიც უნაყოფობის პრევენციას ეხმარება წამახალისებელია. ისიც ყურადსადებია, რომ თავისთავად უზნეო ქცევა, თუნდაც კეთილი მიზანი ამოძრავებდეს, არ ჩაითვლება მორალურად.

## რუსუდან ზექალაშვილი

### ზმნების ფუნქციური კლასიფიკაცია ქართულ ენაში

ქართულ ენაში, სხვა ენების მსგავსად, ფუნქციის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ზმნათა ორი ჯგუფი: სრულმნიშვნელოვანი და არასრულმნიშვნელოვანი. ამ ჯგუფებს შორის არაა მკვეთრი ზღვარი, რადგან ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელოვანისა, ისე დამხმარე (არასრულმნიშვნელოვანი).

ზმნათა უმრავლესობა ქართულ ენაში სრულმნიშვნელოვანია და წინადადებაში დამოუკიდებლად ქმნის შემასმენელს. მაგრამ როცა ზმნის ძირითადი მნიშვნელობა ცვდება და უფერულდება, მაშინ ზმნა მხოლოდ გრამატიკულად გამოხატავს პრედიკატულობას და წინადადებაში შემასმენელს გამოხატავს სხვა სიტყვასთან ერთად

(არსებით ან ზედსართავ სახელთან, მასდართან, მიმღობასთან...). ძირითადი სემანტიკური დატვირთვა ასეთ შემთხვევაში მეორე სიტყვაზე მოდის.

ქართულ ენაში არასრულმნიშვნელოვან ზმნებში, თავის მხრივ, გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

1. **დამხმარე** ანუ მეშველი ზმნა:

ა) დროითი ფორმების საწარმოებლად გამოყენებული **არის** ზმნა აწმყოში სტატიკურ ზმნებთან (სტატიკური ვნებითები: ვწერივარ, ვგდივარ... მედიოპასივები: ვზივარ, ვდგავარ, ვუყვარვარ...), I თურმეობითში მოქმედებითი გვარისა (ჩაგიწერივარ, შემიქიხარ...) და ვნებითი გვარის ორპირიან ზმნებთან (დავმალვივარ, გავზრდიხარ...), თურმეობითებსა და III კავშირებითში ვნებითი გვარის ერთპირიან ზმნებთან (დავბადებულვარ, გავზრდილვარ... დავბადებულიყავი, გავზრდილიყავი... დავბადებულიყო, გავზრდილიყო...). ასეთ ფორმებში **არის** აღარ აღიქმება ცალკე ერთეულად და შერწყმულია ზმნის ფუძესთან.

ბ) აღწერილობითი ვნებითის საწარმოებლად გამოყენებული **იქნება/იქნა** ზმნა (დამუშავებულ იქნება, შესწავლილ იქნა, უზრუნველყოფილ იქნა...).

გ) ძაერთის ფუნქციით გამოყენებული (ე. წ. კოპულატიური) ზმნები, რომლებიც სახელთან ერთად ქმნიან შედგენილ შემასმენელს: **არის** (იქნება, იყო), ამ ზმნის ფუნქციური ეკვივალენტები: გახლავთ, ბრძანდება, წარმოადგენს, რელატიური ფორმები – აქვს, ჰყავს, ასევე: გახდება, გამოდგა, აღმოჩნდა, იქცა, დარჩა, დადგება, გამოვა, დაჯდა, ჰგონია, ჩანს, ღირს.

2. **მოდალური** ზმნები, რომლებიც ორკომპონენტთან ზმნურ შემასმენელს ქმნიან მეორე უღლებადი ფორმის კავშირებითთან ან II თურმეობითთან ერთად: სურს, უნდა, შეიძლება, შეუძლია... (სურს შეისწავლოს, უნდა აღწეროს, შეეძლო დაემუშავებინა...).

3. ვერბალიზატორები ანუ ზმნურ-სახელურ შესიტყვებაში გამოყენებული **ფუნქციური** ზმნები: წარმოებს/იწარმოება, განახორციელებს/განახორციელდება, ატარებს/ტარდება, ახდენს/ხდება, აღენიშნება/აღინიშნება...

## ხათუნა თუმანიშვილი

### პარემიის სემანტიკურ-სტრუქტურული ორგანიზების ტიპები და ფუნქციები (არაბული მაგალითების კორპუსზე დაყრდნობით)

უკანასკნელ ხანს პარემიოლოგთა ინტერესი განსაკუთრებითაა მიმართული მცირე პარემიათა სტრუქტურულ-სემანტიკურ მიმართებებზე (რ. იაკობსონი, ა. კრიკმანი, ნ. ბარლი; ვ. ბოედერი), განსაკუთრებით ისეთი ფონოლოგიური მახასიათებლების განსაზღვრაზე როგორცაა, ალიტერაცია, რითმა, ასონანსი და ა.შ.. ლიტერატურული და ენათმეცნიერული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ პრაქტიკულად ისეთმა შეცდომებმა და გამარტივებამ, როგორცაა პოეტური ნაწარმოების შინაარსის „სრული გამოყოფა“ მისი

ფორმისაგან და, შესაბამისად, იმ სირთულეების გაუაზრებლობამ, რომლებიც წარმოიშვება მისი ცალკე შინაარსის კვლევისას, თავისი ნეგატიური ასახვა პოვა ანდაზების, როგორც ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობის მქონე პარემიების კვლევაშიც.

ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ, კვლევის ისტორიაში არსებული გამოცდილების, და, მეორე მხრივ, არაბულის სპეციფიკის (როგორც დიგლოსიის პრობლემა არაბულში, ისე მოცემული ქვეყნის შიდაენობრივი მრავალშრიანი სივრცე) გათვალისწინებით, სირიული/ლიბანური ფოლკლორის მცირე ფორმებიდან შერჩეული მაგალითების ანალიზის საფუძველზე თეორიულ პლანში გავიაზროთ, ერთი მხრივ, როგორ, რა ზოგადი და, ამავდროულად, თითოეულისათვის დამახასიათებელი რა კერძო საშუალებებით მიიღწევა კონკრეტული მაგალითის სემანტიკურ-სტრუქტურული ორგანიზება.

მოხსენებაში, წინა პლანზეა წამოწეული ე.წ. “ცარიელი სტრიქონების” (ერთი შეხედვით უშინაარსო ბგერათგამეორებები) ტიპები და ფუნქციები, რომელიც, როგორც ჩანს, ქვეცნობიერად მისი იდეური შინაარსის ფორმირებასა და დეკოდირების პროცესში სიღრმისეული სემანტიკის შთამბეჭდავობის ხარისხზეც აისახება.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული (რ. იაკობსონი, ვ. შტეინიცი, ნ. პოპპე) შეფასებების მართებულობა, რომ ფოლკლორში პოეტური თავისუფლების შესწავლა მსგავსია “მიახლოებითი გართიმვის” (რ. იაკობსონი) წესების გარჩევისა. ის პრაქტიკულად ობიექტურ ჩვენებას იძლევა მოცემული ენის სტრუქტურული თავისებურებების, მისი სპეციფიკის შესახებ : სინტაქსური, მორფოლოგიური და ლექსიკური მიმართებების შესატყვისობა და განსხვავებულობა, სემანტიკური მსგავსებისა და მომიჯნავეობის სხვადასხვა სახეობები, სინონიმური და ანტონიმური აგებულება და სხვ.

მაგალითების გაანალიზების საფუძველზე გამოვლინდა, რომ არაბული ზეპირსიტყვიერების გრამატიკა და ფონოლოგია ხშირ შემთხვევაში რთულ და ნატიფ კანონზომიერებათა მთელ სისტემას შეიცავს. მათში არსებული განმეორებადი “გრამატიკული ფიგურა” “ბგერით ფიგურასთან” (ჯ. ჰოფკინსი) ერთად რითმობრივად სრულყოფილ, ძალზე მკვრივ პარალელურ ფორმებს აფიქსირებს. გაანალიზდა ამგვარი მწყობრი ორგანიზაციისთვის რა საშუალებებს იყენებს მოცემული ფიგურალური გამოთქმა. წარმოჩინდა ის კომბინირებული მექანიზმი, რომელთა კომპლექსური ამუშავებით მიიღწევა მათი ფორმალური და შინაარსობრივი მთლიანობა. შესაბამისად, გამოვლინდა თითოეული სეგმენტის როლი, როგორც მხატვრული მთელის კომპოზიციაში.

არაბულენოვანი საილუსტრაციო მასალა მოპოვებულია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ არაბი ინფორმანტებისაგან. ტექსტთა უმრავლესობისათვის დაძებნილია ქართული აზრობრივი პარალელები.

## მია თუხარელი

### „გოთური“ რომანის პოეტიკის საკითხისათვის („გოტური“ რომანის აღქმა რუსეთში)

„გოთური“ რომანი მიეკუთვნება ჟანრების იმ რიცხვს, რომელთა შესწავლას სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ყურადღება ეთმობოდა. საგულდაგულოდ იკვლევდნენ მთლიანად ჟანრისა და მის ნაირსახეობათა აღმოცენების და განვითარების ისტორიას, თითოეული ავტორის შემოქმედებითი მანერის თავისებურებებს და ა.შ. მაგრამ ნაშრომების უმრავლესობაში ყურადღების ცენტში მოქცეულია ან „საშინელებათა რომანების“ არსებობისა და პოპულარობის ისტორია ან ცალკეულ ნაწარმოებათა ანალიზი. ჟანრის ზოგადი პოეტიკის საკითხი კი იშვიათად ხდებოდა კვლევის საგანი, უფრო ხშირად გზადაგზა მოცემულ ცალკეულ შენიშვნებს თუ შევხდებით. ამიტომ, სპეციალური ლიტერატურის სიუხვის მიუხედავად, ამ ჟანრთან დაკავშირებულ პრობლემათა მთელი რიგი ისევ გადაუჭრელი რჩება. „გოთური რომანის“ ნიშან-თვისებები, რომლებიც დროთა განმავლობაში „შტამპებად“ იქცა, შემჩნეულ იქნა უკვე XIX საუკუნის დასაწყისში. მაშინვე გაჩნდა პაროდები - მათში არაჩვეულებრივად ზუსტად იყო შენიშნული „გოთური“ ჟანრის „ზოგადი ადგილები“. კონცენტრირებული და ოდნავ უტრირებული, ისინი ქმნიდნენ აშკარა კომიკურ ეფექტს. მოგვიანებით ეს თავისებურებანი არა ერთხელ იყო აღნიშნული მეცნიერულ კვლევებში. მნიშვნელოვნად ნაკლები ყურადღება ეთმობოდა „გოთურ“ რომანებში სიუჟეტისა და კონფლიქტის ანალიზს. თუმცა სწორედ ეს კატეგორიები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საფუძველი „საშინელებათა რომანების“ კლასიფიკაციისათვის. XVIII საუკუნის ბოლოს - XIX დასაწყისში ეს ჟანრი იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული. შემდეგ კი იყო თითქმის სრული მივიწყება, მაგრამ ახალ პროზაში თანდათანობით ჩნდება თითქოს და მყარად მივიწყებული რომანების მოტივები და სცენები. ეს იყო ძველი ჟანრის ახალი სხოვრება; იგი კვდებოდა და თავისი წვენიტ კვებავდა ახლად აღმოცენებულ რომანტიკულ ლიტერატურას. „საშინელებათა რომანებმა“ ნამდვილად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს სხვა ჟანრებზე, უპირველეს ყოვლისა კი, ისტორიულ რომანზე.

## ვახტანგ იმნაიშვილი

### ძველი ქართული ენის ლექსიკიდან

#### 9. სამხარი და სამჯარი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **სამხარი** ახსნილია, როგორც “პურის ჭამა სადილსა და ვახშამს შორის”.

ძველ ქართულში “სამხარს” რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. პარალელურად გვხვდება “სამჯარი”. მათ დაახლოებით ერთნაირი ჟღერადობა, მაგრამ სრულიად განსხვავებული შინაარსი აქვთ. გავეცნოთ ორივეს.

##### 1. სამხარი

**სამხარი** ძველ ძეგლებში ძირითადად “სამხრეთს” და “სადილს” აღნიშნავდა. ზ.სარჯველაძემ მოიძია იშვიათი მაგალითები, რომლებშიც **სამხარი** “საუზმის” ბადალია.

ზემოთ მითითებულთა გარდა, **სამხარს** სხვა შინაარსიც გამოაჩნდა. თავი მოვუყაროთ ყველა გამოვლენილ მნიშვნელობას:

1) **სამხრეთი**: სადადთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოდთ-მე ანუ **სამხრით** (ისტ. ქრ., I, 214,10). ზოგჯერ **სამხარს** პარალელურ რედაქციაში ენაცვლება მისი სინონიმი **ბლუარი** (ისუ ნავე 15,1 pb; 15,4 pb; მათ.12,42 C).

2) **სამხარის** მეორე მნიშვნელობა პირველიდან გამომდინარეა – ესაა “სადილი”, რომელსაც იმ დროს მიირთმევენ, როცა მზე სამხრეთით გადადგება: მერმე ოდესმე **სამხარი** იყო საებისკოპოს შინა და ჰქონდეს ეპიფანეს ყოველნი მღდელნი ტაბლასა მას ზედა (საკ. წ. II, 119,9).

3) **სამხრობა** ნიშნავს “სადილობას”: დაიყენა იგი ... მის თანა ჟამსა **სამხრობისასა** და შემდგომად **სამხრობისა** უსხა ... ჳელთა წყალი (მ. ცხ. 325r).

4) **სამხრის ყოფა** – “სადილის გამართვა, მოწყობა”: უბრძანა მათ ებისკოპოზმან მის თანა **სამხრის ყოფა** (საკ. წ. II, 97,4).

5) **სამხარს, სამხრის, სამხრად** აღნიშნავს დროს (=შუადღისას): წარვიდის ყოველი იგი ერი შუა **სამხარს** (დან. 13,7 O); დილეულ და **სამხრის** მიუთხრობდე (ფს. 54,18); ცისკრისა ლოცვისა ჟამსა და **სამხრად** აღასრულონ რად საღმრთოდ საიდუმლოდ (პეტრიწ. 5,7).

“სამხარს” და “სამხრის” სიტყვებს პარალელურ რედაქციებში შეესატყვისება “საშუალსა დღისასა”, “შუადღისას”, “ჟამსა შუადღისასა” (იერ. 20,16 G; დაბ. 43,16 pb; დან.13,7 pb;)

6) **შუასამხარს** (ესაია 58,10 I) მცხეთურ ხელნაწერში “შუადღე” ცვლის,

7) გვხვდება ზმნური ფორმებიც: და **ისამხრენს** იგინი (საკ. წ. II, 118,9 = ისადილეს მათ); რომელი-იგი **ისამხრებოდეს** (საკ. წ. II, 119,14 = რომლებიც სადილობდნენ);

##### 2. სამჯარი

როდესაც განსახილველ სიტყვაში ხანის (ხ) მაგივრად ხარი (ჟ) წერია, გვექნება **სამჯარი**, რომელსაც სრულიად განსხვავებული შინაარსი აქვს. ამ შემთხვევაში მას შეიძლება ჰქონდეს ორი შესაძლო მნიშვნელობა:

ა) **სამჯარი** – “სამხრე”, “საბეჭური”, “ლევიტონი”, მხრებზე მოსასხმელი ტანისამოსი:

შევისხნე მე **სამჯარნი** საფარველად ჩემდა (ლიმ. 133,12); აღილო **ლევიტონი** თვისი, რომელ არს **საბეჭური**, გინა თუ **სამჯრე** თვისი, აღდგა ღამით და წარვიდა (მ. ცხ. 140r).

არაერთ ძეგლში **სამჯარს** ენაცვლება **სამჯრე**. უფრო მეტიც, ხანდახან **სამჯარი** და **სამჯრე** ერთსა და იმავე ხელნაწერში გვერდიგვერდ იხმარება (ლევიტ. 8,7–8,8).

## ბ) **სამჯარნი / სამჯრენი**

დაბოლოს, გვხვდება კიდევ ერთი მნიშვნელობა “სამჯარისა”, რომელიც შედარებით იშვიათია: ესაა ჩარჩო, რომელშიც ჩამაგრებულია კარი: და განზომეს ... **სამჯარნი** კარისა ელამისანი წყრთათა სამთანი (ეზეკ. 40, 48 გ). ეს სიტყვა დადასტურებულია “ეზეკიელის” წიგნის კიდევ ორ მუხლში (41,2 გ ; 41,3 გ ). ზემოთ მითითებულ სამივე ადგილას გ რედაქციის **სამჯარნის** ნაცვლად a რედაქციაში ნახმარია მისი სინონიმი **სამჯრენი**.

## ირინა კომორიძე

### მასალები ირანული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან (ალი კაპუს სასახლის მოხატულობის პროგრამის შესახებ)

სეფიანური პერიოდის ირანის ერთ ერთი უბრწყინვალესი ქალაქის ისფაჰანის სასახლეებიდან ალი კაპუს სასახლე ერთ ერთი ადრინდელია, რომლის მოხატულობებმა ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია ჩვენამდე. თანამედროვეთა მონაცემებით სასახლე მდიდრულად იყო მოხატული ადამიანების ფიგურებით და სასახლის კარის გართობისა და დროსტარების სცენებით.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია 1931 წელს ქართველი მხატვრის მატლდა მღებრიშვილის მიერ შესრულებული ფერწერული ნამუშევარი, რომლებიც ალი კაპუს მხატვრობის მიხედვით შესრულდა.

მუზეუმში დაცული მასალის შედარებითი ანალიზი იტალიის აღმოსავლეთმცოდნეობის ისტიტუტის მასალებთან, რომელიც ისფაჰანში 1960-70 იან წლებში მუშაობდა ფრესკების კონსერვაციაზე, ასევე სომეხი მხატვრის სარქის ხაჩატურიანის მიერ შესრულებულ ასლებთან, გვიგჩვენა რომ ქართული მასალა ძალზე ფასეულია რამოდენიმე ფაქტორის გატვალისწინებით-იგი ფერადია, ზუსტად იმეორებს ორიგინალური ფერწერის ზომებს და მხატვრული მანერის სტილს და წარმოადგენს ალი კაპუს სასახლის მეხუთე სართულზე მდებარე მუსიკალური ოთახის ფერწერის ზუსტ ასლებს, რომელთა დიდი ნაწილი დღეს ან სრულიად გამქრალია, ან მხოლოდ კონტურული ნახატია შემორჩენილი.

ამრიგად, ქართული მასალა სრულიად უნიკალურ საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ მოხდეს ალი-კაპუს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სივრცის, მუსიკალური ოთახის დეკორატიული პროგრამის რეკონსტრუქცია და მოხატულობის პროგრამის დადგენა, რომელიც ისფაჰანური სასახლეების მოხატულობის ერთ-ერთ უადრეს ფენას წარმოადგენს და უშუალოდ შაჰ აბასის ეპოქას უკავშირდება.

## ნაპო კვარაცხელია

### ფილოსოფიური რაციონალობის არსი

1. ფილოსოფიური ეწოდება აზროვნებას, სადაც გონებისათვის არ არსებობს სხვა ავტორიტეტი, გარდა საკუთარი თავისა. და სწორედ ესაა გამოთქმული დეკარტეს Cogito-პრინციპში, ფიხტეს „ცნობიერების ერთიანობის დებულებასა“ და „ყოველგვარი გამოცხადების კრიტიკაში“. ფილოსოფია „დაშვების არდაშვების“ პრინციპის განუხრელ

გატარებას გულისხმობს. საგნის შემეცნება ნიშნავს მის მოყვანას თვითცნობიერებასთან მიმართებაში.

2. ფილოსოფია გაკვირვების მუდამ მაღალი ძაბვის ქვეშ ყოფნას ნიშნავს. უწანამძღვრობის პრინციპი მისი ძირითადი პრინციპია: იგი ყოველთვის ნულიდან და არაფრიდან იწყება. ფილოსოფია არის უწანამძღვრო და უსასრულო აზროვნება უსასრულო საგნის შესახებ. აქ არც ერთ ცნებას ზუსტად დადგენილი და ცალსახა მნიშვნელობა არ გააჩნია: ცნებები ერთმანეთს ფარავენ და ერთმანეთში გადადიან. ყოველი ცნება კონკრეტულია. ცნების ეს თვისება ოსტატურად გამოიყენა ჰეგელმა თავის დიალექტიკაში.

3. ფილოსოფიური რაციონალობისათვის მიუღებელია ღია არაბუნებრივი რწმენისა და ცოდნის, შემეცნებისა და გამოცხადების პარალელიზმი, ე.წ. „ორმაგი ჭემმარიტების“ დაშვება, რადგან, ეს ჩვენი თვითცნობიერების ერთიანობის პრინციპის დარღვევასა და მის გაორებას მოასწავებს. ფილოსოფიური აზროვნების კრიტიკულობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი არც ერთ ცნებას დოგმატურად არ ღებულობს. იგი ცნებათა ხელახალი რეინტერპრეტაციის, დესტრუქცია–დეკონსტრუქციის მუდმივი პროცესია: იუდეო–ქრისტიანული თეოლოგიის ღებულებაში–„ღმერთმა სამყარო შექმნა ექვს დღეში არაფრისაგან“– არც ერთი სიტყვა არ არის რაციონალურად გასაგები.

## ნანული კაჭარავა

### სტამბოლი ქართულ საისტორიო და სალიტერატურო არეალში

1. “ევროპის კულტურათა დედაქალაქი – სტამბოლი” ეგიდით 2010 წელი გამოცხადებულია სტამბოლის საერთაშორისო წლად. მთელი თურქეთის მასშტაბით კულტურისა და მეცნიერების თითქმის ყველა დარგში იმართება კონფერენციები, სიმპოზიუმები, ყრილობები მიძღვნილი ქ. სტამბოლისადმი. ევროპისა და აზიის გასაყარზე მდგარი უიშვიათესი სილამაზის ქალაქი, ‘მსოფლიოს ჭიპი,’ ‘მსოფლიოს დედაქალაქი,’ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი ხიდი – ეს გახლავთ არასრული სია იმ ეპითეტებისა, რომელიც ისმის სტამბოლის მისამართით.

2. ქართველ მოგზაურთა გზა სტამბოლზე (კონსტანტინოპოლზე) გადიოდა და მათ აღფრთოვანებასაც იწვევდა. სულხან-საბა ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი, რუისის ეპისკოპოსი იონა გედევანიშვილი, გიორგი ავალიშვილი, ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი მოხიბლულნი სტამბოლით, ხოტბას არ იშურებდენ მის შესამკობად (ვაჟა კვიციანი, სტამბოლი და აია-სოფია ქართველ მოგზაურთა ჩანაწერებში, ფიროსმანი #9, სტამბოლი, 2009).

3. ნელი ბოსტაშვილის წიგნის “იასე რაჭველის /მეხუზლა/ წერილები თურქეთიდან” მოკლე მიმოხილვა. მწერალი და საზოგადო მოღვაწე იასე რაჭველი (მეხუზლა) XIX საუკუნის ბოლოდან 1915 წლამდე ცხოვრობდა სტამბოლში, საიდანაც რეგულარულად



აგზავნიდა წერილებს ქართული ჟურნალ-გაზეთებისათვის (ნელი ბოსტაშვილი, იასე რაჭველის /მეხუზლა/ წერილები თურქეთიდან, გამომცემლობა 'მეცნიერება', თბილისი, 1991).

4. წარმოშობით ვენეციელი ავტორის ევგენიო დალეჯიო დ'ალესიოს წიგნის "ქართველები კონსტანტინეპოლში" მოკლე მიმოხილვა. ავტორი გახლდათ საქართველოს საკონსულოს მდივანი 1918 წლიდან, როდესაც საქართველოს დიპლომატიური მისია ჩასულა სტამბოლში. წიგნი დაწერილია ფრანგულად და 1921 წელს სტამბოლის ფერიკვის ქართული საგანის პატრის, შალვა ვარდიძის მიერ თარგმნილია ქართულად. იგი თურქულად თარგმნა ქართული წარმოშობის თურქმა მწერალმა ფაჰრეთინ ჩილოღლუმ იგივე ფარნა ჩილაშვილმა. წიგნი თურქულ ენაზე გამოიცა 2002 წელს სტამბოლში (ევგენიო დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, თბილისი, 1990).

6. აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი პროფ. მიხეილ სვანიძის წიგნი "ქართველები თურქეთში". ამ წიგნის ერთ-ერთი თავის "ქართველები სტამბოლში" მოკლე მიმოხილვა (მიხეილ სვანიძე, ქართველები თურქეთში, თბილისი, 1996).

7. სტამბოლის სახე ქართულ ლიტერატურაში: უიარალო (კონდრატე თათარაშვილის) რომანი "მამლუქი"; ანტონ ფურცელაძის რომანი "მაცი ხვიტია";

სიმონ ქვარიანი "გიორგი სააკაძე – დიდი მოურავი"; ანა ანტონოვსკაია "დიდი მოურავი".

8. სტამბოლის თემას ქართულ არეალში შეემატა ყოველკვარტალური ორენოვანი ჟურნალი "ფიროსმანი", რომელიც გამოდის ქ. სტამბოლში. ჟურნალი ქართველ და თურქ მკითხველს სისტემატურად აცნობს თურქეთ-საქართველოს კულტურულ, ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ყოფა-ცხოვრებას, წეს-ჩვეულებებს, პოლიტიკურ მდგომარეობას. აქ გამოქვეყნდა ცნობილი თურქი პოეტის ორჰან ველის პოპულარული ლექსის "ვუსმენ სტამბოლს" ქართული თარგმანიც. ლექსი თარგმნა ნანა კაჭარავამ (ფიროსმანი #4, სტამბოლი, 2008).

## ქეთევან კაკიტელაშვილი

### კონფლიქტური ნარატივების დაძლევის მნიშვნელობა კულტურათაშორისი დიალოგისათვის (ისტორიის აფხაზური და ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების მაგალითი)

მას შემდეგ, რაც დაიწყო ისტორიის, როგორც მანიპულაციის ობიექტის განხილვა, არაერთხელ აღნიშნულა, თუ რა დიდ როლს თამაშობს ის საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში, და რამდენად გადამწყვეტია მისი მნიშვნელობა კონფლიქტების ესკალაციასა ან დარეგულირებისათვის. ასევე აღინიშნება ისიც თუ საკუთრივ ეს კონფლიქტები რამდენად განაპირობებს მოწინააღმდეგე მხარეების მიერ არა მხოლოდ კონფლიქტური პერიოდის, არამედ ზოგადად, როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგე მხარის წარსულის რეკონსტრუქციას, ასევე იმ ადგილს, რომელიც მოწინააღმდეგეს ენიჭება ამ ისტორიაში.

წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორი სახით მოხდა ისტორიის რეკონსტრუქცია აფხაზურ და ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში 1992-93 წლების კონფლიქტის შემდგომ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ "ისტორია ყოველთვის თანამედროვეა" და წარსულის ინტერპრეტაცია აწმყო ინტერესებისა და სამომავლო მიზნებიდან გამომდინარე კეთდება, ისტორიის აფხაზური და ქართული ვერსიები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ბუნებრივია, ეს კონფლიქტური ნარატივები ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოშიც აისახა.

"ისტორიის სახელმძღვანელოები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევა ნაციონალური იდენტობისა და ისტორიული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის. ასევე აღინიშნება ისიც, რომ ისტორიის ის ვერსია, რომელიც ინდივიდს იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში მიეწოდება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მისი შემდგომი ორიენტირებისა და მსოფლალქმის ფორმირებისათვის. მართალია, მხოლოდ სახელმძღვანელოები ვერ აგებს პასუხს ისტორიული ცნობიერების, სტერეოტიპებისა და ავტოსტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე. მაგრამ, ქართულ და აფხაზურ შემთხვევაში სახელმძღვანელოს მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ აფხაზებისა და ქართველების ახალ თაობას უშუალო ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონიათ. ურთიერთგაცნობის ერთ ერთი ძირითადი წყარო ისტორიის სახელმძღვანელოები ხდება. ისტორიოგრაფიასა და მედიასთან ერთად, აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების ურთიერთდამოკიდებულებაზე გადამწყვეტ როლს ითამაშებს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსიც. კერძოდ ის, თუ როგორ შეირჩა განსახილველი ისტორიული მოვლენები, როგორ გადანაწილდა აქცენტები, როგორ აისახა საკუთარი და ერთიმეორის სახე, როგორ დახასიათდა მეხების მომენტები, როგორ შეფასდა ის ისტორიული მოვლენები, რომელიც საზიარო არის ამ ორი ხალხის ისტორიაში.

კოლექტიურ ცნობიერებაში არსებული კონფლიქტური ნარატივების დაძლევა არანაკლებ (თუ მეტად არა) რთული და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე პოლიტიკური

დაპირისპირების გადალახვა. შესაბამისად, ზემოთ დასახელებული პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კულტურათა შორის ნდობისა და დიალოგის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველსაყოფად.

## ნუნუ კაპანაძე

### საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების თარგმნის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

დარგობრივი თარგმანი სხვადასხვა სფეროს მზარდი სპეციალიზაციისა და ურთიერთგადაჯახვის ფონზე როგორც შიდასახელმწიფოებრივ ასევე საერთაშორისო დონეზე იდეებისა და ინფორმაციის გაცვლას უზრუნველყოფს.

ეკონომიკის, ტექნიკის, მეცნიერებისა და საზოგადოების გლობალიზაციის საფუძველზე დარგობრივი ენები და დარგობრივი თარგმანი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მონაცემების მიხედვით ევროპაში თარგმნილი 100 მლნ. გვერდიდან 1% მოდიოდა ლიტერატურულ თარგმანზე, 30% სახელმწიფო ორგანოებისთვის, 50% კი ინდუსტრიისა და კომერციის სფეროში შესრულებულ თარგმანზე, ყოველწლიური ზრდა კი 10% შეადგენს.

დარგობრივი თარგმანის ერთიანი თეორია, რომელიც ლინგვისტურ ასპექტებს ტექსტის გაგების კონკრეტული დარგისათვის სპეციფიკურ, ინტერდისციპლინარულ და ინტერკულტურულ ასპექტებთან დააკავშირებდა ჯერაც არ არის შემუშავებული. შესაბამისად არც ფართო მოცულობის სრულად ჩამოყალიბებული დარგობრივი ენების თეორია არსებობს. ამდენად, დღეს ძალზე აქტუალურია დარგობრივი აზროვნების, დარგობრივი ცოდნის, დარგობრივი ინფორმაციის სტრუქტურებისა და დარგობრივი კომინიკაციის მიმართებების კვლევა.

დარგობრივ თარგმანში ერთი ფუძემდებლური თეზისი არსებობს: თარგმანი ამოსავალი ტექსტისფარდ ავთენტურობასა და დარგობრივობას უნდა ავლენდეს. იმისათვის რომ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, მთარგმნელმა სწორი ტერმინოლოგიით უნდა იმუშაოს, რომელიც მკითხველში თარგმანისადმი ნდობას წარმოქმნის და ინფორმაციის გადაცემის ხარისხს უზრუნველყოფს. ამოსავალი ტერმინოლოგიის დაძლევის მთარგმნელი იოლად გაართმევს თავს, თუ მას ხელთ სათანადო დამხმარე საშუალებები ექნება. რამდენადაც თარგმანის შესრულებისას დროის დიდი ნაწილი ხშირად ტერმინოლოგიური ხასიათის საძიებო სამუშაოს ხმარდება, საიმედო და ზუსტი ტერმინოლოგიის იოლი და სწრაფი ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საამისოდ კი სათანადოდ შეჯერებული და დაზუსტებული (ელექტრონული) ტერმინოლოგიური ბაზის შექმნა არის აუცილებელი.

დარგობრივ კომუნიკაციაში სპეციალისტები ენობრივ (ლექსიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ) საშუალებებს იყენებენ, რომლებიც შესაბამისი დარგისათვის არის დამახასიათებელი და ერთობლიობაში დარგობრივ ენას ქმნიან. დარგობრივი ენა კი ენის იმ სფეროს წარმოადგენს, სადაც კომუნიკაცია ერთმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობებისგან თავისუფალია, მის ფუნქციონირებას კი დადგენილი ტერმინოლოგია უმაგრებს მხარს.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე მოხსენებაში განიხილება საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების თარგმნის სპეციფიკა. საერთაშორისო, და მით უფრო, საერთაშორისო სამართლის შეთანხმებები და კონვენციები შედარებით მკაცრად სტანდარტიზებული მაკროსტრუქტურით, ტერმინოლოგიით, მორფოლოგიური და სინტაქსური საშუალებების გამოყენებით ხასიათდება. სწორედ ამ ფაქტორების არასწორ გადმოტანას მოსდევს ყველაზე მძიმე შედეგი, ხელშეკრულების არასწორი ინტერპრეტაცია, რასაც ერთვის მცდარი და დამახინჯებული ენობრივი ფორმებისა და ტერმინების გამოყენება, შემდგომ კი მათი გავრცელება ენაში.

## **მერაბ კალანდაძე** **რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესწავლა** **ქართულ ისტორიოგრაფიაში**

1. საქართველოში არსებობს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესწავლის ტრადიცია. ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მასზე ყურადღების გამახვილება.

2. პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ ეს დაინტერესება სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ მკვეთრად გამოკვეთილი კვლევითი ელფერი დაკრავს. ამიტომ ეს შრომები დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ილია ტაბაღუას საკანდიდატო დისერტაცია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XIX საუკუნის მიწურულს, გივი ჟორდანიას სადოქტორო დისერტაცია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის დასაწყისში და ვარლამ დონამის სადოქტორო დისერტაცია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე.

3. მათ შეარჩიეს მეცნიერული პრობლემა. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანეს მრავალი ახალი მასალა და საინტერესო ფაქტი, დაამუშავეს არქივები და მოგვცეს ამ საკითხის მარქსისტული ინტერპრეტაცია. თუ მათ მსჯელობას მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაცლით მასში ჩადებული მეცნიერული ინფორმაცია, უეჭველად, ღირებული რჩება

და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ამ შრომების განსჯა მარქსისტული მიდგომის გამო სწორი არ იქნებოდა. მაშინ სხვა არჩევანი არ არსებობდა. “ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული”. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური იქნებოდა.

4. მეცნიერული პოლემიკა სამი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: 1. შეფასებები რომელიც დღეს უკვე მოძველებულია და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. 2. საკითხების გადაწყვეტა, რომელიც იმ დროინდელ ისტორიოგრაფიაში მიღებული და აღიარებული იყო, შემდგომში გამოვლენილმა ახალმა მასალამ მასში გარკვეული კორექტივები შეიტანა. 3. საკითხების გადაწყვეტა, რომელიც წმინდა მეცნიერულ აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს.

## დალი კანდელაკი

### რუსეთი და კავკასია

#### (კ. ფ. ნოიმანის ნაშრომის “რუსეთი და ჩერქეზები” მიხედვით)

1840 წელს გერმანიაში გამოქვეყნდა კარლ ფრიდრიხ ნოიმანის ნაშრომი “რუსეთი და ჩერქეზები” (K. F. Neumann, Russland und Tscherkessen, Stuttgart und Tuebingen, 1840).

კ. ფ. ნოიმანი იყო ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე. განათლება მიიღო ჰაიდელბერგის, ვიურცბურგისა და გიოტინგენის უნივერსიტეტებში. ვენეციის მახლობლად მდებარე წმინდა ლაზარეს ეკლესიაში, სომეხი მღვდლის დახმარებით შეისწავლა სომხური ენა. 1836 წელს გამოსცა წიგნი “სომხური ლიტერატურის ისტორია”. კ. ფ. ნოიმანი 1833 წელს მიუნხენის უნივერსიტეტში სომხური და ჩინური ენების, ქვეყანათმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის პროფესორად აირჩიეს. 50-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა სამწერლო ასპარეზზე. იკვლევდა ჩრდილოეთ ამერიკისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ახალ ისტორიას.

ნაშრომი “რუსეთი და ჩერქეზები” შედგება ექვსი ნაწილისგან. მეოთხე ნაწილი - “რუსეთი და კავკასია” - მოიცავს ოც გვერდს.

კარლ ფრიდრიხ ნოიმანი თავის ნაშრომში წყაროდ იყენებს სხვადასხვა ავტორთა - იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, იულიუს ფონ კლაპროთის, ედუარდ აიხვალდის, იაკობ რაინეგის, ანტონ ფრიდრიხ ბიუშინგის და სხვათა შრომებს, ასევე მოგზაურობის დროს შეკრებილ მასალებს. ზოგიერთი ავტორის ცნობებს კრიტიკულად განიხილავს.

ნაშრომის მეოთხე ნაწილში - “რუსეთი და კავკასია” - გერმანელი მეცნიერი განიხილავს სამი დიდი სახელმწიფოს - რუსეთის, ირანისა და თურქეთის ურთიერთობის საკითხებს, მათ შორის მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე წარმოებულ ომებსა და ზავებს. ავტორი ნაშრომში აღწერს პეტრე პირველის დაპყრობებს კავკასიის რეგიონში და მას “დღევანდელი რუსეთის შემოქმედს” უწოდებს. იგი ღიად საუბრობს რუსეთის

დამპყრობლურ სამომავლო გეგმებზე, ამხელს კავკასიაში დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად ჯაშუშებისა და თავგადასავლების მამიებლების გამოგზავნის ფაქტებს.

კარლ ფრიდრიხ ნოიმანი კავკასიის რეგიონში მეფის რუსეთის წარმოებული პოლიტიკის მხარდამჭერია და რუსეთისათვის დაპყრობილი ტერიტორიების მნიშვნელობას რეალურად აფასებს.

## ზვიად კვიციანი

### კოლხური ოქროს სტატერები

მსოფლიოში ოქროს მოპოვება ყოველწლიდ იზრდება. ვაშინგტონის ე.წ. ოქროს ინსტიტუტი ტრადიციულად ყოველი წლის დასაწყისში აქვეყნებს სტატისტიკურ ანგარიშებს. მის შედგენაში მსოფლიოს სამასამდე კომპანია და სპეციალიზირებული ფირმა მონაწილეობს. ოქროს მწარმოებელ ქვეყანათა შორის საქართველოც არის წარმოდგენილი; მას ოქროს მოპოვებისა და გადამუშავების უძველესი ტრადიციები გააჩნია უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოში, ისტორიულ კოლხეთში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა რეალური გახადა ბერძნული მითოლოგიის “ოქრომრავალი კოლხეთი”.

საქართველო სამართლიანად ითვლება კეთილშობილი ლითონების მოპოვებისა და დამუშავების ერთ-ერთ უძველეს კერად მსოფლიოში, რისი დასტურიცაა დღემდე შემორჩენილი უცხოელი ისტორიკოსების და მკვლევარების წერილობითი წყაროები, სადაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით არის მოცემული ცნობები კოლხეთის ტერიტორიაზე ოქროს არსებობის შესახებ.

ბოლო დროინდელი არქეოლოგიური გამოკვლევებით დოკუმენტურად მტკიცდება ადგილობრივი ოქროს სარეწების არსებობის ფაქტი მდინარეების ენგურისა და ცხენისწყალის ხეობებში. ჩვენ მიერ მიკვლეულია ე.წ. ზარაფხანის ნაშთები დასავლეთ საქართველოში ისტორიული კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში, კერძოდ, სვანეთში.

კოლხეთის (სვანეთის) ტერიტორიაზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერების მინაბაძების შესწავლამ მათი დამზადების ტექნიკის (ჩამოსხმა-გამოკვერვის, დეტალების დარჩილისა და სხვ.) საყურადღებო და მრავალფეროვანი ვარიაციები გამოავლინა „კოლხური სტატერების” დეტალურმა მიკრორენტგენოსპექტრალურმა ანალიზმა და მისმა შედარებამ თვითნაბადი ოქროს ქიმიურ შედგენილობასთან მრავალი საგულისხმო ფაქტი მოგვცა, ასეთი სახით დამზადებულ ნაკეთობებში იდენტური მინერალური ჩანარები და ქიმიური ელემენტების მიკროკომპონენტები ისეთივე რაოდენობით, ფორმითა და განაწილების თავისებურებებითაა, როგორც თვითნაბად ოქროში.

ამგვარად, შესწავლილი ნიმუშების ქიმიური-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგები დოკუმენტალურად ადასტურებენ სამონეტო საქმის მაღალ დონეს კოლხეთში. აპრიორი მიღებულია, რომ ალექსანდრესა და ლისიმაქეს ე.წ. “კავკასიური მინაბადები” (ქართული) ადგილობრივი ნედლეულისაგან მზადდებოდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა ამ ოქროს საფასეებს შეჩვეული გახლდათ და მათ ნდობით ეკიდებოდნენ. როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები ასეთი ე.წ. “ზარზაროსული მონეტები” სავაჭრო ურთიერთობაში ჩართული ტომის ბელადებს უნდა მოეჭრათ, ან ინიციატივიან კერძო პირებს “ვაჭრებს”. საინტერესოა, რომ საქართველოს მეზობლად, ისტორიულ ალბანეთში ადგილობრივი მიზაძვის ობიექტი ალესანდრე მაკედონელის ვერცხლის დრაქმები და ტეტრადრაქმები წარმოადგენდა. ოქროს სტატერების მინაბადები ალბათ საქართველოდან შედიოდა, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიაში.

## შოვნა კვანტალიანი

### შრომის ლექს–სიმღერები სამეგრელოში

ქართული ხალხური შრომის სიმღერების შესწავლის საქმეში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია მეგრულ მასალას. განვითარების მიხედვით, სამეგრელოში გავრცელებული შრომის ლექს–სიმღერები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: პირველია ისეთი სიმღერები, რომლებშიც ლექსი განუვითარებელია და რიტმს ენიჭება პირველობა. მეორე ჯგუფის სიმღერებში სიტყვა უკვე გაფორმებულია, ჩნდება რეფრენიც და ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

სამეგრელოში გავრცელებული შრომის სიმღერის კლასიკური ნიმუში “ოდოია”, რომელიც ნაღურ სიმღერად ითვლება, მიეკუთვნება სწორედ იმ პერიოდის ნაშთს, როდესაც სიმღერაში ლექსი ჯერ არ გვაქვს, არ გააჩნია საკუთარი მეტრი და სხვა დამახასიათებელი კომპონენტები. აქ რიტმს განსაზღვრავს წამომახილები, ბგერათა კომპლექსები, რომლებიც მისადაგებულია შრომის პროცესის აჩქარებასა თუ შენელებასთან. თოხნასთან დაკავშირებული სიმღერის ტრადიციაზე საუბრისას არქანჯელო ლამბარტი სწორედ “ოდოიას” უნდა გულისხმობდეს, როცა წერს: “ნადი შესდგება ორმოცდაათის და სამოცის ჩარაზმულ მთოხნელებისაგან... რომ იმათ ჩქარა იმუშაონ, ამისათვის საგანგებო სიმღერა აქვთ, რომლის ხმაზე თოხნასაც ისე აწყობენ, როგორც საკრავზე ცეკვას: რამდენადაც სიმღერას ააჩქარებენ, იმდენად თოხნასაც აჩქარებენ.”

“ოდოია” გუნდურად სრულდება და ერთ–ერთ უძველეს შრომის სიმღერად არის მიჩნეული.

დროთა განმავლობაში მეგრულ შრომის ლექს-სიმღერებში თანდათან ვითარდება სიტყვიერი ტექსტი: ხვნის დროს მღეროდნენ სალაღავს, რომელსაც “ხოჯიში გიობირალს” (ხარის დასამღერებელს) უწოდებენ; სიმინდის ტაროების დარჩევის დროს ნადი მღეროდა “ოჩემ ხვე დო ხვარელი.” ეს ლექსი დარჩეული ტაროსადმი მიმართული ჰიმნია და ნიშნავს “ყანის ბარაქსა და ხვავს.” სიმღერაში ეს მიმართვა რამდენჯერმე მეორდება ხან ნელი ხან ჩქარი ტემპით.

სამეგრელოში შრომის ლექსებიდან გავრცელებულია ურმული სიმღერები: “ჩელა,” (ჩელა ხარის სახელია), “მეურმე ურემს გეხე” (მეურმე ურემზე ზის), “მა და ჩქიმი არაბა” ( მე და ჩემი ურემი) და სხვ. ამ ლექსების სევდიანი ჰანგი გამოხატავს გლეხის ყოველდღიურ ჭირ-ვარამსა და საზრუნავს, მის ფიქრსა და ოცნებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამეგრელოში შემონახულია ისეთი შრომის სიმღერა, რომელიც დაკავშირებულია სახლის აშენებასთან. ლექსში ნათქვამია, რომ “დოხორუა” (დასახლება) ბედნიერ დღეს უნდა დაწყებულიყო. ასეთი დღე ორშაბათი-მთვარის დღე (თუთაშხა) ყოფილა.

სამეგრელოში გავრცელებული შრომის ლექს-სიმღერები ძირითადად ზოგადი მოვლენაა და თავის შესატყვისს პოულობს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ მსგავს ზეპირსიტყვიერებასთან.

## მედია კინწურაშვილი

### ციტატა როგორც ინტერტექსტუალობის ძირითადი მარკერი

ინტერტექსტუალობის პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ფილოლოგიურ კვლევებში. განათლებისა და კულტურის მასობრივმა გავრცელებამ გამოიწვია ადამიანური ცხოვრების ძლიერი სემიოტიზაცია. შესაბამისად ხელოვნებამ და ზოგადად XXI საუკუნის ყოველდღიურმა სემიოტიკურმა პროცესებმა რამდენადმე “ინტერტექსტუალური” სახე მიიღეს. ის გვევლინება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია პოსტმოდერნისტული მხატვრული ლიტერატურისა. ინტერტექსტუალობის თეორიის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის მ. ბახტინს, მან სცადა დიალოგიზმის კონცეფციის საფუძველზე განესაზღვრა პოეტურობა, რითაც გზა გაუხსნა პერსპექტივებს პოეტური ენის ფუნქციონირების საკითხის გადაჭრაში და აქტუალობა შესძინა ისეთ ცნებებს, როგორცაა: “ორხმოვანი” სიტყვა, “თავისი” და “სხვისი” სიტყვა.

ინტერტექსტუალობის საფუძველს წარმოადგენს “სხვისი სიტყვა”. “სხვისი სიტყვა” – ესაა რომელიმე პირის მეტყველება, ჩართული ავტორისეულ კონტექსტში, “მეტყველება



მეტყველებაში” (ვოლოშინოვი 1929: 331). “სხვისი სიტყვის” ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ციტატა; ციტაცია, როგორც ინტერტექსტუალობის ძირითადი შემადგენელი კომპონენტი, მისი ძირითადი ცნებაა. ჩვენ ვუწოდებთ მას *ინტერტექსტუალობის მარკერს*. ციტატები, როგორც ინტერტექსტუალობის მარკერები შეიძლება იყოს ექსპლიციტური და იმპლიციტური. ექსპლიციტური ციტატები ესაა ე.წ. გავრცელებული ციტატები, რომლებიც დამკვიდრებულია ინდივიდის ლინგოკულტურულ მეხსიერებაში.

ციტატის უმნიშვნელოვანეს ონტოლოგიურ ნიშანს მისი ორპლანიანობა წარმოადგენს, ანუ იგი ორ ტექსტს განეკუთვნება – იმას, საიდანაც აღებულია ციტატა და იმას, რომელშიც ჩართულია; მეორე მხრივ, ციტირება, როგორც ტექსტის აგების სტრატეგია, ტექსტებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

ავტორს შეაქვს ციტატები კონტექსტში გარკვეული მიზნით: ახალი სემიოსფეროს შესაქმნელად, რომელშიც შენარჩუნებულია მყარი დამაბულობა “საკუთარ” და “სხვის” სიტყვას შორის. “ციტატის როლი პოეტურ ტექსტში განისაზღვრება ორმაგი სტატუსით: “საკუთარი” და “სხვისი სიტყვით.” იგი აკუმულირებს აზრის გარკვეულ წახნაგებს, იმ ტექსტის ასოციაციურ კოდებს, რომლიდანაც იგი აღებულია, შეაქვს ისინი ახლადშექმნილ საავტორო ტექსტში, რითაც აქცევს ამ “უცხო” სიტყვა-აზრებს ახალი საავტორო ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურის ნაწილად და დიდ როლს ასრულებს ტექსტის აზრობრივი პერსპექტივის განვითარებასა და გაფართოებაში.

## მანანა კვაჭაძე

### კიდევ ერთხელ სოფელ გომბორის შესახებ (ლინგო-კულტურული ასპექტები)

გომბორი ეთნიკურად და ენობრივად შერეული სოფელია, – ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან მოყოლებული, აქ, გარდა ქართველებისა (ძირითადად, მთიანი რეგიონებიდან ჩამოსახლებული ფშავ-ხევსურებისა), ცხოვრობდნენ რუსებიც (ძირითადად, რუსეთის არმიიდან დემობილიზებული ჯარისკაცები და რუსი გლეხობა). ეს ფაქტი გარკვეულწილად განაპირობებდა სოფლის ენობრივ ცხოვრებას, გომბორში გარდა ქართული ენისა, გამოიყენებოდა რუსული ენაც.

XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან ამ მიდამოებში ჩამოსახლება იწყეს ამიერკავკასიისა და ირანის მეზობელი ოლქებიდან საშოვარზე წამოსულმა მუსლიმურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა, მათ შორის იყვნენ: შირვანის ლაჰიჯიდან ლტოლვილი ირანული მოდგმის, რამდენადმე გათურქებული და ორენოვანი (თათურ-აზერბაიჯანული) ეთნოგრაფიული ჯგუფი და ირანის აზერბაიჯანიდან ლტოლვილი თურქული მოდგმის, აგრეთვე ორენოვანი (აზერბაიჯანულ-სპარსული) ეთნოგრაფიული ჯგუფი.

მოგვიანებით მიგრირებული ორენოვანი მოსახლეობის ორივე ჯგუფი გომბორის ორენოვან (ქართულ-რუსულ) სიტუაციაში მოხვდა, რამაც გარკვეულწილად განაპირობა მათი შემდგომი ენობრივი ცხოვრება. სოფელი გომბორი, შეიძლება ითქვას, ერთგვარი მულტიკულტურული საზოგადოების ნიმუშად იქცა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენ აქტიურად ვიკვლევდით სოფელ გომბორის ენობრივ სიტუაციას, კერძოდ – გომბორელ ლაიჯთა ყოფისა და მეტყველების საკითხებს. მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან განვაახლეთ სავლე მუშაობა. ახლადმოპოვებული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ღრმავდება ის ტენდენციები, რიმელნიც ადრე მოპოვებულ მასალაში უკვე იკვეთებოდა და განპირობებული იყო, როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორებით.

სავლე მუშაობის შედეგად მოპოვებული ძველი და ახალი მასალის შეჯერება საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს მიგრაციული პროცესებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის, ეთნოეტიკეტისა და სამეტყველო ეტიკეტის თვალსაზრისით, ენობრივი ორიენტაციისა და საკუთრივ ენობრივი განვითარების თვალსაზრისით.

## მაია ლომია

### სამკომპონენტური კონსტრუქციის საკითხისათვის

სამკომპონენტური კონსტრუქცია დამახასიათებელია ზეპირი მეტყველებისთვის. ამ საკითხის გასაანალიზებლად საინტერესოა ქართული ზეპირმეტყველების, ქართული ენის დიალექტებისა და იმ ქართველური ენების მონაცემები, რომლებიც “ხალხური მეტყველების ქარგაზე არიან აგებული” (ბ.ჯორბენაძე).

სამკომპონენტური კონსტრუქცია ქართული ზეპირმეტყველებისა და სვანური მასალის მიხედვით განიხილეს ლ. კვანტალიანმა (1990) და ნ. აბესაძემ (1962). სამკომპონენტური კონსტრუქცია პირობის შემცველი წინადადებითა და უარყოფითნაწილაკიანი გაუჩინარებელი პრედიკატით ხასიათდება. პრედიკატის გაუჩინარების შემდეგ ხდება უარყოფითი ნაწილაკისა და კავშირის შერწყმა. მთლიანად კონსტრუქცია პირობით-შედეგობითი სემანტიკისაა. ამ ტიპის კონსტრუქციაში დასტურდება კავშირები: **თუ არა და** (ქართული ზეპირმეტყველება), **ჰე მოდე** (სვანური), **ვარდა** (მეგრული).

ერთ კონსტრუქციას მეგრულის მაგალითზე გაშლილად წარმოვადგენთ:

მუ გილუ სააზრო, ქომიწი, ვა-მიწინქ-და, მა სქანი თოლიში წოხოლე დუს დიპილუ > მუ გილუ სააზრო, ქომიწი, ვარ-და, მა სქანი თოლიში წოხოლე დუს დიპილუ (= რა გაქვს საფიქრალი, მითხარი, თუ არ მეტყვი || არ მეტყვი და, მე შენ თვალწინ თავს მოვიკლავ > რა გაქვს საფიქრალი, მითხარი, თუ არა და, მე შენ თვალწინ თავს მოვიკლავ).

სამკომპონენტური კონსტრუქციის შეკვეცის გამომწვევ მიზეზებზე საუბარია სამეცნიერო ლიტერატურაში (კვანტალიანი 1990,10-12; მიძიგური 1973, 452).

## ირაკლი მახარაძე

### სერჯიო ლეონეს ფილმები და მათი გავლენა ამერიკულ ვესთერნზე

კინემატოგრაფის გაჩენის პირველივე დღეებიდანვე ევროპა ბაძავდა ჰოლივუდს ყველაფერში, იქნებოდა ეს საშინელებათა ფილმები თუ კომედია, არ ასცდა ეს ვესთერნსაც. ევროპელები ჭაპანწყვეტით ცდილობენ შეექმნათ ვესთერნის ზუსტი ასლი, რის უშედეგობასა და უსუსურობაში ადვილად გვარწმუნებდნენ გერმანულ-რუმინულ-იუგოსლავიური ვესთერნები გოიკო მიტიჩებითა და ვინეტუებით.

სულ სხვა სურათი დაიხატა იტალიაში, როცა 1964 წლიდან მოყოლებული ქვეყნის ეკრანებზე გამოჩნდა სერჯიო ლეონეს სპაგეტი ვესთერნები. ეს ტერმინი პირველად ხმარებაში შემოიტანა იაპონელმა კინოკრიტიკოსმა და ის ასე ჟღერდა – მაკარონი ვესთერნი. ამ ფილმებს ეტყობოდა პროფესიონალის ხელი და რაც მთავარია, მათ მაშინვე სერიოზული კონკურენცია გაუწიეს ამ ჟანრის ამერიკულ პროდუქციას. ლეონეს ვესთერნებში (*ერთი მუჭა დოლარი, რამდენიმე დოლარით მეტი, კარგი, ცუდი, ბოროტი, ერთხელ დასავლეთში*) თითქოს ახალი არაფერი მომხდარა. მოქმედება ისევ „ველური“ დასავლეთის ტიპურ პატარა ქალაქებში ხდებოდა, მთავარი პერსონაჟებიც შესატყვისად ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ, მაგრამ კლიშედ ქცეულ ტრადიციულ გარემოში მყოფი გმირების მოქმედება ცდებოდა ვესთერნის დაკანონებულ ჩარჩოებს. ლეონეს მიერ ნაჩვენები დასავლეთი არ იყო ის დასავლეთი, რომელზეც გაიზარდა ამერიკელთა რამდენიმე თაობა – ეს იყო ზედმეტად ამაზრზენი და სასტიკი სამყარო თავისი გაბოლილი სალუნებით, ჭუჭყიანი ქუჩებითა და არც თუ ისე სიმპატიური მცხოვრებლებით. აღსანიშნავია, რომ ტრილოგიის მეორე ნაწილში ჯან მარია ვოლონტეს მიერ განსახიერებული ინდიო კინოს ისტორიაში პირველი უარყოფითი გმირი იყო, რომელიც მარიხუანას ეწეოდა. კლასიკური ვესთერნის გმირებისაგან განსხვავებით ლეონეს გმირებს ხშირად გაუგებარ მიზეზთა გამო გაწყვეტილი აქვთ კავშირი საზოგადოებასთან და თუ ვინმესთან კონტაქტში შედიან ისიც მხოლოდ ანგარებით და თავისი პირადი საქმის სასარგებლოდ. სერჯიო ლეონემ უგულვებელყო ვესთერნის ძირითადი კანონი, როცა მთავარი გმირი აუცილებლად სიმართლისათვის თავგამოდებული მებრძოლია და ის აუცილებლად იმარჯვებს.

ძალზე მსხვილი კადრები, გრძელი პლანები, ავის მომასწავებელი ლანდშაფტები და იმ დროისათვის მოულოდნელი ძალადობა ლეონეს სავიზიტო ბარათად იქცა და შემდგომში მეტ-ნაკლები წარმატებით ტირაჟირებულ იქნა მთელს მსოფლიოში. ლეონეს ვესთერნების წარმატების შემდეგ ყველა ცდილობდა მისი ფილმისთვის მიებაძა. სერჯიო ლეონეს ფილმებმა მოამზადეს საფუძველი, რათა ამერიკულ კინოეკრანებზე გამოჩენილიყო სემ

ფექინფას (ველური ბანდა, ფეთ გერეთი და ბილი ქიდი), არტურ პენის (ბონი და კლაიდი, პატარ დიდი ადამიანი) და სხვა ხელოვანთა ე. წ. რევიზიონისტული ვესთერნები.

## ინესა მერაბიშვილი

### თარგმანი, როგორც ლექსიკოგრაფიული გამოკვლევა

მხატვრული თარგმანის უმარტივესი ფორმულა შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: ფილოლოგიური გამოკვლევა + არტისტული შესრულება.

იმისათვის, რომ მთარგმნელმა ჩაატაროს ფილოლოგიური გამოკვლევა, მას აუცილებლად ესაჭიროება შემდეგი: 1) ფართო განათლება, რასაც ჰქვია მკითხველის თეზაურუსი; 2) იმ ავტორის საფუძვლიანი ცოდნა, რომელსაც თარგმნის და 3) ლექსიკოგრაფიული ფონი, რაც ნიშნავს იმას, რომ მთარგმნელი აუცილებლად სათანადო ლექსიკონებით უნდა სარგებლობდეს.

ამჯერად, ჩვენი მსჯელობის საგანია ის შემთხვევები, როდესაც ტექსტში არსებული სირთულეები მარტივად ვერ აიხსნება არსებული განმარტებითი ლექსიკონით. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს უწევს ლექსიკოგრაფიული გამოკვლევის ჩატარება, რაც ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე უშედეგო არ აღმოჩნდება.

ჩატარებული კვლევის შედეგებს ორი მაგალითით წარმოვადგენთ. პირველი გახლავთ სიტყვა “ნარვალი” გალაკტიონის უსათაურო ლექსიდან “ქარი დაცხრა სიბობოქრის”, სადაც მეორე სტროფში ვკითხულობთ:

მე გიცქერი, როგორც ქარვას,  
შორითშორად ფიქრი ნარვალს,  
თან გაატანს ქართა ქარვას,  
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...

ათეული წლების მანძილზე ეს სიტყვა გალაკტიონის კრებულებში იბეჭდებოდა, როგორც “ნარვალი”, თუმცა გალაკტიონოლოგთათვის გაუგებარი რჩებოდა მისი ტექსტუალური მნიშვნელობა გამომდინარე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონებიდან. ამ ლექსის ინგლისური თარგმანი მხოლოდ მას შემდეგ შევასრულეთ, როდესაც დავადგინეთ “ნარვალის” კონტექსტუალური მნიშვნელობა – “კვალი”, რისი ასახვაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ლექსის ბოლო რედაქციაში, სადაც არსებული გაუგებრობის შედეგად “ნარვალი” დაიბეჭდა, როგორც “წარვალი”.

მეორე შემთხვევა ეხება სიტყვას “დოლაბი” ცნობილი ხალხური ლექსიდან “თავფარავნელი ჭაბუკი”, სადაც ვკითხულობთ:

ცალხელით დოლაბი მიაქვს,

ცალხელით ნიავექარობდა.

ვახტანგ კოტეტიშვილისეული ანალიზი პრაქტიკულად იქცა ამ სიტყვის ინტერპრეტაციის ტრადიციად და კევინ ტუიტის ინგლისურ თარგმანშიც ეს სიტყვა წარმოდგენილია, როგორც “mill stone” – “წისქვილის ქვა”.

კვლევამ ნათელყო, რომ “დოლაბი” იხმარება ხისგან დამზადებული მაშველი რგოლის მნიშვნელობით, რაც უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა ფარავნის ტბის მიდამოებში და რაც სამწუხაროდ არაა ასახული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. აღნიშნული ლექსის ინგლისური თარგმანი ჩვენ შევასრულეთ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეს სირთულე გადავლახეთ.

## ხვთისო მამისიმედიშვილი

### ჯვარ-ხატა “ისტორიების” ფორმა და შინაარსი საკულტო ტექსტებში

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ტექსტებში ჯვარ-ხატა თავგადასავლები, ფუნქციები, საკრალური უნარები და მრავალფეროვანი “ისტორიები” გადმოცემულია ლაკონურად, სხვადასხვა სინტაგმებითა და ფრაზეოლოგიზმებით. ეს მყარი სიტყვიერი ფორმულები საკულტო ტექსტებში წარმოდგენილია ეპითეტების სახით და ჯვარ-ხატებს სხვადასხვა ნიშნით ახასიათებენ.

საკულტო ტექსტებში ჯვარ-ხატა ეპითეტები და მეტაფორები შეიცავენ მითოლოგიური ხასიათის ცოდნას, რომელთა შესახებ დაწვრილებით მოთხრობილია ანდრეზებში ღვთისშვილთა შესახებ.

ჯვარ-ხატა ეპითეტები საკულტო ტექსტებში ორ ტიპად შეიძლება დავყოთ: ზოგადი და ინდივიდუალური. ზოგადი ხასიათის, ე. წ. ღვთისშვილობის დამადასტურებელი ეპითეტები მიესადაგება ყველა ჯვარ-ხატს და გვიჩვენებს მათ საკრალურ ბუნებას, ხოლო მეორე ტიპის, ინდივიდუალური ხასიათის ეპითეტები კონკრეტული ღვთისშვილის ისტორიასა და საყმოს წინაშე მის ღვაწლს გადმოგვცემს.

ჯვარ-ხატა ეპითეტებში ასახული მითოლოგიური ცოდნა კოლექტიურ ცნობიერებას ემყარება და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმობში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამა თუ იმ საიდუმლო რიტუალის გზით.

ჯვარ-ხატა “ისტორიები” საკულტო ტექსტებში იმიტომ არის წარმოდგენილი მითოლოგიების სახით, რომ ისინი რიტუალშია “ჩართული”, ამიტომ მათ ღვთისშვილისადმი მიმართებითი ხასიათი აქვს და არა ინფორმაციული. საკულტო-საზეიმო რიტუალზე ჯვარ-ხატა განდიდება ღვთისშვილთა ფუნქციებისა და ღვაწლის მიმართვის ფორმით გადმოცემას მოითხოვს. საკულტო ტექსტების ფორმა შეესაბამება მის

შინაარსს. მითოლოგემების გაშლით ჩვენ მივიღებთ ნარატივს, რომლის შინაარსიც კონკრეტული ჯვრის მფარველობის ქვეშ მცხოვრები საზოგადოების გარკვეული წრისთვის კარგად იყო ცნობილი და არ იყო საჭირო ღვთისშვილთა ამბების სრული ვარიაციებით გადმოცემა.

## ელენე მექმარიაშვილი

### პირველი ქალბატონის ინსტიტუტის თავისებურებები აშშ-ში

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ქალბატონის ინსტიტუტის ზოგიერთ თავისებურებაზე, განსაკუთრებით კი, პირველი ქალბატონების მონაწილეობაზე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხაზგასმულია, რომ დღემდე არავის დაუწერია ნაშრომი სახელმწიფო საქმეებზე მათი გავლენის შესახებ.

აღნიშნული საკითხის გასაშუქებლად მოხსენებაში ავტორი განიხილავს და ერთმანეთს ადარებს რამდენიმე პირველი ქალბატონის (აბიგეილ ადამსის, ედიტ ბოლინგ ჰალტის, ელეონორ რუზველტის, როზალინ კარტერისა და ჰილარი კლინტონის) პოლიტიკურ აქტივობას და პარალელებს ავლებს საქართველოში ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბების ცდასთან.

რა ფუნქციები ეკისრებოდა პირველ ქალბატონებს შეერთებული შტატების შექმნის პირველივე წლებიდან, როგორ შეიცვალა ეს ფუნქციები დროთა განმავლობაში და რომელი პირველი ქალბატონების დამსახურება იყო ეს? რატომ ვერ მოხერხდა პირველი ლედის დაყვანა “ამერიკის პირველ დიასახლისამდე”?

მოხსენებასი გამოთქმულია მოსაზრება, რომ 1990-იან წლებში შეერთებულ შტატებში მიმდინარე კამათი ჰილარი კლინტონის ირგვლივ - იყო კამათი ამერიკაში ყველა ქალის ცხოვრებაში არსებული ცვლილებების შესახებ.

მოხსენებაში გაცემულია პასუხი რიტორიკულ კითხვაზე, თუ რა როლი უნდა ითამაშოს პირველმა ქალბატონმა ქვეყნის ცხოვრებაში და პირველი ლედის საქციელის რომელი მოდელია ყველაზე მისაღები: დიასახლისის, ყველას დედის როლი, თუ პირიქით, ცხოვრების აქტიური თანამგზავრის როლი, რომელიც ერკვევა პრობლემებში არა თუ უარესად, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მეუღლეზე უკეთესადაც კი?

თეთრ სახლში პირველი ქალბატონები მოდიან როგორც უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებები და შეცვლა უხდებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი ჩვეული საქციელი ხელს უშლის ქმარს მოვალეობის შესრულებისას. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელ ამომრჩევლებს მიაჩნიათ, რომ პირველმა ქალბატონებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ თეთრ სახლში ირჩევენ არა მათ, არამედ მათ ქმრებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, რა ამპლუაც არ უნდა აირჩიოს პრეზიდენტის ცოლმა, მან თავისი როლი ტაქტიკითა და გაგებით უნდა შეასრულოს. იმ დროს, როდესაც მისკენ მილიონობით თვალთა მიპყრობილი, აუცილებლად უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რომ ამომრჩეველთა ფართო მასები და პრეზიდენტის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები მას არ დაუპირისპირდნენ. “არ დააშავო!” - ესკულაპების ეს ძველი მცნება პირველი ქალბატონებისთვის დღესაც აქტუალურია.

## ტრისტან მახაური

### “თავფარავნელი ჭაბუკი” და გერმანული ბალადა “უფლისწული და მეფის ასული”

ამ ორი ბალადის სიუჟეტური მსგავსება ადრეც ყოფილა შენიშნული, მაგრამ ქართველ ფოლკლორისტთაგან მათი სტრუქტურული ანალიზი დღემდე არავის ჩაუტარებია. ვლადიმერ პროპის “ზღაპრის მორფოლოგიის” საფუძველზე შესაძლებელი ხდება აღნიშნული ხალხური ბალადების შესწავლა. მათი კომპოზიციური აღნაგობა (ანუ ფორმა) ერთნაირია: გმირი ყოველდამე გადის სახლიდან მიზნის მისაღწევად (სატრფოსთან შესახვედრად), იბრძვის დაბრკოლების გადალახვისათვის (მიარღვევს ზღვის ტალღებს) და ამ ბრძოლაში საბოლოოდ იღუპება. სწორედ ამით განსხვავდება მისი დასასრული ჯადოსნური ზღაპრის დასასრულისაგან. ზღაპრული პერსონაჟებიდან ხსენებულ ბალადებში სამი გვხვდება: მთავარი გმირი, მავნე და მეფის ასული (ქართულ ბალადაში თუმცა ქალის წარმომავლობაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ რადგანაც ის ზღვის გაღმა ცხოვრობს, უნდა ვიფიქროთ, რომ მზეთუნახავია და, მაშასადამე, მეფის ასული).

მსგავსების მიუხედავად, შესადარებელი ბალადების სიუჟეტში გვხვდება განსხვავებული მომენტებიც და სწორედ ეს განსხვავება ანიჭებს ამ ორ ნაწარმოებს თვითმყოფადობას. გერმანულ ბალადაში სატრფო თვითონ მიმართავს ვაჟს, რომ გადმოცუროს ზღვის ტალღები, “თავფარავნელ ჭაბუკში” კი მოქმედება ვაჟის ინიციატივით ხდება; გერმანულ ბალადაში სატრფოს დაკარგვით შეშფოთებული ქალი თვითონ გადაწყვეტს მოძებნოს გულის სწორი, უარს ეუბნება დედას, თან გაიყოლოს და ან ძმა და მარტო ჩადის ზღვის ნაპირზე. ქართულ ბალადაში მსგავსი არაფერი ხდება; გერმანული ბალადის პერსონაჟი ქალი გასამრჯელოს აძლევს მეზადურს ზღვის ფსკერიდან ვაჟის ნეშტის ამოტანისათვის, ხოლო “თავფარავნელ ჭაბუკში” ნათქვამია, რომ ტალღებმა თვითონ გამორიყეს დალუპულის გვამი (“ჭოროხზე ეგდო, ქანობდა”).

“უფლისწულისა და მეფის ასულის” ფინალს ჰგავს ქართული ბალადის მხოლოდ ერთი ვარიანტი (“ქალმაც დაიცა დანანი, სიკვდილს აღარა ზარობდა”), თუმცა ქალის თვითმკვლელობის ფორმა აქაც განსხვავებულია.

გერმანული ბალადისაგან განსხვავებით, ტოპონიმიზებულია ქართული ბალადის სივრცე, რაც ამ ბალადის კიდევ ერთ განსაკუთრებულ თვისებას გამოკვეთს.

## ლერი მჭედლიშვილი

### თეოლოგიიდან ლოგიკისაკენ: “შესაძლო სამყაროების” სემანტიკური კონცეფცია მოდალურ ლოგიკაში

მოდალობების – აუცილებელის, შესაძლებელის და სხვათა – ლოგიკური თვალსაზრისით კვლევა არისტოტელედან იწყება. ინტერესის საგანი ყოველთვის იყო მოდალობების ფორმალური თვისებები (სინტაქსური მიდგომა) და მოდალობების შემცველი წინადადებების ჭეშმარიტება-მცდარობის პირობები (სემანტიკური მიდგომა). პირველი ჯგუფის პრობლემების შესწავლაში გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა მე-20 ს.-ში (ეს იყო წარსულის დაჯამებაც) კ. ი. ლუისის გ. ჰ. ფონ ვრიგთისა სხვათა შრომებში – მათ შექმნეს მოდალური ლოგიკის სისტემები, რომლებშიც ასახული იყო მოდალობების ფორმალური თვისებების სხვადასხვაგვარი გაგება. მეორე ჯგუფის პრობლემების გადაჭრა ამ სისტემების შინაარსობრივ-სემანტიკური გააზრება უნდა ყოფილიყო; ამის გარეშე მკაფიო საზრისს ვერ შეიძენდა კონტექსტები, რომლებშიც მოდალობები არსებითად არის გამოყენებული. “შესაძლო სამყაროს” ცნება თავდაპირველად – ი. დუნს სკოტთან, გ. ვ. ლაიბნიცთან – თეოლოგიური სისტემების ელემენტი იყო. მაგალითად, დუნს სკოტის მიხედვით, ჩვენი სამყარო ერთ-ერთია საგნების, მათი ნიშან-თვისებებისა და ვითარებების თავსებადი სიმრავლეებიდან (შესაძლო სამყაროებიდან), და ის აქტუალიზებულია ღვთაებრივი ნებით და ღვთაებრივი ძალის მეშვეობით. ლაიბნიცმა მათ კიდევ ერთი, ოღონდ არათეოლოგიური, გამოყენება მოუძებნა: მისთვის რაიმე აუცილებლობითაა ჭეშმარიტი თუკი მას ძალა აქვს (მართებულია) ყველა შესაძლო სამყაროში. ეს დებულება ლოგიკოსებისთვის სახელმძღვანელო იდეად იქცა. შემდეგი ნაბიჯი რ. კარნაპმა გააკეთა. მან ბ. რასელისა და ლ. ვიტგენშტაინის ლოგიკური ატომიზმის პრინციპებზე აგებული ენის წინადადებების გარკვეული კლასები (მდგომარეობის აღწერები) გაიაზრა როგორც ლაიბნიცისეული აზრით შესაძლო სამყაროების სრული აღწერები (ოღონდ სრული იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას ენა იძლევა). გასული საუკუნის 50-იანი წლების



ბოლოს ი. ჰინტიკას, ა. პრაიორის, რ. მონტეგიუს, ს. კრიპკეს და სხვათა ძალისხმევით შეიქმნა კვლევის ახალი პარადიგმა – “შესაძლო სამყაროების” სემანტიკა მოდალური ლოგიკის ენისათვის, რომელიც მარტივ შემთხვევაში სამ სპეციფიკურ კომპონენტს შეიცავს: მითითებას შესაძლო სამყაროების ერთობლიობაზე, მითითებას სამყაროების დამაკავშირებელ ე.წ. “მიღწევადობის” მიმართებაზე (ეს კომპონენტი, რომელიც ადრე არ გვქონია შესაძლო სამყაროთა კონცეფციაში, გულისხმობს შესაძლებლობის ცნების რელატივიზაციის სამყაროებისთვის) და თითოეულ შესაძლო სამყაროში წინადადებების, მათ შორის მოდალური წინადადებების, ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით შეფასების წესებს (აქ არის სწორედ გამოყენებული ზემოთ მითითებული ლაიბნიცისეული იდეა). ეს ისტორია გვიჩვენებს, როგორ გადაეჯაჭვება ერთმანეთს სრულიად სხვადასხვაგვარი და სრულიად სხვადასხვა დროს შექმნილი იდეები და კონცეფციები პრობლემური სიტუაციის ახლებური ხედვის ძიებისას.

## ქეთევან ნადირაძე

### ქართული ისტორიული აზრის განვითარება ევროპულ ისტორიოგრაფიასთან მიმართებაში ("ქართლის ცხოვრების" მაგალითზე)

“ქართლის ცხოვრებას”, როგორც ისტორიულ ნაშრომს, აქვს ყველა ის ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია ზოგადად შუა საუკუნეების მატრიანეებისათვის. იგი თავისი მსოფლმხედველობით, იდეოლოგიით, ამოცანებით შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის ტიპური ნიმუშია:

1. “ქართლის ცხოვრება” წარმოადგენს ფეოდალური საზოგადოების ისტორიას. იგი მთლიანად გამოხატავს გაბატონებული კლასის ინტერესებს. მისი თხრობის საგანია მეფეთა ცხოვრება.

2. “ქართლის ცხოვრებაში” არის ტენდენცია საქართველოს ისტორია აღქმული იქნეს მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, რადგან შუასაუკუნეების სივრცეში ქრისტიანისთვის მისაღებია მსოფლიო ისტორიის მთლიანობაში აღქმა. ამიტომ ქართველი მემკვიდრე ქართული სახელმწიფოს წარმოშობას ალექსანდრე მაკედონელის სახელს უკავშირებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, არ არის აუცილებელი “ქართლის ცხოვრების” ქრონოლოგიურ საყრდენად მსოფლიო ისტორიული მოვლენების აღება. ხოლო მემკვიდრის სანდოობის გარკვევისათვის მაკედონელის საქართველოში

ლაშქრობის რეალურობის დადასტურება. (ამგვარი დამოკიდებულება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირია).

3. “ქართლის ცხოვრებაში”, როგორც ზოგადად შუასაუკუნოვან მატთანეებში, მრავალი პრობლემის გააზრება ბიბლიურ “თეორიაზე” დაყრდნობით ხდება. ქართველი და კავკასიელი ხალხის ეთნოგენეზი, სამეფო ხელისუფლებისა და სამეფო დინასტიების წარმოშობა და სხვ.

4. “ქართლის ცხოვრების” ავტორთა და რედაქტორთა მსოფლმხედველობა შუასაუკუნოვანი პროვიდენციალიზმით ხასიათდება. მაგ. მეფე დავით აღმაშენებლის წარმატებები ახსნილია, როგორც ღვთიური ნების გამოვლენა. “თვით მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი, და საცხებელი მისი წმინდა სცხო მას”.

კრებულში მრავალი სასწაული, ლეგენდა და სიზმარია აღწერილი. ესეც იმდროინდელი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მოთხოვნათა აუცილებელი ატრიბუტია.

5. “ქართლის ცხოვრების” ავტორები კარგად იცნობენ ანტიკურ სამყაროს, ბერძენ და რომაელ მწერლებს. პერსონაჟთა დახასიათებისა და მოვლენათა აღწერის დროს წარმატებით იყენებენ შედარებით მეთოდს. ეს ტენდენცია ზოგადად შუასაუკუნოვანი მემატთანებისთვის არის დამახასიათებელი.

ვფიქრობ, ზემოთ გადმოცემულმა ფაქტებმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ “ქართლის ცხოვრება” ყველა იმ ნიშანს ატარებს, რომელიც ახასიათებს შუასაუკუნოვან მატთანეებს. იგი იმდროინდელ მოთხოვნებს ზედმიწევნით აკმაყოფილებს და თუ ეს მოთხოვნები მომდევნო ეპოქის ისტორიოგრაფიაში კრიტიკის საგნად იქცა, ამით “ქართლის ცხოვრების”, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ვერ შესუსტდება.

## ქეთევან ნიჟარაძე

### ჰომეროსისეული “აქილევსის ფარის” თანამედროვე ინტერპრეტაციისთვის

ჰომეროლოგიის პრობლემურ საკითხთა შორის გამოირჩევა “ილიადაში” (XVIII, 478 – 609) წარმოდგენილი აქილევსის ფარის აღწერილობა. მეცნიერებაში კამათია ამ სტრიქონების ავთენტურობის თაობაზე. თუმცა მკვლევართა აზრი ერთსულოვანია “ფარის” პოეტური ღირსებებზე. იგი მიჩნეულია ეპიკური აზროვნების შედეგად. მოხსენებაში წარმოდგენილია ამ აღწერილობის სტრუქტურული და პოეტური ანალიზის ცდა. ვიზირებთ იმ აზრს(რ.გორდეზიანი, კ. სტენლი), რომ კომპოზიციური ორგანიზაციის თვალსაზრისით სცენის აღწერა ხორციელდება ე.წ. “წრიული კომპოზიციის” თანმიმდევრული გამოყენების საფუძველზე. “ფარი” ასევე საკმაოდ ორგანულად ჯდება “ილიადის” სტრუქტურული სიმეტრიის ერთიან სქემაში, რაც მისი ჰომეროსისეულობის კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფარზე განლაგებული სცენების სემანტიკა და თანმიმდევრობა. ანტიკურსა და მსოფლიო ლიტერატურაში “ფარის” გავლენით შექმნილი ხელოვნების ნიმუშების არაერთი აღწერილობისაგან განსხვავებით, აქილევსის ფარი მკვეთრად გამოხატულ კონცეპტუალურ ხასიათს ატარებს. მასზე გადმოცემულია სამყარო ურთიერთმიმართებათა მთელი მრავალფეროვნებით, რომლის ცენტრში დგას სკიპტროსანი მეფე:

*... მათი შემყურე მეფე კი*

*მშვიდად ზის, კვერთხს დაყრდნობილი. ჩანს, მართლა ბედნიერია. (556 – 557)*

ფარის აღწერილობა იწყება კოსმიური მოვლენით:

*ჯერ გამოსახა დედამიწა, ზღვა, ცის კამარა,*

*მათ უკან, ცაზე კი – ძირიად ვარსკვლავთა კონა –*

*პლეიადები, ჰიადები და ორიონი,*

*იქვე – არკტოსი, ამაქსოსსაც რომ უწოდებენ,*

*თვითონაც ბრუნავს, ორიონსაც მისდევს კვალდაკვალ,*

*მაგრამ არასდროს განბანილა ოკეანეში. (483 – 488).*

და სრულდება ოკეანოსის აღწერით:

*ბოლოს კი ღმერთმა მდინარით და ოკეანით მოჭედა*

*ფარის გარშემო რკალები და დაასრულა ქმნილება. (606 – 607)*

“ფარის” ახალ ქართულ თარგმანზე მუშაობისას ჩემთვის საინტერესო იყო, თუ როგორ ახდენს ჰომეროსი ფარზე გადმოცემული თითოეული სურათის ე.წ. პოეტურ ჩარჩოში ჩასმას, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, თითოეულ ამ სურათს შეუწარმუნოს ინდივიდუალობა, ხოლო მეორე მხრივ, გახადოს ერთიანი მთელის ორგანული ნაწილი.

სტრუქტურული და პოეტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ “აქილევსის ფარი” სავსებით ჯდება კომპოზიციური ორგანიზაციისა და სცენების აგების ჰომეროსისეულ პრინციპთა კონტექსტში.

## ქეთევან ნადარეიშვილი

### ქალთა მონაწილეობა დიონისურ კულტმსახურებაში

ცნობილია, რომ ანტიკურ საბერძნეთში ქალთა რელიგიურ მსახურებათა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მათ მონაწილეობას დიონისურ დღესასწაულებში. დიონისეს პოლისური დღესასწაულების გარდა ქალები მონაწილეობას იღებდნენ როგორც დიონისეს ე.წ. პრივატული ხასიათის დღესასწაულებში (orgia), ისე დიონისურ მისტერიებში.

მოხსენებაში განხილულია ქალთა ფუნქცია და როლი სამივე ტიპის კულტმსახურებაში. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული ე. წ. მენადიზმზე, რაც დღემდე საკამათო საკითხი გახლავთ კლასიკური ფილოლოგიის სფეროში. მოხსენებაში გაანალიზებულია ქალთა დიონისური კულტმსახურების ერთ–ერთი მთავარი პრობლემა, კერძოდ, როგორ უნდა იქნეს მოაზრებული რიტუალური მენადიზმი – ქალთ ამბოხად, თუ რიტუალიზებული კონტროლის ფორმის მქონე დღესასწაულად. ცალკე მსჯელობის საგანია დიონისურ მისტერიებში სქესთა როლების განაწილების საკითხი.

## სალომე ომიაძე

### ბახტინის, კრისტევისა და ჰირშის კონცეფციები და თანამედროვე ტექსტი (გ. დოჩანაშვილის “ორნი აქა-იქ”)

მხატვრული ლიტერატურა, როგორც შემეცნების გლობალური თეორია, რომელიც შეისწავლის ენას, არაცნობიერს, რელიგიასა და საზოგადოებას, ერთგვარი ინტერტექსტია, რომელიც, თავის მხრივ, ტექსტების დიალოგურ კავშირს, ციტატების მოზაიკას, პოლიფონიას წარმოადგენს (მ. ბახტინი, ი. კრისტევი).

ყოველივე მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით დედაენაზე გაგებისა და გაგებინების პრობლემასთან. როგორც აღმოჩნდა, პრობლემა აქტუალურია მთელს მსოფლიოში. 1988 წელს ამერიკელმა ენათმეცნიერმა ე. ჰირშმა გამოსცა “კულტურული წიგნიერების ლექსიკონი” (Dictionary of Cultural Literary), რომლის შესავალ ნაწილში წარმოადგინა კულტურული წიგნიერების საკუთარი კონცეფცია. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი თეორიის წარმოშობა განსაზღვრა იმან, რომ ამერიკელთა ზოგადკულტურული დონე ძალიან დაეცა, რამაც, თავის მხრივ, დასცა მათი კომუნიკაციური უნარი. ჰირში ამტკიცებს, რომ ენის სრულყოფილი ფლობისათვის აუცილებელია ადამიანმა იცოდეს გარკვეული მენტალურ-კულტურული სქემები, სიმბოლოები, ციტატები, სახელები, ჟესტები, აბრევიატურები და მისთანანი. ყოველ ეროვნულ კულტურას ამ ცოდნათა საკუთარი ნაკრები აქვს, რომელიც განსაზღვრავს ენობრივ მნიშვნელობებს, ურთიერთობის თავისებურებებს, ტექსტების აზრს, ეროვნული დისკურსის სპეციფიკას. აღნიშნულ ლექსიკონში წარმოდგენილია ცნობები ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან, იქნება ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, რელიგია, ლიტერატურა, გეოგრაფია და სხვ. – ცოდნათა ის ნაკრები, რომელსაც უნდა ფლობდეს ყოველი ამერიკელი. ანუ საქმე ეხება კონკრეტული ეროვნულ-ინგოვოკულტურული ერთობის წევრთათვის გარკვეული კულტურული მინიმუმის შექმნის ცდას.

მოხსენებაში განხილული იქნება ის მენტალურ-კულტურული სქემები, რომელთა ცოდნის გარეშე გურამ დოჩანაშვილის ერთი მოთხრობის (“ორნი აქა-იქ”) მრავალი კონტექსტის სემანტიკური და მხატვრული ღირებულება მკითხველისათვის გაუგებარი დარჩება.

## ნატალია ორლოვსკაია

### ჯეიმზ მორიერი და ინგლისური რომანტიზმის ტრადიციები

ჯეიმზ მორიერი (1780-1849) – ინგლისელი დიპლომატი და მწერალი, მოღვაწეობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. 1807-1815 წლებში იგი მუშაობდა ირანში. აღმოსავლეთში

ყოფნის პერიოდი მორიერმა აღწერა ორ წიგნში, რომლებიც დაიბეჭდა ლონდონში 1812 და 1818 წლებში. დიპლომატიური მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ მორიერი გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე. მისი ყველაზე ცნობილი რომანია – “ჰაჯი ბაბა ისპაჰანელის თავგადასავალი”. ნაკლებადაა შესწავლილი აღმოსავლურ თემებზე დაწერილი მორიერის სხვა ნაწარმოებები.

ცნობილია, რომ რომანტიზმის ლიტერატურისთვის აღმოსავლური თემა მეტად დამახასიათებელია: ბაირონის, შელის, თომას მურის ზოგ ნაწარმოებში მოქმედება გადატანილია სხვადასხვა აღმოსავლურ ქვეყნებში. სხვა ავტორთან შედარებით მორიერის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი კარგად იცნობდა აღმოსავლეთის, განსაკუთრებით ირანის ცხოვრებას და ნანახი ჰქონდა ის ადგილები, რომელთაც აღწერს თავის წიგნებში.

მორიერის მოთხრობათა კრებული “მირზა” დაიბეჭდა ლონდონში 1841 წელს. მოთხრობლად გამოყვანილია ირანის შაჰის საკარო პოეტი მირზა, მსმენელი კი თვითონ ავტორია. მოთხრობები დაკავშირებულია ან სიუჟეტურად, ან ერთი და იგივე მოქმედი გმირის სახით; ზოგჯერ კი რამოდენიმე მოთხრობაში დასმულია ერთი და იგივე პრობლემა, მაგალითად, ოჯახისა და ქალის მდგომარეობის საკითხი. ზოგი მოთხრობა ზღაპრული, ფანტასტიკური ხასიათისაა, უდიდესი ნაწილი კი – სათავგადასავლო ისტორიებს წარმოადგენს. ზოგიერთ მათგანში საყოფაცხოვრებო და დიდაქტიკური ელემენტებიც გვხვდება. ნაწარმოების მოქმედება ხდება აღმოსავლეთის სხვადასხვა ადგილას: ბუხარა, სამარყანდი, ჩინეთი, სტამბოლი და ბევრი სხვა. არაერთ ადგილას ნახსენებია საქართველოც. სათავგადასავლო თემატიკის გარდა, კრებულში გვხვდება თანამედროვე აქტუალური საკითხებიც.

მორიერის რომანი “აიშა, ქალიშვილი ყარსიდან” გამოქვეყნებული იყო 1834 წელს. ზოგი ტრადიციული ელემენტის მიუხედავად, წიგნი დიდი ინტერესით იკითხება და ერთგვარად ქმნის აღმოსავლეთის კოლორიტს. ტექსტიდან ჩანს, რომ მორიერი იცნობდა ლიტერატურას აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ. რომანში ნახსენებია შარდენის, ტურნეფორის, კერ-პორტერის და სხვა მოგზაურთა წიგნები. მაგრამ უფრო საინტერესო ის ადგილებია, სადაც ავტორის პირადი შთაბეჭდილებებია გადმოცემული (მაგალითად, ყარსის, ეჩმიადინის, ანის ნანგრევებისა თუ სტამბოლის აღწერები). ტექსტში გვხვდება სპარსული და თურქული სიტყვები სათანადო ახსნა-განმარტებებით. მორიერი გვაწვდის ზოგ სამზარეულო ცნობასაც, ნახსენებია ფლავი, ტოლმა.

სავსებით გასაგებია, რომ ყველაზე მეტს მორიერი წერს ირანის შესახებ, სადაც იგი დიდხანს ცხოვრობდა. მაგრამ მის წიგნებში ნახსენებია სხვა ქვეყნებიც. არ არის დავიწყებული საქართველოც. მორიერი საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ ირანში ყოფნის დროს ბევრი რამ გაუგია ამ ქვეყნის შესახებ. მის წიგნში განხილულ საქართველოს თემაში გამოირჩევა ორი მომენტი: 1) მეტად ტრადიციული თემა საქართველოს ლამაზი ქალების შესახებ და 2) იმდროინდელი საქართველო და რუსეთ-ირანის ომის ამბები.

მორიერის წიგნები კარგად იყო მიღებული მკითხველების მიერ. რომან “აიშას” რამოდენიმე გამოცემა არსებობს. მკვითხველთა ყურადღებას იპყრობდა ავტორის უშუალო დაკვირვებები და საგულისხმო ცნობები აღმოსავლური ქვეყნების ცხოვრების შესახებ.

## თამარ პაიჭაძე

### ტერენტი გრანელის სულიერი ტრგედია

ტერენტი გრანელის ყოფისა და შინასამყაროს უპირითადესი ფორმაც და მდგომარეობაც უპირველესად მარტოობა და მარტოსულობა იყო, ამ სიტყვების ყველაზე პირდაპირი თუ კლასიკური გაგებით.

შემოქმედებითი დამკვიდრების, ლიტერატურული ფორმის ძიების, საკუთარი ხელწერისა თუ მხატვრული პროფილის შემუშავების ძირითადი პროცესი გარკვეულ დროსთან კავშირში მოიაზრება. დრო, რომელიც საზღვრავს მწერლის შემოქმედებითი განვითარების არეალს და ლიტერატურული ეპოგეისა და გამომსახველობითი შესაძლებლობის მაქსიმალიზმსაც ააშკარავებს, თუმცა ლიტერატურული სრულყოფის ეს საზოგადო წესი ტერენტი გრანელთან მიმართებაში არ განხორციელებულა. მისი შემოქმედებითი ცხოვრების ბედისწერაც მისივე არეული, განუსაზღვრელი, ყოველგვარ ჩარჩოსა და კანონზომიერებას განრიდებული, ფიზიკური ყოფასავით წარიმართა, წარმოუდგენელიც იყო ტერენტი გრანელის პოეტური ტალანტის გამოვლინება შემოქმედებითი განვითარების საფეხურებრივ ლოგიკას დაქვემდებარებოდა.

სწორედ პირიქით მოხდა, ტერენტი გრანელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ადრეულ წლებში (1920–1928) უფრო პოპულარული იყო ვიდრე შემდგომ, როცა თბილისმა თითქოს უცებ და ერთპიროვნულად შეიცნო სულიერი დეპრესიითა და მძიმე ფსიქიკური აშლილობით დაავადებული-

ფაქტია, რომ იმთავითვე (1918 წლიდან) ის ორგანულად ჩაწერა თბილისის ლიტერატურულ-ბოჰემურ ყოფაში, მაშინვე შეამჩნიეს მისი ღარიბული გარეგნობა და ლირიკული ლექსები, დაუბეჭდეს, შეაქეს კიდეც; სულ მალე თბილისელებმა ეს ლექსები დაიხეპირეს და დაიწყო გზა აღიარებისა, თუმცა „აღიარება“ ამ შემთხვევაში სრულიად პირობითი ცნებაა, რადგან ამ პროცესს პოეტისთვის ცხოვრების სტილი არ შეუცვლია-

შეუძლებელია, ტერენტი გრანელის პოეზიის ანალიზი გარკვეულ პერიოდებს, ან კრებულთა თანამიმდევრულობას შეეფარდოს, მისი პოეზია არც თემატურად დანაწევრდება და არც განსხვავებულ მხატვრულ ფორმებად. ეს არის ერთი მთლიანი სათქმელი,

ტერენტი გრანელს არასოდეს დაუწერია იდეოლოგიური განწყობილების ლექსი, პოეტი სრულიად ინდიფერენტული იყო იმ მძაფრი პოლიტიკური-ისტორიული კატაკლიზმებისადმი, რომლებიც მის გარშემო, მის გვერდით, ხდებოდა.

მის პოეზიაში არსებული მისტიკური ხილვების და მძაფრი ემოციების სათავე პოეტის სურვილში უნდა ვეძიოთ-განერიდოს დამლელ-დაწვრილმანებულ ყოველდღიურობას, მორმაბეზრებელ ყოფითობას და ახალი სამყარო, ახალი რეალობა იხილოს, პოეტისავე ოცნებაში შექმნილი, სხვა განზომილებაში გარდასახული. შამყარო, მისი აღქმის პოეტური მისტიკური და სწრაფვა „რადაც სხვის“ შესაცნობად, თავისთავად მოდერნისტული მსოფლხედვისა და ანალიტიკის შედეგია, თუმცა თავად პოეტისათვის კონკრეტული

მოდერნისტული კანონიკა გარკვეულწილად გათავისებული, სისტემატიზირებული და გაწერილი არასოდეს ყოფილა, პოეტურ-მსოფლმხედველობრივი ინსტალაციები ძირითადად ბუნებრივი, სპონტანური აღქმისა და გადმოცემის შედეგი უფროა.

## ნინო პოპიაშვილი

### გლობალიზაცია, როგორც იდენტობა და ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ახალი რეალობის წინაშე არმოჩნდა. საჭირო იყო სრულიად ახალი, მანამდე უცხო და არაერთხელ უარყოფილი, ე. წ. კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილების მიღება, დემოკრატიული ღირებულებების გათავისება და დანერგვა, რასაც მრავალი სიძნელე ეხლდა თან. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ახალი კულტურული გარემო აღმოცენდა.

დამოუკიდებელი რესპუბლიკები საკუთარი კულტურული იდენტობის შეცნობისა და გამოვლენის გზას დაადგნენ, სადაც, ერთი მხრივ, მთელი აქცენტი იმ განსხვავებებზე კეთდებოდა, რაც არსებობდა და არსებობს ყოფილ საბჭოთა ხალხებს შორის. განსაკუთრებული წვლილი კულტურულ იდენტობაში ხალხების ისტორიამ, რელიგიამ, ეროვნულმა ლიტერატურამ და კულტურულმა მრავალფეროვნებამ შეიტანა.

მეორე მხრივ, დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა, ახალი ქვეყნის მშენებლობა გლობალიზაციის კონტექსტში გახდა აუცილებელი.

ბრძოლა ვიწრო ნაციონალიზმსა და დემოკრატიულ ღირებულებებს შორის პოსტსაბჭოთა პროცესის თანამდევი ასპექტი ხდება.

ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა მრავალი ასპექტით ხასიათდება. ერთი მხრივ, იგი არის ნაციონალური, ეროვნული მწერლობა, რომელიც ქართველი ხალხის კულტურულ და ეროვნულ იდენტობას ასახავს და გამოხატავს, თუმცა მეორე მხრივ, ნაწილია მსოფლიო ლიტერატურული პროცესისა და, შესაბამისად, ასახავს მსოფლიო ლიტერატურის თანამედროვე ტენდენციებს, მიმართულებებს.

მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნაზე კულტურული კვლევის აქტუალობას ნაციონალურ ლიტერატურაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში სხვა გარემოებებთან ერთად ხელი შეუწყო იმანაც, რომ მსოფლიო გლობალიზაციის წინაშე დადგა, ხოლო ასეთ პირობებში ყველა ერთი მეტნაკლები სიმძიმით დადგა საკუთარი კულტურის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

ბუნებრივია, რომ გლობალიზაციის, როგორც უალტერნატივო გამოწვევის პირობებში იბადება კითხვა მცირე ერებისა და მათი კულტურის არსებობა-შენარჩუნების შესახებ. თუ ერთი მხრივ, ამ პერიოდის ლიტერატურა განსაკუთრებული ღიაობით ხასიათდება, მეორე



მხრივ, გლობალიზაციის წინაშე კულტურის იდენტიფიკაციის თავისებურ პასუხს ნაციონალური ლიტერატურა საკუთარ, ნაციონალურ კულტურაში ეძებს.

## იზაბელა პეტრიაშვილი

### ელექტრონული პორტფოლიოს (ePortfolio) მნიშვნელობა საუნივერსიტეტო განათლების პროცესში

21-ე საუკუნეში სულ უფრო სწრაფი ტემპებით ხდება ინოვაციური ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საგანმანათლებლო სივრცეში. ერთ-ერთი ასეთი თანამედროვე და აქტუალური ინსტრუმენტი არის ელექტრონულ პორტფოლიო (ელ-პორტფოლიო, e-Portfolio), რომელიც შეიძლება სხვადასხვა მიზნით იქნას გამოყენებული ნებისმიერ ცალკე ადებულ საგანმანათლებლო გარემოში. ჩემი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ელექტრონული პორტფოლიოს მნიშვნელობისა და დანიშნულების განსაზღვრა საუნივერსიტეტო განათლების პროცესში სწავლების სამივე საფეხურზე - ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ელექტრონული პორტფოლიოს როგორც ცნების, ისე მისი გამოყენების შესახებ. ტრადიციულად მისი გამოყენება დაიყვანება ორ ძირითად როლამდე – ელ-პორტფოლიო, როგორც კონკრეტული სტუდენტის მოსწრების შეფასების საშუალება და სტუდენტის წარმატებული მიღწევების სადემონსტრაციო საშუალება. მოხსენებაში მიმოხილულია ევროპისა და ამერიკის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული პორტფოლიოს, როგორც სწავლება-სწავლის პროცესის ხელშემწყობი ეფექტური ინსტრუმენტის, გამოყენების სხვადასხვა შემთხვევები, როგორცაა, მაგალითად, არტეფაქტების შექმნის, მიზნის დასახვის, მიზანზე ორიენტირებული პრაქტიკის განხორციელების, მაგალითების შეგროვების, შეფასების, კომუნიკაციის, ინსტრუქტორის/მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის, სტუდენტის ორგანიზების, ინტერდისციპლინარული სწავლა-სწავლების და სხვ. მიზნით ელ-პორტფოლიოს შექმნა და გამოყენება.

საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების პროცესში ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვა შეიძლება განვიხილოთ როგორც ცოდნაზე დამყარებული სწავლისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიმართულებით გადაგმული ნაბიჯების შედეგიც და სტიმულიც ერთდროულად. შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- ელ-პორტფოლიო სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მრავლისმეტყველი, თანმიმდევრული, აკადემიური და პერსონალური ჩანაწერები იქონიოს ელექტრონულ ფორმატში, რომელსაც მუდმივად განახლებს ახალ-ახალი მიღწევებით და რომელიც იქნება მისი კომპეტენციების, განათლების დონის, აკადემიური მიღწევების დემონსტრირების საშუალება მთელი ცხოვრების მანძილზე.

- ელ-პორტფოლიო მასწავლებელს/ინსტრუქტორს, აგრეთვე, სასწავლებლის ადმინისტრაციულ პერსონალს, საშუალებას მისცემს თვალი მიადევნოს სტუდენტის პროგრესს და შეაფასოს იგი.

- სტუდენტის ელ-პორტფოლიო შეიძლება პოტენციური დამსაქმებლისათვის ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახდეს, რაც მის დასაქმებას და კარიერულ წინსვლას შეუწყობს ხელს.

## გიორგი ჟუჟუნაშვილი

### საბჭოთა ბიუროკრატიული (ნომენკლატურული) რეჟიმის ხასიათისა და როლის კვლევის საკითხები

მოხსენების თემად ამ საკითხის შერჩევა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა:

- ჩვენი დღევანდელი საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ ნომენკლატურა “არ გადაშენებულა”, რომ მოხდა მისის ტრანსფორმაცია და პოსტსაბჭოთა (სოციალისტურ) ქვეყნებში მმართველ ელიტაში სწორედ ამ “კლასის” წარმომადგენლები ან მათი უშუალო მემკვიდრეები არიან მოკალათებულები. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის კვლევას როგორც ისტორიულად, ისე, განსაკუთრებულად, სოციალურად აქვს პერსპექტივა;

- მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა კარგად იცის თუ რას ნიშნავს ნომენკლატურა, ქართულ სამეცნიერო (ძირითადად საისტორიო) სივრცეში დღემდე არ მოგვეპოვება ჩვენში მისი ჩასახვისა და განვითარების კვლევა.

მოხსენებაში საკითხის დასმის წესით მიმოვიხილავთ:

1. რუსული ბიუროკრატიის განვითარების ძირითად ეტაპებს;
2. მათ შორის გამოვყოფთ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ბიუროკრატ-ჩინოვნიკთა ფენის გადაგვარების პრობლემას და ხელშემწყობ ფაქტორებს;
3. “ნომენკლატორთა”, როგორც მმართველი ფენის (ზოგიერთის განმარტებით კი კლასის) ჩამოყალიბებისა და განვითარება-გადაგვარების ეტაპებს;
4. დღეს ამ საკითხის კვლევაში არსებულ მდგომარეობასა და მომავალ პერსპექტივებს.

## ვალერიან რამიშვილი

### რელიგიურისა და ეთიკურის მიმართება კირკეგორის ფილოსოფიაში

რელიგიური, მორალური და სამართლობრივი არის ადამიანის ყოფიერების წარმმართველი და რეგულატური პრინციპები, მეორეს მხრივ ადამიანის ყოფიერების შეფასების კრიტერიუმები. მათი მეშვეობით ადამიანის ცხოვრება შეფასდება როგორც სამართლიანი, ზნეობრივი, რელიგიური და როგორც ბედნიერი ან უბედური, საზრისით სავსე ან უსაზრისო. თანამედროვე ადამიანის ყოფიერება წარმართება ძირითადად სამართლობრივი პრინციპებით. განხორციელდა რეალობისა და ადამიანის ყოფიერების საყოველთაო რესპონსიბილიზაცია. სამართალი გახდა ადამიანის ყოფიერების წარმართვისა და შეფასების ძირითადი პრინციპი. მან უკანა პლანზე გადაიტანა ადამიანის ყოფიერების შეფასებისა და წარმართვის რელიგიური და ეთიკური მხარეები. შესაძლებელია თუ არა რელიგიური და მორალური შეფასების პრინციპების მნიშვნელობის გაზრდა და ღვთაებრივი სამართლიანობის ავტორიტეტის აღორძინება ადამიანური სამართლიანობის ბატონობის ეპოქაში.

რელიგიურისა და ეთიკურის სფეროები არის ადამიანის ყოფიერების გაგების განსხვავებული დონეები. კირკეგორს სურს ახსნას, გაიგოს ადამიანის ცხოვრება განსხვავებულ დონეზე. მისი აზრით, ადამიანის ყოფიერების შეფასება და წარმართვა შესაძლებელია რელიგიურისა და ეთიკურის დონეზე. რელიგიურისა და ეთიკურის სფეროები ერთმანეთს უპირისპირდება როგორც საყოველთაოსა და უნიკალურის სფეროები. ადამიანს შეუძლია თვითონ აირჩიოს თავისი ყოფიერების განმსაზღვრელი პარამეტრები და კრიტერიუმები და თუ რომელ პარამეტრებს აირჩევს დამოკიდებულია ადამიანის მსოფლმხედველობასა და მეტაფიზიკურ პოზიციაზე.

ადამიანის ყოფიერება შეიძლება შეფასდეს განსხვავებული დონის და განსხვავებული კრიტერიუმებით. ერთი და იგივე ცხოვრება განსხვავებულად შეფასდება თითოეულ დონეზე. ის, რაც რაც საყოველთაოს, საზოგადოების მორალის, ეთიკურის დონეზე წარუმატებელი და უბედური ცხოვრებად არის მიჩნეული. სხვანაირად არის შეფასებული ასეთი ცხოვრება რელიგიურ დონეზე? კირკეგორს სურს აჩვენოს და გაარკვიოს რომელი შეფასება არის უფრო მნიშვნელოვანი ადამიანისათვის.

ადამიანის ცხოვრებაში ზოგჯერ ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რაც გაუგებარი და აუხსნელია არა მარტო საზოგადოებისათვის, მორალისათვის, სხვისთვის და საერთოდ საყოველთაობის პოზიციებიდან, არამედ თვითონ საკუთარი თავისათვის. ადამიანის შეემთხვა რაღაც, რაც საყოველთაოს, მორალის საზოგადოების აზრით არის უბედურება. საზოგადოება ამბობს ეს ადამიანი უბედურია. ეს რა გააკეთა, რა შეემთხვა. სერიოზული ადამიანია, იცნობს ცხოვრებას და ეს არ უნდა შემთხვეოდა. მაგრამ ეს ბედი იყო, რასაც ვერ აიცილებ.

ადამიანი ცდილობს თავისი უნიკალური ყოფიერება-ხდომილებიდან თავი შეაფაროს საყოველთაოს სფეროს და მისი მეშვეობით გახადოს საკუთარი ყოფიერება გასაგები. მაგრამ ადამიანი გრძნობს, რომ არის რაღაც, რაშიც ვერავინ ვერ შეგენაცვლება და ვერ

დაგეხმარება. ეს არის შენი უნიკალურობა. ამ უნიკალურობის შეფასებისათვის ადამიანი მაღლდება საყოველთაოს დონეზე და საკუთარ თავს განიხილავს როგორც უნიკალურს, რაც არ აიხსნება საყოველთაო კრიტერიუმებით. ადამიანს თავისი უნიკალურობის დასანახად სჭირდება აბსოლუტური პარამეტრები, რომელიც ვერ დაინახება საყოველთაოს სფეროში. ადამიანი ეთიკურის სფეროდან უნდა გადავიდეს რელიგიურ დონეზე და აბსოლუტთან დადგეს უშუალო, აბსოლუტურ მიმართებაში.

ადამიანის ყოფიერება განისაზღვრება საყოველთაო ნორმებით, მორალი, სამართალი, სოციოლოგიური ცოდნა ბატონობენ მასზე. საყოველთაო არის მიზანი, ინდივიდი კი საშუალება საყოველთაოს განხორციელების პროცესში. საყოველთაობა არის ახსნადობა, გასაგებადობა სხვისთვის და საკუთარი თავისათვის. ამის საფუძველზე შეიძლება გაგიგონ და დაგეხმარონ. მაგრამ საყოველთაობის პარამეტრებით საკუთარი ყოფიერების წარმართვისას და შეფასებისას იკარგება ადამიანის განუმეორებლობა, პიროვნულობა.

კირკეგორის აზრით, ადამიანი უნდა განხილული იქნეს არა მარტო საყოველთაო, არამედ აბსოლუტურ პარამეტრებში. ამ დროს ადამიანი დგას უშუალო, უნიკალურ მიმართებაში ღმერთთან. ამ დროს ადამიანს არ აინტარესებს ვიღაცის წინ არის თუ უკან ამ ცხოვრების შეჯიბრში. მას აინტარესებს მისი ყოფიერების აბსოლუტური, მარადიული პარამეტრები. ერთნი ადამიანის ცხოვრებას განიხილავენ როგორც უბედურებას, მეორენი პირიქით, რადგან განსხვავებული პარამეტრებით განიხილავენ მას. მაგრამ როგორია თავისთავად, როგორ შეიძლება შეფასდეს ადამიანის ყოფიერება რელიგიური, აბსოლუტური პარამეტრებით. კირკეგორის აზრით, ადამიანის ყოფიერების შეფასების რელიგიური ადამიანს აძლევს საკუთარი ცხოვრების შეფასების სხვა დონეს სადაც ადამიანი არის არა წარმატებული, არამედ უნიკალური.

## ციალა საკარული

### ლიტერატურული გმირის პორტრეტის ტექსტში წარმატებული რეალიზაციის საკითხისათვის (ინგლისური მოთხრობის მაგალითზე)

ლიტერატურული გმირის პორტრეტის შექმნის ტექნიკის თავისებურებების შესწავლას მრავალმა მწერალმა და ლიტერატურის თეორეტიკოსმა მიუძღვნა შრომები.

შემოქმედებითი მუშაობისას შეძენილი გამოცდილების კრიტიკული თვალთვლით განხილვა არის წარმოდგენილი ს.მოემის ნაშრომში **Summing up**, სადაც ავტორმა გამოთქვა თავისი აზრი, თუ როგორი უნდა იყოს სრულყოფილი, “დამაჯერებელი” პორტრეტული მახასიათებლები.

ვ. ვულფის აზრით, ავტორმა თუ მოიხელთა გმირის გარეგნული და შინაგანი დამახასიათებელი შტრიხები, მოძებნა მათი გადმოცემისათვის საჭირო მხატვრული საშუალებები, ნაწარმოების წარმატება გარდაუვალა.

ლიტერატურული გმირის წარმოდგენის თავისებურებების კვლევას მწერალმა და ლიტერატურათმცოდნე ჯ.ვუდმა მიუძღვნა თავისი ნაშრომი **How Fiction Works**. ნაშრომში ავტორი ხაზს უსვამს “დეტალის” ფაქტორის მნიშვნელობას გმირის პორტრეტის პრეზენტაციის პროცესში. ჯ.ვუდი აღნიშნავს, რომ ცხოვრების ამორფულობის გამო ლიტერატურამ უნდა გვასწავლოს როგორ შევამჩნიოთ, გამოვყოთ მნიშვნელოვანი დეტალი და განვსაზღვროთ გმირის მახასიათებელი პარამეტრები; ზოგადად კი, შევიცნოთ რეალობა. ამასთანავე, ვერ დავეთანხმებით ჯ.ვუდს, რომ ახალგაზრდებს ცხოვრებისეული და, შესაბამისად, ლიტერატურული დეტალის დაფიქსირების ნაკლები უნარი გააჩნიათ.

ჯ.ვუდის ნაშრომში საინტერესოაა განხილული მაკონკრეტიზირებელი დეტალის ფენომენი, რომელიც წარმოდგენილია ტერმინით **thisness**. ეს ისეთი დეტალია, რომელიც ტექსტში აბტრაქციის, განყენებულობის, ბუნდოვანების ექსპლიკაციას, დეკოდირებას ემსახურება და საგნის ან მოვლენის კონკრეტიზაციას განაპირობებს.

ლიტერატურული გმირის პრეზენტაციისას ან სინამდვილის ასახვისას საინტერესოა ჯ.ვუდის შეხედულება ტექსტში “ზედმეტი დეტალის” (**surplus detail**) ფაქტორზე. ჩვენი აზრით, თუ დეტალის არსებობა განპირობებულია ავტორის გარკვეული ინტენციით და მხატვრული ღირებულების მატარებელია, მას ტექსტში არსებობის უფლება აქვს.

ლიტერატურული გმირის პორტრეტის შექმნისას ავტორი, ბუნებრივია, ცდილობს გმირის სრულყოფილად, მხატვრულად მაღალ დონეზე წარმოდგენას. ჩვენი შრომის მიზანია, რომ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე ვაჩვენოთ, ავტორის ინტენცია, წარმოაჩინოს როგორ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს გმირის პორტრეტი გარკვეული კუთხით ნაწარმოებში ასახულ დეტალებს და, შესაბამისად, როგორ უნდა მოვახდინოთ ტექსტის შინაარსის დეკოდირება.

ს.მოემის მოთხრობის “პირობა” (**Promise**) ანალიზის საფუძველზე, ვცდილობთ გავარკვიოთ მთავარი გმირი ქალის ავტორისეული პორტრეტის თავისებურებანი, რომლებიც განაპირობებენ ტექსტში ზედსართავი სახელის “**honest**” სემანტიკურ სტრუქტურას.

ვ. ვულფის მოთხრობაში “სამკვიდრო” (**The Legacy**) გმირის პორტრეტი ცოლთან მიმართებაში ტექსტში თანდათანობით იკვეთება და საბოლოოდ, ვიღებთ თავისთავზე შეყვარებული, ეგოისტი მამაკაცის სახეს, რომელიც ცოლის უბედურებას მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე აღიქვამს.

მოთხრობის გმირის პორტრეტის რეალიზაცია მწერლის ჭეშმარიტ ნიჭს, ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას, შინაგან ინტუიციას და ზომიერების დიდი გრძნობას მოითხოვს.

## ნინო სურმავა

### ატ-ტაიბ სალიჰის “მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში” და ჯოზეფ კონრადის “წყვდიადის გული” – ლიტერატურული პარალელები

მოხსენების მიზანია, სუდანელი მწერლის ატ-ტაიბ სალიჰის ცნობილი რომანის “მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში” და ჯოზეფ კონრადის “წყვდიადის გულს” შორის გარკვეული კომპოზიციური პარალელების გამოკვეთა და ჯ. კონრადის ატ-ტაიბ სალიჰზე ლიტერატურული გავლენის საკითხის განხილვა.

ღიარებული ფაქტია, რომ ატ-ტაიბ სალიჰი, რომელმაც თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისში გაატარა, ”ორი კულტურის” მატარებელ არაბ მწერალთა ჯგუფს მიეკუთვნება. სალიჰის პერმანენტული ცხოვრება დასავლეთში ასახულია მისი შემოქმედების ყველა ასპექტში, თემის არჩევაში, სტილში, წერის ტექნიკაში. მისი ნაწარმოებების ძირითადი მოტივია შეჯახება აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს შორის.

რომანი “მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში” 1967 წელს დაიბეჭდა და გამოქვეყნების დღიდანვე კრიტიკოსთა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. მეცნიერები ამ რომანს ახალი ტიპის სამოგზაურო ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვან მოვლენად, გარდატეხის წერტილად მიიჩნევენ. რომანის ფოკუსში ექცევა მეოცე საუკუნის აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრა.

“მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში” კითხვისას აშკარად იგრძნობა ის გავლენა, რომელიც მწერალზე მოახდინეს დასავლელმა ფილოსოფოსებმა, ფსიქოლოგებმა და მწერლებმა, განსაკუთრებით კი, ალბერ კამიუმ, ზიგმუნდ ფროიდმა, ჯოზეფ კონრადმა, უილიამ შექსპირმა, სტენდალმა და ა.შ.

ლიტერატურული პარალელები შეიმჩნევა სალიჰის რომანის ორ გმირს – მთხრობელს და მუსტაფა საიდსა და ჯოზეფ კონრადის ორ პროტაგონისტს – მარლოუს და კურტცს შორის. კურტცს, როგორც მთავარ გმირს, ბევრი საერთო აქვს მუსტაფა საიდთან, ისევე როგორც კონრადის ნაწარმოების გმირს - მთხრობელ მარლოუს და *სალიჰის რომანის* მთხრობელს შორის შეიძლება პარალელის გავლება. კურტცსა და მარლოუს შორის არსებული ურთიერთობა, გარკვეულწილად, ვითარდება მუსტაფა საიდსა და მთხრობელს შორის ურთიერთობის იდენტურად. როგორც მუსტაფა საიდი წარმოადგენს რომანის ძირითად ფიგურას, რომლის ირგვლივაც ტრიალებს არა მარტო სიუჟეტის ხაზი, არამედ სხვა დანარჩენი გმირებიც – ასევე კურტცი წარმოადგენს “*წყვდიადის გულის*” ძირითად ფიგურას, თუმცა, მუსტაფა საიდთან შედარებით, წიგნში ის ნაკლებ ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა, ორივე ამ რომანში მთხრობელი და მარლოუ უფრო რთული და მნიშვნელოვანი ფიგურები არიან.

## თამილა სესიაშვილი

### ქართული ლარი როგორც ტექსტი

ვუძღვნი პროფ. ვიოლა  
ფურცელაძეს

ფულის როგორც ტექსტის გააზრება ემყარება თანამედროვე სემიოტიკური თეორიისა და ტექსტის ლინგვისტიკის მონაცემებს, რომელთა მიხედვით ფული არის კულტურის ნაწილი, კულტურა კი ნიშანთსისტემაა, ე. ი. ფული ნიშანია, კერძოდ ხატის ელემენტების შემცველი სიმბოლო, ვინაიდან ის მოტივირებული არ არის, პირობითია, ოღონდ შეიცავს ხატისთვის დამახასიათებელ აუცილებელ მაკონსტრუირებელ ელემენტებს.

ფული ნიშანია სემიოტიკური თვალსაზრისით როგორც არტეფაქტი, ინსტრუმენტი და კოდირებული. ის ტექსტია ტექსტოლინგვისტიკური თვალსაზრისითაც, რაკი ტექსტუალობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ქართულ ლარში როგორც ტექსტში კლჰეზიის შექმნას ემსახურება რეკურენცია – ტექსტის ზედაპირზე მყოფი ლექსემებისა და სხვა ნიშნების გამეორება, სხვადასხვა გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები და მათთან ან ქართულ კულტურასთან დაკავშირებული მოტივები.

კლჰერენტულობა ხორციელდება იზოტოპიის – საერთო სემანტიკური სემის შემცველი სხვადასხვა ლექსიკური ერთეულების გამეორებით და იმ პიროვნებებისა და მოტივების გამოსახვით, რომელთა ფასეულობა წარმოადგენს მათ დამაკავშირებელ საერთო სემას.

ლარის როგორც ტექსტის ინტენციურობას განსაზღვრავს პროდუცენტის მიზანი, შექმნას ისეთი ტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტის მომხმარებლის მიერ პროდუცენტის ინტენციის ადეკვატურ აღქმას. ქართული ლარი სავსებით აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს იმით, რომ ბანკნოტების ღირებულებები ნათლადაა მათზე გამოხატული როგორც წერილობითი სიტყვიერი, ისე რიცხვების საშუალებით.

ლარის აქცეპტაბელურობაში იგულისხმება მისი ესთეტიკური და პრაგმატული მხარე, გაფორმება, დიზაინი და ის, თუ რამდენად მისაღებია რეციპიენტისთვის ბანკნოტზე აღბეჭდილი ღირებულებები. ამ თვალსაზრისით მომხმარებელთა დამოკიდებულება ლარისადმი შეიძლება იყოს უაღრესად სუბიექტური, ვინაიდან მათთვის მთავარია ამ ღირებულებათა მსყიდველობითუნარიანობა, რაც შესაძენი საგნების ფასსა და გადასახადების ცვალებად ტარიფებზეა დამოკიდებული და ლარისადმი კეთილგანწყობას თუნდაც იდეალური დიზაინიც ვერ განაპირობებს.

ინფორმაციულობა ნიშნავს ტექსტის ინფორმაციული შინაარსის მასშტაბს. ინფორმაციულობის ხარისხი მცირეა ლარის ბანკნოტების წერილობით დონეზე, მაგრამ დიდია ხატის დონეზე, სადაც რეციპიენტს შეუძლია ქართულ კულტურასთან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაციების მიღება.

ლარის სიტუაციურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის განსაზღვრულ სიტუაციებთანაა დაკავშირებული, როგორცაა რამის ყიდვა-გაყიდვა, გადასახადებისა და დანახარჯების გადახდა და სხვ.

ლარის ინტერტექსტუალობაში იგულისხმება მისი ტექსტთა შორის მიმართება სხვა სახეობის ტექსტებთან, მიმართება სხვა ქვეყნების ფულის,

მაგალითად, ევროს, ამერიკული დოლარის, რუსული რუბლის, აზერბაიჯანული მანათისა და სომხური დრამის ბანკნოტებთან და მიმართება ლარის ცალკეულ ბანკნოტებს შორის.

კულტურით დაღდასმულობა ნიშნავს, რომ ტექსტებს იმ ქვეყნის კულტურის დადი აზის, სადაც ისინია შექმნილი. ლარიც და ზემოდასახელებული ქვეყნების ფულის ბანკნოტებიც ორგანოზომილებიანია, ავერსისა და რევერსისაგან შედგება, მაგრამ მათ მაინც განსხვავებული სტრუქტურა, დიზაინი და შინაარსი აქვთ, ვინაიდან მათი საშუალებით განსხვავებული კულტურისეული ფასეულობები გადმოიცემა.

### **ნინო სილაგაძე** **სასანური სიმბოლური მოტივები ადრექრისტიანული** **ქართულ რელიეფურ პლასტიკაში**

ჩვენი მოხსენების მიზანია განვიხილოთ სასანური ირანის კულტურიდან მომდინარე ზოგიერთი სიმბოლური თუ სტილისტური მოტივი V–VII სს. ქართული ხელოვნების რიგი ძეგლების მაგალითზე. ეს თემა ადრეც გამხდარა ქართველი მეცნიერების დეტალური კვლევის საგანი, თუმცა ჩვენ გვინდა მათი ავტორიტეტული მოსაზრებები რამდენიმე შტრიხით შევავსოთ.

ჩვენ ადრეც შევხებივართ ქათულ-ირანული კულტურული კავშირების უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან პრობლემას ძირითადად ადრექრისტიანული ქართული არქიტექტურის ზოგიერთი ნიმუშის მაგალითზე: განვიხილავდით ირანული ცეცხლის ტაძრების ტიპის გარკვეულ ანალოგიებს V–VII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრების მაგალითზე. ასეთი ტიპის ნიმუშები გავრცელებული იყო ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანული არქიტექტურის სტილისტიკის და ტიპოლოგიის ფორმირების ადრეულ ეტაპებზე. აღნიშნული იქნა, რომ სასანური ხელოვნებიდან მომდინარე ხუროთმოძღვრული მოტივები ქართულ ნიადაგზე ყველაზე მეტად მემორიალური ტიპის შენობებში – მარტირიუმებში, კრიპტებზე დაშენებულ მცირე ეკლესიებში – იკვებდა ფეხს. იგივე მოვლენას ადგილი აქვს არქიტექტურის მცირე ფორმების შემთხვევაშიც – ადრექრისტიანულ ხანაში საქართველოში ასე გავრცელებულ რელიეფურ სეტლებზე ასევე გვხვდება სასანური, ზოროასტრული სიმბოლური მოტივები. სიმბოლური გამოსახულებების გარდა, საინტერესოა აგრეთვე ამ რელიეფების სხვა სტილისტური თუ კომპოზიციური ელემენტები და ატრიბუტები, ისეთები როგორებიცაა ნადირობის სცენები, მხედართა გამოსახულებები, პერსონაჟთა სამოსი, ორნამენტული მოტივები და სხვ.

სიმბოლური მოტივები, რომლებიც ამ ტიპის ნიმუშებზე გვხვდება, თავის მხრივ, ასევე მრავალფეროვანია – გაშლილი ფრთები, სამფურცლიანი ყვავილები, ცეცხლს საკურთხევლები, ზოროასტრული წმინდა წასაკრავები და სხვ.

აღნიშნული მოტივებს ვხედავთ აგრეთვე VI–VII სს. აღმოსავლურ ქართული ეკლესიების ფასადთა მცირერიცხოვან რელიეფურ დეკორშიც. უაღრესად საინტერესოა ამ



მასალის შევსება ამავე ეპოქის გლიპტიკისა და ტორევტიკის ნიმუშებითაც როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური სინამდვილედან, სადაც აგრეთვე სახეზეა ქრისტიანული და ზოროასტრული, ან ქრისტიანული და მითრასტული სიმბოლოების ერთგვარი სინთეზი.

## ნესტან სულავა

### კაენისა და აბელის სახისმეტყველებისათვის ჰიმნოგრაფიაში

შესაქმის წიგნში მოთხრობილი კაენისა და აბელის ამბავი იპოდიგმურია ძველი აღთქმის სხვა მომდევნო წიგნებისა და ახალი აღთქმის წიგნებისთვისაც, აგრეთვე, ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებებისთვისაც. ბიბლიის კომენტარებით, კაენიანები მიწიერი ქალაქის ფუძემდებლები არიან, აბელი – ზეციური ქალაქისა, რის საფუძველზეც შეიქმნა არქეტიპი, იპოდიგმა, რომელმაც პარადიგმების სახით შესაქმის წიგნშივე იჩინა თავი. პარადიგმებად გვევლინებიან აბრაამის შთამომავლები: ისაკი და ისმაელი. მას შემდეგ, რაც ადამმა ცოდვა ჩაიდინა და განიძარცვა “სამოსელი პირველისაგან”, ნათლის სამოსლისაგან, გახდა “ტყავის სამოსლით მოსილი”, დაკარგა სამოთხე, გამოძევებულ იქნა ზესივრცულ-ზედროული სამყაროდან, იგი დაშორდა ღმერთს.

ნეტარი ავგუსტინე თხზულებაში “ღვთის ქალაქისათვის” განმარტავს, რომ მიწიერ ქალაქს აფუძნებს კაენი, კაცთა მოდგმისაგან პირველად დაბადებული, ხოლო ზეციური ქალაქის დამფუძნებლად მიიჩნევს აბელს, თავადაც მაძიებელს ზეციური ქალაქისა, როგორც იდეალისა, პირველსახისა. ადამისა და ევას შეცოდებამ დასაბამი მისცა ადამის მოდგმის გამრავლებას დედამიწაზე და იგი არქეტიპულ აქტად იქცა. ცოდვის შედეგად იშვნენ კაენი და აბელი. პირველსავე თაობაში შემოსულმა სიკვდილმაც მალე იჩინა თავი. ეს კაენის მიერ ჩადენილი მკვლელობა იყო, რასაც საფუძველი დაუდო ძმების მიერ არჩეულმა განსხვავებულმა საქმიანობამ: მიწის მუშაკობამ და მწყემსობამ. სამოთხეში ორივეს ადამი ეწეოდა. მის შვილებში ეს საქმე გადანაწილდა, კაენი მიწის მუშაკი გახდა, აბელი – მწყემსი. მათი საქმიანობა ერთმანეთს ვერ შეეთვისა და გახდა ტრაგედიის სათავე. ამ ფაქტს ღრმა მისტიური ღირებულება და მნიშვნელობა აქვს. ჩანს, კაენმა მსხვერპლშეწირვისას თავისი მონაგარიდან საუკეთესო არ შესწირა. კომენტარების მიხედვით, კაენმა შეუფერებელი განწყობილებით შესწირა თავისი ნამუშაკვეი. ღმერთმა მისი სულიერი განწყობა დაიწუნა, საკმარისი არ აღმოჩნდა მისი რელიგიურობა. მსხვერპლიცა და შემწირველის განწყობაც ერთიანი უნდა ყოფილიყო. მისი ყოფა დახასიათებულია როგორც ღვთის პირისაგან დაშორება. იგი ადამმა თავის ღვთის ხატად და მსგავსად დაბადა, რადგან ისიც, მამის მსგავსად, ღმერთის შეკითხვაზე

პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას შეეცადა. აბელმა კი საუკეთესო, რჩეული ცხვარი შესწირა, რაც ღმერთმა მიიღო. ეს იმიტომ, რომ აბელის რელიგია ჭეშმარიტად უანგარო რელიგიაა. ნეტარმა ავგუსტინემ ღვთიური და მიწიერი ქალაქების შესახებ შეხედულებათა წარმოჩენისას პირველს მიაკუთვნა ყველა სულიერი ძალა, ხოლო ის, ვინც დაიტვირთა ცოდვით, ამქვეყნიური სამყაროს მოქალაქე იყო. ქართულ ჰიმნოგრაფიაში აისახა კენისა და აბელის ხატ-სახეები, როგორც საფუძველი მატერიალური და სულიერი საწყისების არსებობისა ადამიანში. მოხსენებაში ამ თვალსაზრისითაა წარმოდგენილი იოანე მტბვერის, მიქაელ მოდრეკილის, დავით აღმაშენებლის საგალობლების სახისმეტყველებითი ასპექტები.

## ქეთევან სიხარულიძე

### ღვთაებათა მიერ მოტაცებული ბავშვები კავკასიურ ფოლკლორში

კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ფოლკლორში არის გადმოცემები, რომლებშიც მოთხრობილია ღვთაებათა მიერ ჩვილი ბავშვების მოტაცების ამბები. ამ ღვთაებათა შორის არიან ფუძის ანგელოზები, ნადირობის ღვთაებები. უმეტესად მათ დედის მუცლიდანვე მიჰყავთ ბავშვები (ამით ხსნიდნენ ე.წ. ცრუ ორსულობას). ადგილი ჰქონდა საპირისპირო მოვლენასაც, კერძოდ, ადამიანის ოჯახში იბადებოდა ბავშვი, რომელსაც ფიზიკურად ეტყობოდა ღვთაების ნიშნები (ასეთი გადმოცემების რიცხვი ძალზე მცირეა).

ბავშვთა გაცვლის თვალსაზრისით უფრო აქტიურნი არიან ავსულები, რომლებიც აკვნიდან იტაცებენ ჩვილს, სანაცვლოდ კი თავიანთ მახინჯ შთამომავალს ტოვებენ. ამის გამო ახლად მომშობიარებულს შიშით მარტოს ვერ ტოვებდნენ, რომ ავსულებს ზიანი არ მიეყენებინათ ქალისა და ბავშვისათვის.

მართალია, ერთ შემთხვევაში ბავშვებს იტაცებენ ღვთაებები, მეორე შემთხვევაში – ავსულები, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ რელიგიების შეცვლის პროცესში ხშირად ძველი ღვთაებები დემონურ არსებებად გარდაიქმნებიან. შეიძლება ითქვას, რომ ღვთაებებსა და ადამიანებს შორის შვილების გაცვლა, სავარაუდოდ, არის საერთო კავკასიური მოტივი, რომელიც კავკასიური მითოლოგიის უფრო დიდი თემის ბირთვს წარმოადგენდა. აღნიშნული გადმოცემები არქაული მითოსის რუდიმენტებია, რომელიც ეფუძნებოდა სამყაროს ერთიანობისა და მისი ნაწილების (სკნელების) ურთიერთგამსჭვალვის იდეას და რაც ამ ნაწილებს შორის შთამომავლობის პირდაპირი გაცვლით გამოიხატებოდა. უფრო განვითარებული რელიგიების წიაღში კი იმავე იდეის მატარებლები არიან ხორცშესხმული ღვთაებები და გაღმრთობილი ადამიანები.

## ნანა ტონია

### ძველი საბერძნეთისა და რომის მოდერნისტული ტენდენციები

კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეპოქათა შორის გარდამავალი სტადიები, რომლის დროსაც მოღვაწე შემოქმედებითი სული გამოიმუშავებს ხოლმე საყრდენს იმ შემოქმედებითი კრედოსი, რომელსაც საფუძვლად უდევს გარდასულ საუკუნეთა გენიოსების ინდივიდუალური განაცხადები მხატვრული შემოქმედების თაობაზე. ეპოქათა ცვლის გარდამავალ სტადიებზე ხდება ამ განაცხადთა გააზრება, მიღება ან არმიღება და სწორედ იქ იწყება ახალ კრედითა ძიების პროცესი. ამ პროცესს ხშირად “ავანგარდიზმის” სახელით მოიხსენიებენ, თუმცა იგი მხოლოდ კულტურის წინამავალ სტადიათა ნორმებისა და კრიტერიუმებისაგან რადიკალური განდგომის აღმნიშვნელ პირობით ტერმინად დარჩა, რადგანაც მას, არ გააჩნდა რა საკუთრივ მისთვის ნიშანდობლივი თვისებები, არც სკოლა და არც მიმართულება შეუქმნია. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით პრაქტიკაში “ავანგარდიზმი” შეიცვალა უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე ცნებით – “მოდერნიზმით”, რომელმაც შეიმუშავა რა სპეციფიკური კრიტერიუმები, მრავალ მიმართულებას დაუდო დასაბამი. ამ სკოლის წარმომადგენელთა ძიებებში, ხშირად ანტიკური სამყაროსაგან მემკვიდრეობით მიღებული კლასიკური ხელოვნებისგან განდგომის პროცესები დასტურდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. V - IV საუკუნეების თავად ძველი საბერძნეთის ხელოვნებასა და ლიტერატურაში შეინიშნება მოდერნისტული ტენდენციები.

## შალვა ტაბატაძე

### ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საშეღავათო სისტემა შესაძლო პრობლემები და გადაჭრის გზები

უმცირესობებისთვის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შეღავათიანი სისტემა არაერთ სახელმწიფოში მოქმედებს. აღნიშნული სისტემა ფართოდ არის გავრცელებული ამერიკის შეერთებულ შტატებში ე. წ. „Affirmative Action“-ის სახელწოდებით. საქართველოს კონტექსტში შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი “საშეღავათო პოლიტიკა”, რაც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის შეღავათიანი რეჟიმის შექმნას უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებისას. ლეჰმიულერი და გრეგორი (2003) გვთავაზობენ გოლმანის მიერ

ჩამოყალიბებულ „Affirmative Action“ ოთხ ტიპს: წარსულზე ორიენტირებული, მომავალზე ორიენტირებული, ძლიერი უკუდისკრიმინაცია და სუსტი უკუდისკრიმინაცია. (ა) წარსულზე ორიენტირებული ქმედება აღიარებს უმცირესობათა მიმართ წარსულში არსებულ დისკრიმინაციას და სთავაზობს შეღავათიან პირობებს მისაღები გამოცდებისას, რათა ნაწილობრივ მაინც აღმოიფხვრას წარსული დისკრიმინაცია. (ბ) მომავალზე ორიენტირებული ქმედება კი, ერთი მხრივ, აღიარებს წარსულ დისკრიმინაციას, თუმცა, მეორე მხრივ, ამბობს, რომ მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია როგორც უმცირესობებისთვის, ასევე უმრავლესობისთვის და სწორედ მრავალფეროვნების შესაქმნელად, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხელს უწყობს უმცირესობათა წარმომადგენლების შეღავათიან პირობებში ჩარიცხვას. (გ) სუსტი უკუდისკრიმინაცია პრივილეგიას ანიჭებს იმ უმცირესობის წარმომადგენელ კანდიდატებს, რომლებსაც ისეთი კვალიფიკაცია გააჩნიათ, როგორც უმრავლესობის კანდიდატებს. (დ) ძლიერი უკუდისკრიმინაციის პირობებში, უმცირესობის აბიტურიენტს ენიჭება უპირატესობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი კვალიფიკაცია ნაკლებია უმრავლესობის ჯგუფის აბიტურიენტის კვალიფიკაციაზე.

2005 წლიდან, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებიდან ეთნიკური უმცირესობების უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად “საშეღავათო პოლიტიკის არაერთი მიდგომა იქნა გამოყენებული. მაგალითად, დაფინანსების თვალსაზრისით ძლიერი უკუდისკრიმინაციის მიდგომა და უმცირესობის წარმომადგენლები სოციალური პროგრამის ფარგლებში იღებდნენ გრანტს უმაღლესში სწავლის დასაფინანსებლად. განათლების და მეცნიერების სამინისტრო ანხორციელებდა სხვადასხვა ინტეგრაციულ პროგრამებს არაქართულენოვანი სკოლის აბიტურიენტებისთვის და მათ საშუალებას აძლევდა მომზადებულიყვნენ მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებში, განსაკუთრებული აქცენტი ქართული ენის გამოცდისთვის მომზადებაზე კეთდებოდა. მნიშვნელოვანი იყო 2008 წლიდან ეთნიკური უმცირესობებისთვის ზოგადი ტესტირების მშობლიურ ენაზე ჩაბარების უფლების მინიჭებაც.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული საშეღავათო პოლიტიკის განხორციელებისა შედეგი მაინც არაეფექტური იყო და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ხვედრითი წილი ქართულ უმაღლეს სასწავლებელში და ჩაბარების მსურველთა რაოდენობაც ყოველწლიურად კლებულობდა. 2009 წლის ნოემბერში განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობებისათვის 12%-I კვოტის შემოღება გადაწყვიტა. ამ მოხსენებაში განვიხილავთ აღნიშნულ საშეღავათო პოლიტიკას, მისი განხორციელების შესაძლო რისკ-ფაქტორების და ამ რისკ-ფაქტორების აღმოფხვრის გზებს.

## ია უძილაური

### “ქურდული სამყარო”, როგორც კონტრკულტურა

მოხსენების კვლევის საგანს წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაული, კერძოდ, ე.წ. “კანონიერი ქურდების” ინსტიტუტი, რომელიც თანამედროვე საქართველოში ტრანსფორმაციას განიცდის, იძენს რა კონტრკულტურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. სახელმწიფო დონეზე, ცნება კონტრკულტურა უფრო შეეფერება დღეს ქართული კრიმინალის ფენომენს, რომელიც თავის დროზე კრიმინალური სუბკულტურის სახით ჩამოყალიბდა.

რამდენადაც კულტურა და მისი შემადგენელი ნებისმიერი ელემენტი არ გახლავთ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, არამედ ისინი მუდმივად ცვალებად მეორე ბუნებას წარმოადგენენ, ძალზედ საინტერესოა სწორედ ამ ცვლილებებისათვის თვალის მიდევნება. ტრანსფორმაცია, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება, საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ და შევისწავლოთ ისინი შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ამრიგად, მოხსენების მთავარი თეზისი მდგომარეობს შემდეგში: კრიმინალური სუბკულტურა, კერძოდ კი, “კანონიერი ქურდების” ინსტიტუტი, განიცდის რა არსობრივ ცვლილებებს, იქცა კონტრკულტურად. შევეცადეთ, გამოთქმული წინასწარი ვარაუდის სიზუსტე კონკრეტულ კვლევაზე დაყრდნობით დაგვედგინა, თავის მხრივ, კვლევა ეყრდნობა იმ თეორიულ და ისტორიულ საფუძვლებს, რომელთა ანალიზის გარეშე ნათელი სურათის წარმოჩენა შეუძლებელია.

კვლევის მიზანია ე.წ. “ქურდული სამყაროს” მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გამოვლენა.

მიმდინარე პროცესები, კერძოდ კი, სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები, რომელთა ნაწილიც პირდაპირ უკავშირდება ბრძოლას ორგანიზებულ დანაშაულთან, აისახა საზოგადოებაზე და მის დამოკიდებულებაზე კრიმინალური სუბკულტურისადმი. შედეგად წარმოიშვა “სუბკულტურისათვის დამახასიათებელი შეგნების”, “კრიმინალური მორალის” ჩანაცვლების საჭიროება, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდში, კორუმპირებული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, საზოგადოების მთავარი ორიენტირი იყო. ფაქტორებმა – სოციალური პროტესტი; ”კეთილდღეობის ფორმულა”, ”ქუჩის სკოლა” და სხვ. – რომლებმაც განაპირობეს კრიმინალური სუბკულტურის დიფუზია და ესოდენ პოპულარობა საზოგადოებაში, დღეს დაკარგა მნიშვნელობა და აქტუალობა. ახალი რეალობა – საკანონმდებლო რეფორმა; “ნულოვანი ტოლერანტობის” პოლიტიკა; პოლიციის, ჯარის, განათლების რეფორმა; ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები – საზოგადოებას ახალ მოთხოვნებს უყენებს. მიუხედავად ამისა, გარკვეული სტერეოტიპები შენარჩუნდა და კრიმინალური სამყაროს რომანტიზებული სახე ინერციით განაგრძობს არსებობას.

## მანანა ფხაკაძე, რაულ ჩაგუნავა

### რომელ ენაზე დაისწავლა შუშნიკმა “დავითნი”

ბიბლიის წიგნებიდან ერთ-ერთი პირველი, რომელსაც ქართველები მშობლიურ ენაზე უნდა გასცნობოდნენ, “დავითნი” უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოჰყავთ ნაწყვეტი “შუშანიკის წამებიდან”: შუშანიკმა “ჯელთ აღიხუნა დავითნი და მცირეთა დღეთა შემდგომად ასერგასნი იგი ფსალმუნნი დაისწავლა”.

იაკობ ცურტაველის ეს ცნობა ადასტურებს V საუკუნეში ასეთი წიგნის არსებობას, მაგრამ არ აზუსტებს, რომელ ენაზე იყო ის დაწერილი-სომხურზე თუ ქართულზე. შუშანიკს, რომელიც ფესვებით იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული დედა სამშობლოსთან, რომ ცურტავის ეკლესიაში სომხურ ენაზე ღვთისმსახურებაც კი შემოუღია, სავსებით შესაძლებელია, რომ სომხური “დავითნი” ესარგებლა.

ამ საკითხში გარკვევა შესაძლებელია იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე “დავითნის” გამოყენებასთან იყო დაკავშირებული.

“დავითნი” ის თხზულებაა, რომელიც ბავშვების პირველდაწყებით განათლების სისტემაში იმ დროს ერთ-ერთ მთავარ და ზეპირად დასასწავლი სახელმძღვანელოს ფუნქციას ასრულებდა.

წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ სწავლების ასეთი კურსი გაიარეს ჯერ კიდევ 7-8 წლის ასაკში მონასტერში მიბარებულმა გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ საბა გაწმენდილმა (439-532 წწ.) “შემდგომად მცირედთა ჟამთა დაისწავა დავითი და ყოველი წესი მონაზონებისაი”), ნისიზინის აკადემიის მომავალმა დამაარსებელმა მარ ნარსემ (გარდაიცვალა 503/4 წ), იოანე დაილომელმა (გარდაიცვალა 737/8წ) სკოლაში სწავლებისას “მოკლე დროში შეისწავლა ფსალმუნები და სხვა მეცნიერებები, რომელთა ცოდნაც აუცილებელი იყო ბიჭებისათვის”, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელმა გრიგოლ ხანძთელმა (759-861წწ) “მსწრაფლ დაისწავლა დავითი და ჳმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიო-სამომღვროი ქართულსა ენასა შინა ... და მწიგნობრობაჲ მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწერთნა” და სხვ.

გამონაკლისის სახით ამავე დროს მოწიფულობის ასაკში “დავითნის” შეწავლის მაგალითებიც არის ცნობილი. შუშანიკის გარდა შეიძლება დავასახელოთ სპარსი მოწამე გულარდუხტი (გარდაიცვალა 591 წ), რომელმაც

ასევე საპყრობილეში ასურულ ენაზე აითვისა ეს თხზულება. თავისი სიცოცხლის მეორე ნახევარში “საპყრობილესა მას შინა, ისწავა სწავლაჲ ასურებრივი და ფსალმუნნი დავითისანი მუნ მყოფთა მათგან ქრისტიანეთა კაცთა”.

ამ შემთხვევას თავისიახსნა აქვს: გულარდუხტი მხოლოდ მოწიფულობის ასაკში გაქრისტიანდა და ბავშვობაში მას არ შეეძლო სწავლების იმ კურსის გავლა, რომელიც მან მოგვიანებით უკვე ქრისტიანობაზე მოქცეულმა საპყრობილეში გაიარა.

შუშანიკი გულარდუხტისგან განსხვავებით ღვთისმოსავ ოჯახში იზრდებოდა და გამორიცხულია, რომ მას ქრისტიანისთვის სავალდებულო პირველდაწყებითი კურსი არ შეესწავლა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შუშნიკმა საპყრობილეში ხელმეორედ, მაგრამ ამჯერად ქართულ ენაზე შეისწავლა “დავითნი”

## მარინე ფუთურიძე

### არქეოლოგიის დეპარტამენტის

მტკვარ-არაქსის კულტურის დებატური საკითხები წინა აზიის ძვ.წ. IV-III ათასწლეულების ძეგლებთან ურთიერთმიმართების კონტექსტში

(პრობლემათა კვლევის პერსპექტივა)

პრეისტორიული ხანის განვითარებული ეტაპი სამხრეთ კავკასიის გეოკულტურულ სივრცეში რთული ხასიათის მოვლენებითა და სიახლეებით გამორჩეული მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობით აღინიშნა. ეს კულტურა განსაკუთრებით ვრცელი გეოგრაფიითა და საეტაპო მნიშვნელობის ინოვაციებით გამოირჩევა ყოფის მრავალ სფეროში. ეს უპირველესად ეხება სამეთუნეო და მეტალურგიულ წარმოებას, მცირე პლასტიკას და არქიტექტურას.

მატერიალურ კულტურაში საკმაოდ მრავალფეროვნად ასახულ სიახლეთა მთელი სერია, რასაკვირველია, გარკვეული ეთნიკური, სოციალური და კულტურული პროცესებით იყო განპირობებული. ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრისა და III ათასწლეულების კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ერთი ნაწილის (სირია-პალესტინა, ჩრდილო ირანი, აღმოსავლეთ ანატოლია) ვრცელი არეალი დაფარული ჰქონდა ერთგვაროვან – მტკვარ-არაქსულ კულტურულ პლასტს, რომელიც გარკვეულ ლოკალურ თავისებურებებსაც ამჟღავნებდა ერთმანეთისაგან. სწორედ ლოკალურ სპეციფიკათა სიღრმისეული კვლევა მოგვცემდა პრეისტორიული ხანის ამ მნიშვნელოვანი კულტურის უკეთ გააზრების საფუძველს. ლოკალურ არეალთა შედარებითი შესწავლა საშუალებას მოგვცემს კულტურული პროცესების დინამიკა გავიაზროთ მისი გავრცელების მთელს სივრცეში სისტემურად და არა ერთმანეთისაგან მოწყვეტით მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში. ამგვარი კვლევის საფუძველი კი შეიძლება გახდეს მტკვარ-არაქსული კულტურის იმ კომპლექსების შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა, რომლებიც დღევანდელ სხვადასხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზეა გამოვლენილი. ამ პროცესს უკანასკნელ ხანებამდე მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელიც საშუალებას არ იძლეოდა ქართველი მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო მახლობელი აღმოსავლეთის საველე-არქეოლოგიური და კვლევითი მიღწევები. არც თუ ისე დიდი ხნის წინ შეცვლილი გეოპოლიტიკური სინამდვილე კი ამჟამად ამგვარი სამეცნიერო კვლევების ფართო და რეალურ პერსპექტივას იძლევა. შესაბამისად, არქეოლოგთა მთელი ძალისხმევა სწორედ ამ

მიმართულებით მუშაობისაკენ უნდა წარიმართოს. ეს საშუალებას მოგვცემს წინა აზრისა და კავკასიის რეგიონებისათვის შემუშავებული ქრონოლოგიური სქემების შეჯერება-დაზუსტებისა და სისტემაში მოყვანისათვის, ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა სამეცნიერო მიმოქცევაში დროულად შემოტანისა და მათი ურთიერთმიმართებით კონტექსტში გააზრებისათვის. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლართა და სამაროვანთა დღეისათვის გათხრილი თუ გათხრების პროცესში არსებული ძეგლები გადაუდებლად მოითხოვს სისტემურ შედარებით კვლევას, რის გარეშეც, ვფიქრობთ, შეუძლებელია გაირკვეს ძვ.წ. IV-III ათასწლეულთა ამ კულტურის კონკრეტული საკვანძო პრობლემები.

## დალი ფანჯიკიძე

### ფუნქციური კომპენსაციის პარამეტრები (ინგებორგ ბახმანის პოეზიის საკუთარი თარგმანის მიხედვით)

ფუნქციური კომპენსაციის ცნება მოიცავს ამოსავალი ტექსტის აღქმასა და რეკონსტრუქციას რამდენიმე დონეზე. ესაა უპირველეს ყოვლისა შინაარსის დონე, ამ დონის არსებობის შემდეგ კი იწყება სათარგმნი ტექსტის ანალიზის პროცესი. ანალიზის მიზანია გამოვლინდეს ის პოეტური ხერხები, რომლებიც ემორჩილება ფუნქციურ კომპენსაციას და თარგმანში ბუნებრივი დანაკარგების ფონზე საფუძველს ქმნის მაქსიმალურად მაღალი იყოს თარგმანის ადეკვატურობის ხარისხი.

პოეზიის თარგმანში ფუნქციურ კომპენსაციას ემორჩილება რიტმი და ინტონაცია, განწყობილება, პათეტიკა თუ სისადავე, ლაკონიურობა თუ ენამჭევრობა, ლირიკული გმირის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, აზრის სირთულე თუ სიმარტივე, ბუნდოვანება თუ გამჭვირვალობა, სინატიფე თუ უხეშობა, ირონია თუ იუმორი, ტრადიციული და ოკაზიური პოეტური ხატების ნაწილი.

ინგებორგ ბახმანის პოეტიკა ზედმიწევნით ინდივიდუალურია. ლექსიკა გაუცვეთავია, იშვიათი, მაგრამ თანამედროვე, ზოგჯერ უხეში და არაესთეტიკურიც. ალუზიები მოულოდნელია, არცთუ იშვიათად ბუნდოვანი ან ორაზროვანი. სალექსო საზომი არაერთგვაროვანია, ერთმანეთს ენაცვლება 10, 9, 5 – მარცვლიანი სტრიქონები, ფინალში ხშირია 2, 3, 4 – მარცვლიანი აქცენტები. ყველაფერი ეს ქმნის უცხო პოეტურ სამყაროს, რომლის რეკონსტრუქციისთვის ვერ გამოგვადგება მშობლიური პოეზიიდან ნასესხები რიტმები და მზამზარეული პოეტური ფორმები და კომპონენტები.



## თეიმურაზ ქურდოვანიძე

### “მოზუბუნე ხმლის” მითოლოგიის ხმიანობა თავისუფლებაწართმეულ დროში

საქართველოს მთაში შემორჩენილი მამულის მოვლის განცდა კერიის ცეცხ-ლივით იყო ადამიანური რუდუნების საგანი. ვაჟა ფშაველასათვის ამ გრძნობის მემკვიდრეობითობა მარადიული მუხტის შემცველია და სიმბოლურად ხმალში ცხადდება, რომელიც სკივრში დასვენებულიც კი ბუბუნებს, ქარქაშიდან ამოსვლას ლამობს, “ამო-დის და ქარქაშიანი სწუხს”. ხმალი მით უფრო მეტ ფასს მაშინ იძენს, როცა პატრონი თავისი სადარი ჰყავს.

“მოზუბუნე ხმლის” მითოლოგია ხევსურ მამუკა ქალანდაურთან ასოცირდება. მამუკა ზურაბ ერისთავის თავგასულობას ეპაექრებოდა და მას, როგორც თავად “ნაწილიანს”, თავისი სასწაულებრივი ხმალი ქარქაშიდან ამოწვდით ატყობინებდა, რომ ბრძოლა და გამარჯვება ელოდა. ხევსურეთზე ზურაბის ლაშქრობის დროსაც დაუფ-ლებია მამუკას ეს გრძნობა, გაქცეულა შინ “შეუხედავს ბოძზე დაკიდებული ხმლი-სათვის და ნახევრამდე ამოწეული უნახავს”. ამ ხმალს წინ “ვარსკვლავივით გაუძღვე-ბოდა თურმე სვეტი შუქისა”. სვეტი რომ შეუნიშნავს, ზურაბი გაქცეულა...

ვაჟა მიიჩნევს, რომ მინავლებას არ იმსახურებს “მოზუბუნე ხმლის” თემა და მასში ჩადებული მუხტი, მით უმეტეს, თავისუფლებაწართმეულ ქვეყანასა და დროში და ახალგაზრდებში მის მიმართ პატივისცემის გაღვივების მიზნით რამდენჯერმე აჩერებს თავის მწერლურ თვალს მასზე. სასწაულებრივი ხმლის თემა და მასთან მიმბმული თავისუფლების წყურვილი მწერალს მართლაც მარადიულ საფიქრალად აქვს ქცეული. ამის დასტურია 1902 წ. დაწერილი “ამირანის ხმალი”.

ვაჟა “ცრუპენტელა აღმზრდელში” (1908) გვარწმუნებს, რომ მამულზე ზრუნვის მისია სამარადისოდ არის დაკავშირებული გარდასულ გმირ უძილაურთან, რომელიც “დიდხანს ებრძოლა, დიდხანს ეომა საქართველოს მტრებს”, ბოლოს “მაჯობა მტერმა, ლაშქარიც გამიწყდა და მე ცოცხალი დამმარხეს”. დროის გასვლის შემდეგ ვაჟამ ის შთამბეჭდავად შემოიყვანა თხრობაში: მიწამ “ფამფალი, ზანზარი დაიწყო და წამოდგა საფლავიდან უზარმაზარი ტანის კაცი, მშვენიერის სახისა, მხარ-ბეჭი ორი ადლი ექნებოდა, თავით ფეხამდე იარაღში იყო ჩამჯდარი, ტანზე ჯაჭვი ეცვა, მუხლებზე ოქროთი დაზარნიშული საჩერნეები, საგანგებოდ მოვარაყული სამკლავები, თავზე მუზარადი ედგა, წელზე დიდრონი ხმალი ერტყა, ფარი მხარ-ილლივ ჰქონდა გადაგ-დებული და ხელში ლახტი ეჭირა” (ვაჟა ფშაველა VI, 1964: 153).

გმირი იმიტომ წამოდგა, რომ ანდერძი დაუგდოს და საბრძოლო იარაღი და-უტოვოს ახლებს: “აილე, წაილე და მოიხმარე იმის წინააღმდეგ, ვინც საქართველოს ებრძვის და სჩაგრავსო”.

ამ ამბის მთხრობელის “უძლური ტანი” არ იყო მზად ამისთანა გამოწვევისათვის, მაგრამ, ის კი შეეძლო, რომ სიტყვით გაეძლიერებინა ქართველთათვის ასე ფასეული მარადიული ანდერძის სიცოცხლისუნარიანობა.

გმირ ბათურს (“ბათურის ხმალი” (ვაჟა ფშაველა VII, 1964: 114) “გააფთრებულ ბრძოლაში, ხმლის ქნევის დროს, ისარი დაჰკრეს ილლიის ძირში, რადგან იმას არ უფარავდა ჯაჭვი”. მწერალი ვახტანგ გორგასალთან პარალელურად ამდლებს ბათურის მნიშვნელობას, თუმცა მისი ინტერესის საგანი მაინც ბათურის სასწაულებრივი ხმალი – ბრძოლის მარადიული სიმბოლოა. მოკლულს ხმალი ზედ დაასვენეს. ამბობდნენ:

## 2

“ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშიანი სწუხს, მიცვალებულის მკერდიდან აქეთ-იქით გადად-გადმოდისო”... თითქოს კვნესის, სულს იქცევსო”.

მწერალი გვაუწყებს, რომ ბათურის ხმალს მრავალ ომში უსახელებია თავი: “რამდენჯერ უნახავთ, რომ მის პატრონს თავის ძლიერის მკლავით შემოექნიოს მტრისათვის და ცხენი თავის მხედრიანად გაეწყვიტნოს, შუა გაეპოს და თანაც ხმლის წვერი მიწიდან ამოეწვადოს. რამდენჯერ ჰქონიათ შემთხვევა, გზაკვალდაბნეულს მტერს დაჰრეოდნენ და, როგორც ანწლი, ისე ეკაფოსთ. ყველას ხმალს ადამიანის სისხლის და ქონისაგან, როგორც ადამიანს თვალეზზე, ლიბრი გადაჰკვრია. ხმლები ჯობებდა ქვეულა, მხოლოდ ერთი ბათურის ხმალი დარჩენილა ფხაზე სისხლმიუკარებელი”. ვაჟა ყოველ ამბავს ახალი თაობის გასაგონად უსვამს ხაზს.

მწერალი საფლავეში ხმლის ჩატანების მთაში გავრცელებული ტრადიციის წინა-აღმდეგ გამოდის, როცა გვიჩვენებს, რომ ბათურის სიკვდილმა ვერ მოკლა მარადიული მუხტი. ხმალი ისევ ამოდის ქარქაშიდან, ჰაერში ნავარდობს, შემდეგ ისევ ეგება ქარ-ქაშში. უფრო მეტიც, კიდობანში დასვენებული ხმალი ბორგავს. “ღამდამობით იქიდან ისმოდა აბჯრის ჩხერა-ჟღარუნი, დაჭრილთა კვნესა, ხმა ლოცვა-მუდარებისა, ცოდვათა მიტევებისა...”

ვაჟა თავის დახატულ გარემოში იმედს ახარებს, როცა სასურველის შესაძლე-ბლად წარმოდგენას ცდილობს: უნახავთ, ბათურს “შუალამის დროს ათასწლოვან მუხა -იფნების ქვეშ შემოეკრიბოს თავის ლაშქარი, ჰქონდეს თათბირი გალაშქრებაზე, ხელში ეპყრას თავისი ხმალი და მაზე რაღაცას ფიცულობდეს. – ხოლო იფნების, მუხის, არყის ტოტები, კენწეროები ციდან ჩამოსული კელაპტრებით ყოფილიყოს განათებული”.

ეს შესანიშნავი მაჟორული ფინალი, ვაჟას დროში, სამწუხაროდ, მხატვრული შემოქმედების სფეროში რჩება. რეალობა მწერლისთვის ისევ გაუსაძლისია, იგი ვერ ეგუება იდეალთა გაქრობას, მიყურებულ-მოდუნებულ სინამდვილეს. ამ ვითარებაში ვაჟასთვის ისევ საოცნებოდ რჩება მარადიული მუხტის უკვდავება და მისი სიმბოლო – ხმალი.

ნაწილიანი ხმლის მითოლოგემა გიორგი ლეონიძემაც გააცოცხლა “ნატვრის ხეში” (ნოველა “სახელის მილოცვა”). პოეტის ხმალთან მიმართება დიდი წინაპრის დამოკიდებულების იდენტურია.

## ნინო ქავთარაძე

### სიურეალიზმი თეატრის სცენაზე – ვიქტორი, ანუ ძალაუფლების მქონე ბავშვები

ფრანგი დრამატურგის, როჟე ვითრაკის *პიესა – ვიქტორი, ანუ ძალაუფლების მქონე ბავშვები* – ანტონენ არტოს თაოსნობით, ალფრედ ჟარის თეატრში 1928 წელს დაიდგა. მაყურებელმა იგი მას შემდეგ იხილა, რაც ავტორმა სიურეალისტების გაერთიანებასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. მიუხედავად ამისა, ფრანგი დრამატურგის ეს ტრაგიკული ფარსი სიურეალისტური დრამის უბადლო ნიმუშადაა აღიარებული.

ექსპრესიონიზმის კალდაკვალ, სიურეალიზმი ირაციონალურს, შემოქმედებას კონტროლის გარეშე, ქვეცნობიერს განადიდებს; ფრანგი ფილოსოფოს-ინტუიტივისტი, ანრი ბერგსონის მოძღვრებას და ფროიდ-იუნგის ფსიქოანალიზს ეყრდნობა. ერის ავტომატური მანერით შექმნილი ყველა სიურეალისტური ნაწარმოები ინტერპრეტაციაზეა გათვლილი, ამიტომ ფრანგი დრამატურგისა და პოეტის პიესის აღქმა ფსიქოლოგიურ და ემოციურ მომზადებას საჭიროებს. როჟე ვითრაკის პიესაში ყველაფერი აწონილ-დაწონილია. ნაწარმოების ფიქციონალური ამყაროს და ონტოლოგიური რეალობის კავშირი მეტატექსტუალური ჩანართებით ფიქსირდება (ამონარიდები საგაზეთო პუბლიკაციებიდან), ამიტომ ქართველი მაყურებლისთვის და მკითხველისთვის პიესა მხოლოდ ამბის დონეზე აღიქმება. ვითრაკის ნაწარმოების ფაბულა შექსპირის ცნობილ პიესასთან – *ჰამლეტი* – ავლენს მსგავსებას. „დანის სამეფოში“ ყველაფერი აირია. ცხრა წლის ბიჭუნა, რომლის დაბადების დღეს აღნიშნავენ, ბურჭუაზიული კონფომიზმის და შემგუებლობის წინააღმდეგ ილაშქრებს და ასაკთან შეუფერებელ სითამამეს იჩენს. პროტაგონისტის სიკვდილი ამ უსულგულო სამყაროსთან ჭიდილის, უსამართლობის დაძლევის ერთდაერთი გამოსავალი და ლოგიკური დასასრულია.

რ. ვითრაკის ფრასის დიდასკალიები ნაკლებად მეტყველია: მაყურებელი, ერთი შეხედვით, მშვიდი, საოჯახო სიუჟეტზე შექმნილი პიესის გათამაშებას ელოდება.; სამაგიეროდ, პერსონაჟების სახელების ეტიმოლოგია ყველას თავის ადგილს მიუგებს: ვიქტორი, რაც ეტიმოლოგიურად „გამარჯვებას“ უკავშირდება, რვა საათით ძალაუფლებაში მოსული ბიჭია; ლილი – ქალი დემონი – მსახურია, რომელთან მამის კავშირს ესოდენ მტკივნეულად განიცდის იუბილარი; ტერეზიკ – მტაცებელი ცხოველი – მგლის ტყავში გახვეული ცხვარი უფროა, ვიდრე ოჯახის მეგობარი; დრამის ყველა მონაწილე ცალ-ცალკეა უბედური, რადგან მარიონეტები არიან მხოლოდ.

## მაია ქვრივიშვილი

### წარსული, როგორც თვითიდენტიფიკაციის წყარო

ნებისმიერი ერი საკუთარი ისტორიის კუთვნილებაა. ისტორიისა, რომელსაც თვითონვე ქმნის. იგია შემოქმედი, უშუალო მონაწილე პროცესებისა, რომლებიც შემდგომში ხდება მომავალი თაობებისათვის ეროვნული იდენტობის შექმნის წყარო. ყველა ხალხი საკუთარი ისტორიიდან იმ მოვლენებს ირჩევს, რომელიც მისთვისაა სასურველი და მისაღები საკუთარი მეობის განსაზღვრისათვის, მომავალში ახალი ტრადიციების შექმნისა და დამკვიდრებისათვის. მსოფლიო ისტორია, არაერთი ასეთი ფაქტის შემსწრეა. ზოგადად მეხსიერება, რომელიც ისტორიულ აზროვნებასთანაა დაკავშირებული, შერჩევითია და დამოკიდებულია ამათუ იმ მმართველი ჯგუფის, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური, ნებაზე.

XX და XXI საუკუნეები “ახალი სახელმწიფოების” ხანაა. ტრანზიციის პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია საკუთარი იდენტობის ძიების გააქტიურება, რომლის ფსიქოლოგიურ საფუძვლად გვევლინება მისწრაფება სტაბილურობისაკენ არასტაბილურ სამყაროში. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ყოფილი საბჭოთა ერების (ხალხების) იდენტობის კრიზისი. პოსტ-საბჭოთა საქართველოს საზოგადოების წინაშე დადგა ახალი იდენტობის სტრუქტურების შექმნის საჭიროება. სოციალურ-კულტურული კრიზისების, ნაციონალური მოძრაობების აღმავლობის დროს აქტუალიზდება ისტორიული გამოცდილება და ცოდნა, “კოლექტიური მეხსიერების” სახელით, მის კონსტრუირებაში და დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პოლიტიკურ ელიტას. ქართულ პოლიტიკელთას საზოგადოების გარკვეული დაკვეთა აქვს წარსულის მომავლისათვის რეკონსტრუქციისათვის. იგი საქართველოს ისტორიის იმ ფაქტებსა და პიროვნებებზე აკეთებს აქცენტს, რომლებიც გლობალიზაციის პროცესში ჩართულ, გარდამავალ ეტაპზე მყოფ საქართველოს მომავალში საკუთარი გზით განვითარების, სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო აზროვნების გაძლიერების საშუალებას მისცემს.

ისტორია ხშირად ხდება „მსხვერპლი“ პოლიტიკური კონიუქტურის, მანიპულაციების და ფალსიფიკაციის. ცნობილია, რომ ისტორიის ფალსიფიკაცია – ესაა ცრუ აღწერა ისტორიული მოვლენებისა, რომელიმე იდეის გასამყარებლად. ისტორიის გაყალბების მიზანი და მოტივები შეიძლება სხვადასხვა იყოს, მათ შორის: გაამყაროს და განამტკიცოს ამა თუ იმ ერის/ხალხის ისტორიული უფლება რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე, დაასაბუთოს მმართველი დინასტიის ლეგიტიმურობა, დააფუძნოს სახელმწიფოს სამართლებრივი უფლება სასურველ ტერიტორიაზე და არსებული ხელისუფლების სამართალუპირატესობა ამა თუ იმ ისტორიული წინამორბედის მიმართ ან, ფაქტებით „გამამდიდროს“ და „დაამველოს“, „გააკეთილშობილოს“ ეთნოგენეზის პროცესის და ა.შ. ისტორიას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლექტიური იდენტობების შექმნისა და შენარჩუნების პროცესში. ყველა ხალხი და საზოგადოება – იქნებოდა ეს დასავლური თუ აღმოსავლური – თვითიდენტიფიცირების დროს წარსულს მიმართავდა და მიმართავს

დღესაც. თანამედროვე საქართველოში მიმდინარე – პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, და ზოგადად ტვითიდენტიფიკაციის - პროცესები კარგად ასახავს წარსულისადმი დამოკიდებულებას.

## თამარ ქაცანაშვილი

### “ინტერაქციული სიმულაციების” ჩარჩოები ფრანგული ენის შესასწავლი ზოგიერთი მულტიმედიური პროგრამის მაგალითზე

ტექნოლოგიების გამოყენება უცხო ენის შესასწავლად ათწლეულებს ითვლის, მაგრამ 1990 წლიდან, ანუ ნამდვილი მულტიმედიის დაბადებიდან, იწყება მსჯელობა მის მთავარ ღირსებაზე – ინტერაქციულობაზე. შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ ნამდვილ ინტერაქციაზე ენის შესასწავლ პროგრამებში? მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, ზოგიერთი ტერმინის განმარტების შემდეგ, გავანალიზოთ ფრანგული ენის შესასწავლ პროგრამებში (**Je vous ai compris 2; A la recherche d'un emploi; Versailles, Complot à la cour du roi Soleil ; Qui est donc Oscar Lake**) შემოთავაზებული სიმულაციები.

აღნიშნულ პროგრამებში ორი ტიპის სიმულაციას ვხვდებით:

პირველი ტიპი, ანუ ე.წ. “ღია” სიმულაციები, ითვალისწინებს კომპიუტერის ერთ რეპლიკაზე მოწაფის ერთ პასუხს, როდესაც ამ უკანასკნელს ეძლევა როლი და ზეპირად პასუხობს ეკრანზე გამოჩენილი ვირტუალური პერსონაჟის შეკითხვებს. მოცემული ტიპის სიმულაცია მოწაფეს ავალდებულებს კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციისთვის ადაპტირებული ფრაზები ააგოს. დიალოგის სქემა სწორხაზოვანია და მოწაფე უძღვრება შეცვალოს იგი.

სიმულაციათა მეორე ტიპს შერჩევითი, ანუ “დახურული” სიმულაციები წარმოადგენს. ამგვარი სიმულაციები მოწაფეს სთავაზობს არჩევანს რამოდენიმე (ძირითად სამ) რეპლიკას შორის. მოცემული სიმულაციების ორი ქვე-ტიპი გამოიყოფა:

ა) ისეთი სიმულაციები, რომლებიც მოცემული სიტუაციისთვის მაქსიმალურად ადაპტირებული პასუხის მოძიებას გულისხმობს;

ბ) სიმულაციები, რომელთა მიზანია ინფორმაციის მაქსიმუმის მოძიება.

განხილულ აქტივობებს ვერ დავარქმევთ ნამდვილ ინტერაქციას, რადგან სიმულაციათა აგება მთლიანად მოწაფის მიერ სხვადასხვა შეზღუდვების გათვალისწინებით ხერხდება. ლანსიენის (1998:59) თქმით, “არ შეიძლება ვისაუბროთ ენობრივ ინტერაქციაზე, როდესაც ენის შემსწავლელი იმყოფება პროგრამაში”. ჭეშმარიტი ინტერაქცია მხოლოდ რეალურ სამყაროს უკავშირდება. განხილული აქტივობები უფრო რეპროდუქციულია, ვიდრე ინტერაქციული.

მიუხედავად ამისა, ინტერესი ამგვარი აქტივობების მიმართ მზარდია, რადგან ისინი დადებითად მოქმედებს მოწაფეთა მოტივაციაზე, ეფექტურია ზეპირმეტყველებისა და

მართლწერის დასამუშავებლად, ანვითარებს მეტალინგვისტურ შემეცნებას, მოწაფის დისკურსიულ მგრძნობელობას. ამასთან, ვირტუალურ ინტერაქციაზე მსჯელობისას, ისევ ძალაში რჩება ძველი, მაგრამ კვლავ აქტუალური შეკითხვა : შეძლებენ კი მკვლევარები პროგრამული ენის დახვეწას ისე, რომ მან შეძლოს დიალოგური ინტერვენციისას მოწაფის იმპროვიზაციის გათვალისწინება?

## **ნინო ქიმერიძე** **ტექსტი-ფიგურების ლინგვისტური თავისებურებისათვის**

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში საუკუნეების მანძილზე იმკვიდრებდა ტექსტი-ფიგურები ადგილს. ისინი არასტანდარტული ტექსტების ჯგუფს მიეკუთვნება. მათი არასტანდარტულობა განპირობებულია ტექსტის არქიტექტონიკის ატიპური ხასიათით, რაც გამოწვეულია ტექსტის ასიმეტრიით, შესაბამისად, მისი ტოპოლოგიური ჩარჩოს არაერთგვაროვანი ფორმირებით. ხშირად არასტანდარტულ ტექსტებს სხვადასხვა საგნების, ფიგურების ფორმა აქვთ. თუ გავიხსენებთ, რომ დამწერლობა დაიწყო ნახატებით, რაშიც იმთავითვე ჩადებული იყო თხრობის ელემენტები, მაშინ დასაშვებია, რომ არასტანდარტული ტექსტის განვითარების პირველ საფეხურად ჩაითვალოს ტექსტი-ფიგურები. განვითარების შემდგომ ეტაპზე, განსაკუთრებით კი უახლეს გერმანულენოვან ლიტერატურაში არაერთი ავტორი ცდილობს ერთიანად „მოარღვიოს“ ტოპოლოგიური ჩარჩოს საზღვრები, უარი თქვას ენის ტრადიციულ ნორმებზე და შექმნას ტექსტები, რომელთა გაგებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ნიშნები. შესაბამისად, შეიძლება ვიმსჯელოთ ერთგვარ ტექსტურ კონსტელაციებზე, სადაც ტექსტის აგების მიზნით კოლაჟის პრინციპი და არაერთი სემიოტიკური სისტემაა გამოყენებული.

ტექსტი-ფიგურა ორმაგადაა დატვირთული ინფორმაციით ინტერპრეტატორისათვის: ერთი მხრივ, ადრესატი ეცნობა ფიგურის ფორმის ტექსტის არსს, ხოლო მეორე მხრივ, საკუთრივ ფიგურა ავსებს ტექსტის ვერბალური ნაწილის ინფორმაციას, ხშირად ის ავტორის ინტენციასაც ინახავს და ეხმარება ინტერპრეტატორს ტექსტის გაგებაში. მსგავსი ტექსტები პირის ნიშნის თეორიაში მოცემული ორი კლასის - სიმბოლოსა და ხატის - ერთგვარი სიმბიოზია.

მიუხედავად ატიპურობისა ტექსტ-ფიგურაში საზრისის გამოხატვა ძირითადად ვერბალურად ხდება. ტექსტის ვიზუალური ნაწილი იტოვებს სიგნალის ფუნქციას, ხშირად ცვლის სათაურს (ტექსტი-ფიგურები უსათაუროა.) და იძენს ტექსტის საზრისისათვის მნიშვნელოვან სიმბოლურ დატვირთვას. ამრიგად, ტექსტის-ფიგურა ტექსტის კომპოზიციური ნორმების რღვევის პირველი მცდელობაა, რომლის დროსაც ტექსტის ლინგვისტიკაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ტექსტის მახასიათებლებიდან

არ ფიქსირდება შემდეგი: მართებულად ფორმირებული (wohlgeformt/ქმნის გრამატიკული სტრუქტურა) და მართებულად აგებული (wohlkomponiert/ქმნის თემატური სტრუქტურა). შედეგად, ირღვევა ტექსტის აგების სინტაგმატური პრინციპი. ტექსტის ვერბალური ნაწილი დაცლილია პუნქტუაციის ნიშნებისაგან (არ გვხვდება სინგრაფემები.) და თუ იშვიათად მაინც დაფიქსირდა ტექსტში რომელიმე მათგანი, მას შესაძლოა სხვა დამატებითი, საზრისის მატარებელი მნიშვნელობა ჰქონდეს მინიჭებული. ინტენსიურად გვხვდება ელიფსური წინადადებები, რომელთა აგებაშიც ძირითადად სახელთა ჯგუფები იღებენ მონაწილეობას და მკითხველი ინტერპრეტაციის პროცესში ახდენს ზმნა-შემასმენლის ჯგუფის აღდგენას. ტექსტ-ფიგურაში ტექსტური ნაწილის შემცირება განაპირობებს აგრეთვე იმას, რომ არავერბალური ნაწილი - ფიგურა სრულყოფს იმ ემოციურ სპექტრს, რაც სხვა დანარჩენ შემთხვევაში ენობრივი ქმედების მეშვეობით მიიღწევა სტანდარტულ ტექსტში.

## რამაზ ქურდაძე

### ზოგიერთი ქართული სიტყვის შესახებ რუსულ ჟარგონში

რუსული ჟარგონი ლექსიკური შედგენილობის თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანია. უშუალოდ რუსული სიტყვების გარდა მასში მრავალი სხვა ენის ლექსიკა გამოიყენება. ამ მხრივ საინტერესოა ზოგიერთი ქართული სიტყვა, რომელთაც რუსულ ჟარგონში ვხვდებით; ასეთია კერძოდ:

1. БАТОН – ამ სიტყვით აღნიშნავენ მამას, უფროსს, საპატიო ადამიანს, წინამძღოლს; ХАЧАПУРИК ნიშნავს კაკვასიელს; ХАНУМА ნიშნავს მორჩენას, მოთავებას, ჩავარდნას, საკამრისს.

2. გვხვდება ქართული გვარების -ძე დაბოლოების მქონე სიტყვები: ЦЕЛКОЛОМИДЗЕ – ეს სიტყვა ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. ქართველი, 2. მექალთანე; ШИМПАНИДЗЕ – ირონიით ნიშნავს ქართველს; ТУПИДЗЕ ნიშნავს სულელს.

3. შორისდებულები, როგორცაა: ВА, ВАЙ, ВАЙМЕ, ВАХ – ესენი როგორც უარყოფით, ისე დადებით ემოციებს გამოხატავენ. ასეთივე მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე ჩვეულებრივი ანთროპონიმი ВАХТАНГ.

4. ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართველ სკულპტორ ზურაბ წერეთელთან დაკავშირებული გამოთქმები: ПЁТР ЦЕРЕТЕЛЕВИЧ – ასე უწოდებენ პეტრე პირველის ძეგლს

მოსკოვში, რომლის ავტორი ზ. წერეთელია; ЦЕРТЕЛИЗАЦИЯ – ამით იმას აღნიშნავენ, რომ ზურაბ წერეთლის ძეგლები უხვადაა მოსკოვში და სხვ.

ჩვეულებრივ ჟარგონი დამამცირებელ, ათავლისწუნების მომენტს შეიცავს. ქართულ ლექსიკასაც მეტწილად დამცინავი, ირონიული მნიშვნელობით ვხვდებით რუსულ ჟარგონში. ქართველების და კავკასიელების მიმართ ასეთივე დამოკიდებულება მჟღავნდება რუსული და სხვა უცხო ენათა სიტყვებით შექმნილ ჟარგონულ გამოთქმებშიც, მაგ.: ДЖОРДЖИЯ-БЕНЦ, ДЖОРДЖИИ-БЕНЦ – ასე აღნიშნავენ რომელიმე კავკასიურ, მეტწილად ქართულ ფირმას მოსკოვში; ხოლო საქართველოს ირონიულად იხსენიებენ აბრევიატურით ФРГ (Федеративная Республика Грузия) მსგავსად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა.

## ლალი ქეცბა-ხუნდაძე

### კონტექსტუალიზაციის გერმანული თეორია დისკურსის ლინგვისტიკაში ფუკოს შემდეგ

დისკურსი მრავალფეროვანი და ჰეტეროგენული ცნებაა, რომლის გამოყენებაც სხვადასხვა დისციპლინებში განსხვავებულად ხდება. მისი მნიშვნელობა ვლინდება ინსტიტუციებს, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროცესებს, ქცევის ფორმებს, ნორმების სისტემებს, კლასიფიკაციის ტიპებსა და სხვა მახასიათებლებს შორის მიმართებებში. ამგვარი მიმართებების რეალიზაცია, ფუკოს მიხედვით, დისკურსის „ზღვარზე ხდება“, რომელიც ენობრივ ბირთვის სცდება და „დისკურსულ პრაქტიკებში“ ხორციელდება. ზეპირ ფორმაში განხორციელებული დისკურსების უმეტესობა „წარმავლობას მიჰყვება“, მაგრამ არსებობს დისკურსები, რომლებიც ცალკეულ, უპირატესად წერილობით, ტექსტში განხორციელებული კომუნიკაციის აქტის ფარგლებს სცდებიან, სხვა სამეტყველო აქტებისა და ტექსტების ინიციციას წარმოადგენენ, მათ სათავეში დგანან, დისკურსულ პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ კი, ძირითადად დაწერილი ტექსტების სახით, კულტურულ მეხსიერებაში ინახებიან და მომავალშიც სხვადასხვა სახით მეორდებიან.

გერმანელი ლინგვისტები შეეცადნენ ფუკოს კონცეპტუალური სისტემის გავრცობას, ისეთი მეთოდის შექმნას, რომელიც გამოდგება დისკურსის ანალიზის ყველა დონისთვის: სამეცნიერო, მედიების, პოლიტიკის, ყოველდღიურობისა და, აგრეთვე, ფიქციონალური დისკურსებისთვის.

ფუკოს, რომელიც უპირატესად სამეცნიერო დისკურსის კვლევით იყო დაკავებული, ფაქტიურად კვლევის ექსპლიციტური მეთოდი არ შემოუთავაზებია. გერმანელი ლინგვისტები ეყრდნობიან დისკურსის ფუკოსეულ პოსტსტრუქტურალისტურ გაგებას, რომელიც ეწინააღმდეგება დისკურსის ცალკეულ იზოლირებულ ტექსტზე ორიენტირებას. ისინი დისკურსს განიხილავენ როგორც სტრუქტურული ერთეულს, რომელიც ცალკეული



გამონათქვამების ჩარჩოს სცილდება და, ასე ვთქვათ, გამონათქვამების/ ტექსტების მომცველ ერთიანობად გვევლინება. ამავე დროს დისკურსი რეფერენციული შინაარსის ცვლით არის განპირობებული.

დისკურსის ლინგვისტური ანალიზი როგორც „კულტურის ემპირიული მეცნიერებისა“ სხვა სოციოლოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ეპისტემოლოგიური მიდგომებისგან განსხვავდება – რადგან მისი ენობრივი მასალა და სტრუქტურა სხვადასხვა ფუნქციების სპექტრით არის განპირობებული. ისევე როგორც „ტექსტის მცოდნეობა“ (Textwissenschaft) sui generis დისკურსიც მიხედვით ინტერპრეტაციის ობიექტია, რომელიც დიტრიხ ბუსეს ერთსა და იმავე დროს ეპისტემური კონტექსტუალიზაციის პროცესსა და კონსტრუქტს წარმოადგენს.

კონტექსტუალიზაცია როგორც დისკურსული მიმართებების საფუძველი არ წარმოადგენს კვლევის სპეციფიკურ მეთოდს (ტრადიციული გაგებით), არამედ ლინგვისტურ-სემანტიკური მეთოდების კომბინაციასა და სტრატეგიას, რომელიც კვლევის (აქამდე მიღებული ონთოლოგიური მიდგომისგან განსხვავებულ) ეპისტემოლოგიურ პერსპექტივას ხსნის.

დისკურსულ კონტექსტუალიზაციად მიიჩნევა ენობრივი ნიშნებისა და მათი ფუნქციების განლაგება კონტექსტში მსგავსი ან ალტერნატიური ნიშნებით, რადგან სწორედ ენა იძლევა რეპრეზენტაციის (სამყაროს წარმოსახვისა და გაგების) უმნიშვნელოვანესი საშუალებების სახეობებს. კონტექსტუალიზაციის პროცესების ინტერსუბიექტური ასპექტები და მეთოდები წინა პლანზე დგება, რადგან მიზანს დისკურსის ზეინდივიდუალური, გაგებისთვის რელევანტური განზოგადებული ცოდნისა და მისი სტრუქტურების დადგენა წარმოადგენს.

## მაგდა ლულუნიშვილი

### ციტირების ფუნქციები და ფორმები გერმანულ საუნივერსიტეტო სამეცნიერო სტუდენტურ ტექსტებში

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს და დაადგინოს, რა ფუნქციას ასრულებს ციტატა გერმანულ სამეცნიერო საუნივერსიტეტო სტუდენტურ ტექსტებში, ციტირების რა ფორმები არსებობს და როგორ ხდება სამეცნიერო წყაროს მითითება.

სამეცნიერო მუშაობის ტექნიკის გერმანულენოვან სახელმძღვანელოებსა და გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში შექმნილ კონკრეტულ სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით, ვეცდები ვაჩვენო, თუ რა პრინციპებით ხელმძღვანელობენ გერმანელი სტუდენტები მეცნიერული მუშაობის პროცესში და ზოგადად ციტირების რა ტექნიკა გამოიყენება გერმანულ საუნივერსიტეტო სივრცეში, რათა ამით გარკვეული დახმარება

გავუწიოთ ქართველ სტუდენტებს სამეცნიერო მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ციტირებასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვაში.

სამეცნიერო მუშაობის დროს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისა და ნაშრომში დასახული პრობლემის გადაჭრის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის - სამეცნიერო ნაშრომების, კვლევების, მონოგრაფიებისა და სტატიების გაცნობა-დამუშავება. ეს ეხმარება სტუდენტს როგორც სამეცნიერო ნაშრომის (რეფერატი, ესე, თხზულება- ე.წ. საშინაო დავალება, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები) ავტორს დაადგინოს, თუ რა ეტაპზე არის მისთვის საინტერესო საკითხის კვლევა და ამდენად, ჩამოაყალიბოს საკუთარი კვლევის მიზნები და ამოცანები. ამ პროცესში არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით აუცილებელი ხდება სხვათა ნააზრევის გამოყენება – ციტირება ან ამ ნააზრევის თემატიზება - პერიფრაზირება.

საკუთარი აზრის არგუმენტირებული დასაბუთებისა და ამა თუ იმ მოსაზრებისადმი კრიტიკული მიდგომის გამოსახატავად ციტირება გულისხმობს სხვათა ნააზრევის ინტეგრაციას საკუთარ ნაშრომში.

ამ პროცესის შედეგად იქმნება ერთმანეთთან თემატურად დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ინტერტექსტუალური ჯაჭვი. საუნივერსიტეტო სივრცეში შექმნილი ყოველი სამეცნიერო ნაშრომი (რეფერატი, საშინაო დავალება (მცირე ზომის საუნივერსიტეტო სამეცნიერო ნაშრომი) და ა.შ.) ხდება სამეცნიერო დისკურსის შემადგენელი ნაწილი და იგი ერთვება მუდმივად მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიაში. ამ ჩართულობას კი განაპირობებს ნაშრომის პრობლემასთან, მის თემატიკასთან დაკავშირებული ინტერტექსტუალური მიმართებები სამეცნიერო ტექსტებს შორის, რომლის გამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშს სწორედ ციტირება წარმოადგენს სამეცნიერო ტექსტის ნებისმიერ სახეობაში.

სწორი და სრულყოფილი ციტირება და ამასთანავე სხვა ავტორის მოსაზრებაზე დაყრდნობით საკუთარი აზრის სწორად ჩამოყალიბება სამეცნიერო საუნივერსიტეტო ნაშრომის შეფასების ერთ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

## გია ყუფარაძე

### შექმნილი წარმოთქმა (RP) და მისი მოდიფიცირებული ვარიანტი “წყალშესაყარის ინგლისური” (EE)

შექმნილი წარმოთქმა, ანუ **RP (Received Pronunciation)** ის აქცენტია, რომლითაც ენის მატარებელთა ზედა და საშუალო ფენები ლაპარაკობენ. ინგლისში მას ზოგჯერ “ბი-ბი-სი-ს ინგლისურად” (BBC English) ნათლავენ. მისი სხვა სახელებია “საერო სკოლის ინგლისური” (public school English), “ოქსფორდის ინგლისური” (Oxford English) და

“მეფის/დედოფლის ინგლისური”(King’s/Queen’s English). ამ აქცენტით გვიანი შუასაუკუნეების სამეფო ოჯახისა და არისტოკრატის წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ. იგი ასოცირდებოდა ლონდონსა და სამხრეთ-აღმოსავლეთთან და, სხვა რეგიონებისა თუ სოციალური ფენების დამახასიათებელ აქცენტებთან შედარებით, პრესტიჟულ აქცენტად ითვლებოდა. სადღეისოდ სუფთა RP-ზე მოსახლეობის მხოლოდ 3% ლაპარაკობს. მკვლევარები RP-ს სამ ფორმას გამოყოფენ. ესენია: **კონსერვატორული**, რომელზეც უფროსი ასაკის, გამორჩეული სოციალური მდგომარეობის მქონე პირები საუბრობენ, **ზოგადი**, რომლის გამოყენებაც ინდივიდის ცხოვრების სტილსა და საქმიანობის სფეროს უკავშირდება და **თანამედროვე**, რომელზეც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები მეტყველებენ. თანამედროვე RP ის აქცენტია, რომლითაც არაენისმატარებლებს ინგლისური ენის ბრიტანულ ვარიანტს შეასწავლიან. გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ბრიტანელები კომუნიკაციისათვის RP-ს იმ მოდიფიცირებულ ვარიანტს იყენებენ, რომელიც უფრო ადვილად აღსაქმელი და გასაგებია მათთვის, ვისთვისაც ინგლისური ენა არ წარმოადგენს მშობლიურს, რათა ამ უკანასკნელთა მეტყველება არაენისმატარებელთათვის უფრო მისაღებად ჟღერდეს. იგი არის “კუთხურობისაგან თავისუფალი” აქცენტი, ვინაიდან სრულებით არ მიუთითებს პიროვნების კუთხურ წარმოშობაზე დაზუსტად ასახავს მისი მომხმარებლის საზოგადოებრივ სტატუსსა თუ ფენობრივ კუთვნილებას.

ე.წ. **“წყალშესაყარის ინგლისურმა” – EE (Estuary English) –** მე-20 საუკუნის 80-იან წლებში იჩინა თავი. ეს ტერმინი პირველმა, **დეივიდ როუზუორნმა**, გამოიყენა, რომელმაც ეს აქცენტი აღწერა, როგორც რეგიონალური მეტყველების ერთ-ერთი მოდიფიცირებული ვარიანტი.

EE-ს გავრცელების თავდაპირველი არეალი **მდინარე ტემზის, ესექსისა და ჩრდილოეთ კენტის** სანაპიროები იყო. დღეს იგი ძალზე აქტუალურია ლონდონში, მის გარეუბნებსა და ისეთ ადგილებშიც კი, როგორცაა **ნორიჯი** და **კემბრიჯი**. EE-ზე ინგლისურენოვანი მოსახლეობის ნებისმიერი ფენა საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი კონსერვატორული სულისკვეთებით გამსჭვალული ინგლისელი გმობს, იგი აშკარად იმკვიდრებს სტანდარტული აქცენტის სტატუსს, რადგან RP-საგან განსხვავებით, EE ყველა ფენისათვის მისაღები და მიმზიდველი აღმოჩნდა. EE-ს აღმოცენებასა და გავრცელებას ხელი ომისშემდგომი პერიოდის ლონდონში დაგეგმილმა “განაშენიანების პროგრამამ” შეუწყო, რომლის გამოც ყოფილ **ისტ-ენდელთა** დიდი ნაწილი (“კოკნიზე” მოლაპარაკე მოსახლეობა) **გრინფილდში**, ლონდონს გარეთ გადასახლდა და იქაურ მაცხოვრებლებს შეერია. აქვე მოიყარეს თავი RP-ზე მოსაუბრეებმაც. შედეგად, **RP** და **cockney** ერთმანეთში გადაზავდა და **“საერთო ენა” EE-ს სახით** ჩამოყალიბდა. EE სხვადასხვა ხარისხით შეიცავს როგორც RP-ს, ისე კოკნის ელემენტებს. მაგალითად, ბგერების დონეზე RP-ში [t] მუდამ მკვეთრად წარმოითქმის, კოკნიში კი იგი სპეციფიკური პაუზით, ე.წ. “გლოტალური შეყოვნებით”(glotal stop) აღინიშნება.

ასეა თუ ისე, ეს ორი ვარიანტი ერთიმეორის მიმართ ურთიერთობას კვლავაც ინარჩუნებს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში “წყალშესაყარის

ინგლისურის” მოქმედების არეალი სულ უფრო გაიზარდა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სულ უფრო მეტი და მეტი სფეროები მოიცვა.

## ლია ყავლაშვილი

### ვალონური დიალექტი რომანულ ბელგიაში

ბელგიურ ფრანგულ მეტყველებას ახასიათებს შერეულ ფორმათა სიმრავლე, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ორი ლინგვისტური ჯგუფის ურთიერთობით, რომლებიც ვრცელდება ქვეყნის თითქმის მთელს ტერიტორიაზე.

ვალონიაში ბელგიურ ფრანგულს ემატება დიალექტური მემკვიდრეობის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ვალონური დიალექტის კილოთა ოჯახებთან, რომლებიც წარმოდგენილია : პიკარდიულით, დასავლეთვალონურიით, ცენტრალური ვალონურიით ანუ ნამურულით, აღმოსავლეთ-ვალონურიით ე.წ. ლიეჟის ვალონურიით და ლოტარინგულით.

ვალონური დიალექტი გავრცელებულია ბელგიის სამხრეთ ნაწილში: ლიეჟის, ნამურის, ლუქსემბურგის პროვინციებში და ასევე არდენის ფრანგული დეპარტამენტის ჩრდილოეთით.

ჩრდილოეთ გალიაში ვალონური დიალექტების გავრცელების სფერო ისტორიულად მარგინალური არეალის ხასიათს ატარებს ფრანგულ ენასთან მიმართებაში, რადგანაც მდებარეობდა ამ უკანასკნელის სახელმწიფო საზღვრებს მიღმა.

ცენტრალურფრანგული ზონისგან ვალონური დიალექტის დამოუკიდებლად ხანგრძლივი განვითარების შედეგად ხდება მისი ფორმირება რამდენიმე ადგილობრივი კილოს ერთიანობად, რომლებსაც გააჩნდათ ნიშანთა სპეციფიური ერთობლიობა.

საერთო ჯამში, ლიეჟურის სახელით ცნობილი ვალონური დიალექტი ყველაზე საინტერესოა, რადგანაც იგი ყველა დანარჩენზე უკეთ ასახავს ვალონურის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ვალონურ დიალექტსა და ფრანგულ ენას შორის თავიდანვე აღინიშნებოდა საზოგადოებრივი ფუნქციების გაყოფა; პირველი დამკვიდრდა, როგორც ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება, ხოლო მეორე — როგორც ოფიციალურ-საქმიანი ენა. ფრანგული ენის გავლენა ხასიათდებოდა მუდმივი მატებით. ბელგიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, იგი ხდება ქვეყნის სახელმწიფო ენა. თუმცა XIX საუკუნის II ნახევრამდე ვალონური დიალექტი ბატონობდა ყოველდღიური ურთიერთობის სფეროში და ამ ფუნქციით საზოგადოების ყველა კლასის მიერ გამოიყენებოდა. ამგვარად, ვალონური დიალექტი ფუნქციონირებს ბელგიური ლინგვისტური სიტუაციის პირობებში, არა მარტო როგორც არსებული ფრანგული ენის დიალექტური ფორმა, არამედ როგორც მისი

ფამილიარულ-სამეტყველო სტილი, რომელიც უმეტესად ზეპირმეტყველების ფორმით გამოიხატება.

XX საუკუნის II ნახევრიდან ვალონურ დიალექტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების სისტემაშიც. განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, იგი ხდება ფაკულტატური საგანი დაწყებით და საშუალო სკოლებში.

დღესდღეობით ვალონური დიალექტი მოიცავს რომანული ბელგიის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი უმნიშვნელოდ ვრცელდება საფრანგეთშიც, კერძოდ ჟივეს, ფუმეს, რევენის რეგიონებში ნამურულის სახესხვაობით.

## აკაკი ყულიჯანიშვილი

### კომუნიკაციის პოსტმოდერნული თავისებურება

კომუნიკაცია წარმოადგენს თანამედროვე კულტურის უმთავრეს კომპონენტს; მას-მედია კი აზრთა ერთგვარი გენერატორია, მთელი ფაბრიკაა, რომელიც ქმნის ინფორმაციულ საქონელს და გააქვს იგი ბაზარზე. მისი მიზანია შექმნას ეფექტური პროდუქცია, რომელიც გათვლილი იქნება გულუბრყვილო მომხმარებელზე. მედია არის მასაჟი, რომელიც აყალიბებს კონფორმისტულ საზოგადოებას და სწორედ მასაჟის მსგავსად არბილებს მის ცნობიერებას და წარმართავს იმ მიმართულებით, საითაც მას სურს. ინფორმაციის მასებისადმი მიწოდებისას მთავარია არა შინაარსი, არამედ ინფორმაციისადმი ემოციური დამოკიდებულება, ინტონაცია და ტემპი, ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, წარმოადგენს პოსტმოდერნული კულტურის განმსაზღვრელ ნიშნებს.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ყალიბდება ზომბირებულ, ინფორმირებულ მაგრამ არა განათლებულ, ტექნიციზირებულ საზოგადოებად. პრობლემა თვითონ „პოსტმოდერნულად“, წოდებულ ეპოქაშია და არა ცალკეულ ადამიანებში ან საზოგადოებებში, თავად პოსტმოდერნული სამყარო მოითხოვს საზოგადოების ეფექტური მართვისთვის აუცილებელი ისეთი სისტემებისა თუ ტექნოლოგიების ფლობას, რომელთა ფუნქციონირება, თავის მხრივ მილიონობით ადამიანის კოორდინაციას განაპირობებს. პოსტმოდერნს ახასიათებს საზოგადოების პროგრამირების ისეთი ხარისხი, რომელსაც შეუძლია უმაღლეს დონეზე მოახდინოს რესურსების მობილიზება. ამ ეპოქის საზოგადოებისათვის დამახასიათებელია სამი არსებითი ნიშანი: ა) ინდუსტრიული საზოგადოებიდან სერვისულ საზოგადოებაზე გადასვლა; ბ) თეორიული ცოდნის კოდიფიცირების გადამწყვეტი მნიშვნელობა ტექნოლოგიური ინოვაციებისათვის; გ) ინტელექტუალური ტექნოლოგიების ქცევა სისტემური ანალიზის და გადაწყვეტილებების მიღების ძირითად ელემენტად. აქ, ცხადია, ლაპარაკია არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო,

არამედ პოლიტოლოგიურ, სოციოლოგიურ და სხვა შესაბამის ტექნოლოგიებზე. გარკვეული აზრით ყოველი საზოგადოება ემყარებოდა თეორიულ ცოდნას. მაგრამ პოსტინდუსტრიის პირობებში ამგვარი ცოდნა ახალ განზომილებას იძენს. ხდება ტექნიკისა და მეცნიერების ძირეული შერწყმა და მათ საფუძველზე ტექნოლოგიის ფენომენის წარმოშობა. ეს არ ნიშნავს ტექნიკური განვითარების უბრალოდ ახალი დონის მიღწევას, არამედ ინფორმაციული მომსახურების თვისობრივად ახალი ფორმის გამოძებნას.

## ნანა შავთვალაძე

### ლექსიკოგრაფია და ლექსიკის დაუფლების საშუალებები ქართული ენის სწავლებისას

თანამედროვე რეალობაში ენის სწავლებისას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკის ათვისებასა და მის დაუფლებას. ახალი სიტყვები რაც უფრო მარტივად, ადვილად აღსაქმელად იქნება მიწოდებული ენის შემსწავლელისთვის, მით უფრო გაუადვილდება მას მათი დამახსოვრება, აქტიურად გამოყენება და ფუნქციურად მოხმარება. ამიტომაც ჩვენ სწავლებისას მივმართავთ რამდენიმე საშუალებას, რომელთაც თანამიმდევრულად წარმოვადგენთ სახელმძღვანელოში.

ძირითადად ლექსიკური მნიშვნელობები მიეწოდება ამ საშუალებებით:

- ანტონიმური წყვილი: ბევრი – ცოტა...
- ბუდობრივი ლექსიკა: გზა – მგზავრი – მგზავრობა – მგზავრობს – მოგზაური – მოგზაურობა – მოგზაურობს...
- თემატური მნიშვნელობა: წამი – წუთი – საათი – დღე – დილა – საღამო ...
- მიმართულების ფორმები: მიდის – მოდის – გადის...
- სიტყვაქმნადობა: შაბათი – ორშაბათი – სამშაბათი – ოთხშაბათი...
- სიტყვაწარმოება: ფერი – უფერო – ფერიანი – ფერადი – ფერადოვანი...
- აქტიური დიალოგები: კონკრეტულ თემაზე ერთი მარტივი დიალოგის შედგენა და მისი თანდათან სრულყოფა თითოეული ახალი სიტყვის დამატებით. ეს სახელებთან აქტიურად გამოიყენება.
- ლექსიკის სწავლებისას დიალოგის ფორმით წარმოდგენილია თითოეული ზმნა ყველა პირსა და რიცხვში ყოველი ახალი დროის შესწავლისას. ეს ხელოვნურად იქმნება, მაგრამ რეალურ სოციალურ გარემოსთან მიმართებით. სწორედ ამიტომაც ეუფლებიან ინტერესით ამ ტიპის ლექსიკოლოგიურ საშუალებას ჩვენი სტუდენტები.

ამრიგად, ჩვენს სახელმძღვანელოებში ენის შემსწავლელთათვის ამ სახითა და საშუალებებით წარმოჩნდება ლექსიკოგრაფია, მისი მნიშვნელობა და გამოყენება. ეს კი უპირველესია ენის დაუფლებისათვის, ერის მენტალური ხედვისა და კულტურის შესაცნობად.

## მარიამ ჩხარტიშვილი

### დიაოხი: ეთნიკური სტიგმა

ქართველთა ეთნიკური ისტორიის ერთ-ერთი სიუჟეტი არის დაიან/დიაოხი. როგორც ცნობილია, ძველადმოსავლურ წყაროებში ეს ტერმინები მიემართება ქვეყანას, რომელიც ასურელ და ურარტულ მეფეთა თავდასხმის ობიექტი იყო ძვ.წ. XII საუკუნიდან VIII ს ჩათვლით. თავიდან დაიან/დიაოხს ყურადღება მიაქცის როგორც ადრეკლასობრივ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, მაგრამ ქართველმა ისტორიკოსებმა დაიან/დიაოხი დაუკავშირეს ქართველთა ეთნიკურ ისტორიასაც. ამის შედეგად გასული საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებულ დღემდე საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში, საცნობარო ლიტერატურაში, განმაზოგადებელ ნაშრომებში ქართველი ერის ისტორია ფაქტობრივად იწყება დიაოხის ისტორიით. დიაოხი გადაიქცა ქართველთა ისტორიული მახსოვრობის ერთ-ერთ ხატად. მაგრამ რეალურად რამდენად არის დიაოხი დაკავშირებული ქართველი ხალხის ეთნიკურ წარსულთან?

სპეციალისტები გრძნობდნენ, რომ ქართული იდენტობის ისტორიაში დიაოხის ისტორიის კონტექსტუალიზება საჭიროებს მეტ არგუმენტირებას. ამიტომ გასული საუკუნის მიწურულიდან ქვეყნდება ნაშრომები, რომელთა ავტორები ცდილობენ თავიდან დაასაბუთონ უკვე ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად ქცეული დასკვნა დიაოხის ქართული ერის თავგადასავალთან კავშირის თაობაზე. პრობლემას ქმნის მწირი ემპირიული ბაზა და მარქსისტული სოციოლოგიის თეორიული ჩარჩოც, რომელშიც ჩვეულებრივ მიმდინარეობს აღნიშნული სამეცნიერო დისკურსი. მარქსიზმი გვთავაზობს ეთნიკურობის ობიექტივისტურ ინტერპრეტაციას, რაც აღნიშნული ფენომენის მხოლოდ ნაწილობრივ წვდომის საშუალებას იძლევა.

სუბიექტივისტური ინტერპრეტაციით, ეთნიკურობა ნიშნავს სოციალურად განცდად საზღვრებს, მიმართებას და არამარტო და არა იმდენად რეალურ განსხვავებას წარმომავლობასა თუ კულტურაში. ასე გაგებული ეთნიკურობისათვის მთავარი ინდიკატორია *თვითსახელწოდება* და *ეთნიკური რჩეულობის* მითი. სწორედ აღნიშნული ინდიკატორების გათვალისწინებით არის განხილული მოხსენებაში დიაოხის შესახებ არსებული მასალა. კვლევის შედეგად პასუხი დასმულ კითხვაზე დადებითია ანუ ტრადიციული, ოღონდაც არგუმენტირების გზა განსხვავებულია, ისტორიული რეპრეზენტაცია კი ახალი დეტალებითაა გამდიდრებული.

## ნინო ჩიქოვანი

### ტოლერანტობის ცნების დინამიკა საქართველოში

ნაშრომის მიზანია ტოლერანტობის ცნების დინამიკის წარმოდგენა საქართველოში შუა საუკუნეებიდან ნაციონალიზმის ეპოქის ჩათვლით. საკითხი შესწავლილია ისტორიული ნარატივების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც კოლექტიური მეხსიერების კულტურულ ინსტრუმენტებადაა მიჩნეული.

შუა საუკუნეებში მრავალკულტურული გარემო ქართველთათვის ჩვეული რეალობას წარმოადგენდა. თვითიდენტიფიკაცია გაცილებით მოქნილი და ინკლუზიური იყო, ვიდრე მოგვიანებით, ნაციონალიზმის ეპოქაში. არ არსებობდა „უცხო“ მუდმივი კატეგორია, არამედ ასეთად ყოფნა მრავალ სხვადასხვა ფაქტორზე იყო დამოკიდებული. ნაციის, ნაციონალური მიკუთვნებულობის, პატრიოტიზმის ცნებებიც არსებითად განსხვავდებოდა მათი თანამედროვე გაგებისაგან. ის ფაქტი, რომ მულტიკულტურულ მემკვიდრეობას არათუ უარყოფდნენ, არამედ უფრთილდებოდნენ და იცავდნენ, სრულებითაც არ მეტყველებს ქართველთა განსაკუთრებულ ტოლერანტობაზე: ეს იყო ადაპტაციური მექანიზმი მუდმივად ცვალებად ცივილიზაციურ გარემოში არსებობისათვის.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პერიოდია. რუსეთის იმპერიული პოლიტიკის პირისპირ, წარსული – ისტორია – საფრთხის ქვეშ მყოფი ეთნიკური იდენტობის გადარჩენის მთავარ საშუალებად განიხილებოდა. შესაბამისად, სწორედ ამ დროს ჩამოყალიბებული ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფია ეთნოცენტრული იყო. ამავე დროს, მწერლობა, რომელიც, ცარისტული რეჟიმის არსებობის პირობებში, ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მედროშედ გამოდიოდა, თანმიმდევრულად ცდილობდა ყველა ეთნოსის პატივისცემის დამკვიდრებას.

საბჭოთა პერიოდში მკაცრად იდეოლოგიზებული ისტორია პროპაგანდის იარაღად მიიჩნეოდა. ხაზი ესმებოდა ახალი ადამიანის აღზრდისა და ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების მიზანს, რომელიც საბჭოთა ხალხის ძმობასა და მეგობრობას ეფუძნებოდა. ტოლერანტობის იდეა დღის წესრიგში საერთოდ არ იდგა.

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათის შედეგად, საბჭოთა იდენტობამ ვერ შეძლო ლოკალურ იდენტობათა გადაფარვა, რის გამოც ამ ეპოქის დასასრულისათვის ეთნონაციონალიზმი საბჭოთა რესპუბლიკების სატიტულო ერებისათვის უპირობო იდეოლოგიური არჩევანად იქცა.

„პერესტროიკის“ ხანაში ნაციონალური ისტორიისადმი ინტერესი ნაციონალური იდენტობის გამოცოცხლების ნაწილად მოგვევლინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ნაციონალური ისტორია ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების ლეგიტიმაციის წყარო გახდა. ტოლერანტობის ცნებამ ესენციალისტური შინაარსი შეიძინა,



რაც საერთო დამახასიათებელი მოვლენა იყო პოსტ-სოციალიტური სივრცისათვის, კერძოდ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. შემდგომში დაგროვილმა გამოცდილებამ ცნების ამგვარი გაგებისა და ეთნოცენტრიზმის გადალახვის საკითხი წამოჭრა.

საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ XIX საუკუნის ბოლოდან დღემდე ტოლერანტობის ცნების შინაარსმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული წარსულის გააზრებასა და ინტერპრეტაციასთან.

## რუსუდან ცანავა

### არგონავტების მითის ახალი ვერსია ოთარ ჭილაძის რომანში “გზაზე ერთი კაცი მიდიოდა”

მოხსენებაში ყურადღებას ვამახვილებ ე.წ. “კრეტის” ფაქტორზე. საქმე ის არის, რომ არგონავტების ტრადიციულ მითში (და ამ მითის საფუძველზე შექმნილ ლიტერატურულ წყაროებში) კრეტა ნახსენები არ არის. ოთ. ჭილაძემ კი კოლხეთის ფაქტობრივ დამპყრობლად კრეტის ლეგენდარული მეფე მინოსი წარმოადგინა. ჩვენი აზრით, ამ ინოვაციას საფუძვლად უდევს მწერლის მიერ მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად შექმნილი შთაბეჭდილება. როგორც ცნობილია, არქაულ ცივილიზაციათა შორის კრეტას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ კუნძულზე აღმოსავლეთის კულტურული ფასეულობები ახალ მენტალურ ყალიბში მოექცა, რამაც დასაბამი მისცა ელინურ (ევროპულ) აზროვნებას. კრეტა საუკუნეების განმავლობაში იყო მთავარი სახელმწიფო მედიტერანულ სივრცეში. ამ ისტორიული რეალობის გათვალისწინებით ოთარ ჭილაძეს აქცენტი სწორედ კრეტაზე გადააქვს. მითის ტრადიციული ვერსიით, პირველი ბერძნები, რომლებმაც ფეხი დადგეს კოლხეთის მიწაზე, კონტინენტური საბერძნეთიდან იყვნენ – ფრიქსე ბეოტიის ორქომენოსიდან, იასონი – თესალიის იოლკოსიდან. მწერალმა ორივე პერსონაჟი კრეტელი მინოსის ნების აღმსრულებლებად წარმოადგინა. რომანში, ერთი მხრივ, იმსხვრევა არგონავტების მითის ჩვენთვის ცნობილი ვერსია, მეორე მხრივ, ამავე მითის მთავარი სიმბოლოები პირველყოფილი ძალით ზემოქმედებენ მკითხველზე. ასე რომ, ჩვენ თვალწინ იქმნება ახალი მითი ტრადიციული სიმბოლოებით. მინოსი იმპერიული ზრახვებით შეპყრობილი დამპყრობლის ზოგადი ტიპია. ამ კონტექსტის გააქტიურება თვალსაჩინოდ მიუთითებს, რომ მითს აქვს უსაზღვრო შესაძლებლობები – იგი აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს ცხოვრებისეული პარადოქსების გააზრებაში.

მოხსენებაში ყურადღებას ვამახვილებ უხეიროს ოჯახზე. უხეირო ქართული ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟია (აქვე აღვნიშნავ, რომ ამ რომანში ქართული ჯადოსნური ზღაპრის რამდენიმე საყურადღებო მოტივია გააქტიურებული), თუმცა ზღაპრიდან მას

სახელისა და სახელის შესაბამისი უიღბლობის გარდა არაფერი გამოჰყოლია. უხეიროსა და მისი ოჯახის წევრების სახით მწერალი მითის დესაკრალიზაციის (ე.ი. ზღაპრად ქცევის) და უფრო მეტიც, ზღაპრის პაგანიზაციის პროცესს წარმოგვიდგენს. ხეიბარი უხეიროს მიერ მოქარგული ტილო თავისებური სიმბოლოა, რომელიც იტევს მითსაც, ზღაპარსაც და რეალობასაც. თავად უხეირო და მისი ოჯახის ყველა წევრი ბედისწერის მსხვერპლია. მითიდან რეალობაში გადანაცვლებული თხრობა მწერალს საშუალებას აძლევს მკითხველს გაანდოს მთავარი სათქმელი. დამპყრობელი (“ყველაზე დიდი ხელმწიფე”) ქამელეონივით იცვლის სახეს, ცვლის მეთოდებს, მაგრამ არასდროს იტყვის უარს თავის ჩანაფიქრზე, ამიტომ ყველას დიდი სიფრთხილე მართებს – აიეტიდან უხეირომდე.

### თეა ქარჩავა, თეა წითლანაძე

#### ინგლისური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ბალტიკის არეალში XVI საუკუნეში

- ინგლისურ-ბალტიური სავაჭრო ურთიერთობები კვლევას მრავალმა დასავლეთ ევროპელმა, პოლონელმა და რუსმა ავტორებმაც მიუძღვნეს თავიანთი შრომები. ეს რთული დიპლომატიური ისტორია დაიწყო დაახლოებით XV საუკუნიდან, იმ მომენტიდან, რა პერიოდიდანაც ინგლისელებმა მოინდომეს ჰანზის მონოპოლიის დამხობა ბალტიკის არეალში. თუმცა უნდა ითქვას, რომ XVI საუკუნემდე ჰანზა აქ საკმაოდ მყარად აკონტროლებდა თავის პოზიციებს. ინგლისელების წარმატებები მარტო ელიზაბეტის პერიოდიდან არის მნიშვნელოვანი, და 1579 წელს დაარსებული ისტლანდიის კომპანია სწორედ ინგლისური საზღვაო ექსპანსიის ნაწილად უნდა განვიხილოთ, რაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ძვრების შედეგად გახდა შესაძლებელი.

- ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ XV საუკუნეში ინგლისისთვის ბალტიკის ვაჭრობასა და იქაური საქონლის იმპორტს ბევრად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე მომდევნო პერიოდში. რკინის იმპორტის კლება განაპირობებელი იყო სამამულო სამთამადნო წარმოების გაფართოებით, რაც აშკარად გამოვლინდა უკანასკნელი ტიუდორი მმართველის დროს. ამავე პერიოდიდან ინგლისური გემებიც ინგლისური ხე-ტყისგან მზადდება და XVI საუკუნის შუა ხანებში ხე-ტყის კრიზისს დღეს უკვე არასარწმუნოდ მიიჩნევენ. XVI საუკუნეში ინგლისელთათვის ბალტიკის ვაჭრობა, განსხვავებით ჰოლანდიელებისაგან, სულაც არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ აღორძინებას და გაზრდიდა სავაჭრო ფლოტს.

- ძალზედ საინტერესოა ინგლისური ექსპანსიის ცნობილი წამხალისებლის- რიჩარდ ჰაკლუიტის შეფასებები XVI საუკუნის ბოლოს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაგეგმილი მარშუტების შესახებ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ინგლისის სავაჭრო ინტერესების ერთ-ერთი მიმართულება გახლდათ, რის წახალისებასაც იგი ახდენდა თავისი გეოგრაფიული ლიტერატურით. თითქმის მთელი XVI საუკუნის მანძილზე

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისს უკვე გაკვალილი ჰქონდა გზები ლევანტში, ბარბადოსში და ატლანტიკის სივრცეში, მისთვის ჯერ კიდევ ტრადიციულ სავაჭრო კავშირებად რჩებოდა ურთიერთობა ჩრდილოეთ გერმანიასთან, ნიდერლანდებთან და საფრანგეთთან.

## ნინო წულაია

### ქართულ-გერმანული პოლიტიკური რეკლამის შედარებითი ანალიზი

პოლიტიკურ რეკლამას და სლოგანს მუდამ დიდი ადგილი ჰქონდა სახელმწიფოთა და პოლიტიკურ ძალთა ცხოვრებაში. პოლიტიკური ძალები სხვადასხვა ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს იყენებენ თავიანთ სამიზნე აუდიტორიასთან სასაუბროდ, რათა მათ ზემოქმედება მოახდინონ საზოგადოებაზე მათი დარწმუნების და გადაბირების მიზნით.

ქართული პოლიტიკური რეკლამის ტექსტი და შინაარსი ბოლო პერიოდში მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც საინტერესოს ხდის მის ანალიზს ლინგვისტური, სემიოტიკური და კულტურის სპეციფიკის გათვალისწინებით. დასავლური პოლიტიკური კულტურა დიდ გავლენას ახდენს საქართველოზე. შესაბამისად საინტერესოდ გვეჩვენება გერმანული და ქართული პოლიტიკური რეკლამის შედარება და მისი კანონზომიერებებისა და თავისებურებების დადგენა, რაც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ სარეკლამო კომუნიკაციის რაგვარობა პოლიტიკურ ძალასა და ელექტორატს შორის.

პოლიტიკურ სლოგანს, როგორც პოლიტიკური გზავნილის გაგრძელებისა და გამყარების ინსტრუმენტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია პოლიტიკურ რეკლამაში. ის ხშირად ემოციებით არის დატვირთული და ადამიანების გადაბირებას ემსახურება. სლოგანის ენობრივი სტრუქტურა ლაკონური და თავისებურია. მას ხშირად მთელი რიგი არავერბალური ნიშნები და სიმბოლოები ერთვის თან, რომელიც ტექსტის ეფექტურობას და აღქმას ემსახურება.

საკონფერენციო ნაშრომში განხილულია საკითხები, თუ რა ლექსიკურ-სტილისტური საშუალებები გვხვდება ქართულ და გერმანულ სლოგანებში და მთლიანად მთელ სარეკლამო ტექსტში და რა ხერხებით ხდება ტექსტების ემოციებით დატვირთვა, რათა ტექსტის გზავნილი გაძლიერდეს და უფრო ეფექტური გახდეს.

ნაშრომის ემპირიულ ნაწილს წარმოადგენს უახლესი ქართული და გერმანული პოლიტიკური რეკლამის ვერბალური და არავერბალური საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მასობრივ მედიაში. ტექსტური კორპუსის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ის ლექსიკურ-სტილისტური საშუალებები, რომლებიც

დამახასიათებელია ქართული და გერმანული სარეკლომო პოლიტიკური ტექსტებისათვის და როგორ ხორციელდება მათში ემოციების გადმოცემა ვერბალური და სხვა არავერბალური საშუალებების გამოყენებით.

## ციცინო ხვედელიძე

### ზოონიმების მეტაფორული ხმარება, როგორც „სახის“ შელახვის მუქარა

ცნობილია, რომ ნებისმიერი კომუნიკაციის პროცესში არსებობს ურთიერთპატივისცემის, თავაზიანობის, კორექტული ქცევის ნორმები, რომლებიც საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობას განაპირობებს. კორექტული ქცევა თავაზიანობას, პატივისცემას, თვით-კონტროლს და სხვებისთვის ანგარიშის გაწევას ნიშნავს, იმის სურვილს, რომ მოიქცე საზოგადოებაში დამკვიდრებული წესების შესაბამისად მაშინაც კი, თუ ადამიანს ამის სურვილი არ აქვს.

არაკორექტულობა, მეორეს მხრივ, ნიშნავს უხეშობასა და უზრდელობას, ისეთ ქმედებას, რომელიც სდაზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებული ქცევის ნორმების უპატივცემულობას და გულგრილ დამოკიდებულებას ავლენს.

თავაზიანობა, კორექტულობა პრაგმატიკაში გულისხმობს ისეთი ენობრივი ერთეულების არჩევას, რომელიც ადამიანთა მეგობრულ, კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას გამოხატავს. ანუ, როგორც ჰ. ბრაუნი და ს. ლევინსონი აღნიშნავენ, უნდა ვაღიაროთ და ვაჩვენოთ, რომ ვიცით რას ნიშნავს ცნება „სახე“, „საკუთარი იმიჯი“, ისევე როგორც იმ ადამიანის იმიჯი, ვისაც მივმართავთ, რომ საუბრის მონაწილეებმა ანგარიში უნდა გაუწიონ სხვათა გრძნობებს და თავიდან აიცილონ „სახის რღვევა“.

საუბრის პროცესში მნიშვნელოვანი როლის გამო თავაზიანობა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. თუმცა ლინგვისტთა ყურადღების არეალში უკვე ექცევა მისი საწინააღმდეგო ცნება – სიტყვიერი არათავაზიანობა. ამ მხრივ საინტერესოა ჯ. ლიჩის მოსაზრება, რომ თავაზიანობის თეორია იმავდროულად არათავაზიანობის თეორიაცაა. იგი აღნიშნავს, რომ თეორიულ ასპექტში თავაზიანობა ეფუძნება თავაზიანობის ზოგად სტრატეგიას (General Strategy of Politeness) არათავაზიანობა კი ამ სტრატეგიიდან გადახვევას ნიშნავს. ამგვარად, სიტყვიერი არათავაზიანობა ისეთი საკომუნიკაციო სტრატეგიაა, რომელიც „სახეზე“ შეტევის, მასზე თავდასხმისათვის გამოიყენება, რასაც შედეგად მოჰყვება სოციალური კონფლიქტი და დისჰარმონია.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ლექსიკური ერთეულების ერთი ჯგუფი – ზოონიმები, რომელთა ადრესატის მიერ მეტაფორული გამოყენება მიზანმიმართულ სახის

შემახველ, ანტი-სოციალურ სიტყვიერ ქმედებად აღიქმება, რაც ადრესატისათვის ემოციური ტკივილისა და ზიანის მომტანია.

## ქეთევან ხუციშვილი

### სოციალიზაციის ტრადიციები და ინკულტურაციის პროცესები

სოციალიზაცია სიცოცხლის მანძილზე მიღებულ სოციალური გამოცდილებას წარმოადგენს. სოციალიზაციის შესაბამისად ავითარებს თითოეული ინდივიდი პიროვნულ პოტენციალს და სწავლობს საკუთარი კულტურის ნიმუშებს. კულტურული ღირებულებები და ნორმები ერთიანობაში აყალიბებენ მნიშვნელობების ერთიან სიმბოლურ სამყაროს, რომელიც მუდმივად კვლავწარმოებადია და რომლის შეთვისებაც ყოველდღიურ ყოფაში თავისუფლად ორიენტირების საშუალებას აძლევს ადამიანს. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, სოციალიზაციის პროცესების კვლევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია როგორც საზოგადოების ფუნქციონირების ასევე კულტურის გადაცემის მექანიზმების შესწავლისათვის. სოციალიზაციის გზით ხდება თაობათა შორის კულტურული განგრძობითობის დაცვა. სოციალიზაციის მნიშვნელობის გაგებისათვის აუცილებელია სოციალური გამოცდილების მნიშვნელობის გააზრება. სოციალური ურთიერთობები - სოციალური გამოცდილება როგორც ყოველი ინდივიდისთვის, ასევე საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა. პიროვნება სოციალური გარემოდან მიღებული გამოცდილების ინტერნალიზების შედეგად ყალიბდება და განვითარების კვალდაკვალ იზიარებს კულტურულ ნიმუშებს, ხდება კულტურული ერთობის ნაწილი. სოციალიზაცია საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც კულტურული განსხვავებულობის ფართო სპექტრის შესაბამისად სხვადასხვანაირად მიმდინარეობს იმ აგენტების ერთობლიობის წყალობით, რომლებიც აყალიბებენ, მიმართავენ, სტიმულს აძლევენ ან ზღუდავენ პიროვნების ჩამოყალიბებას. სოციალიზაციის აგენტები “გარეშე დამხმარეები” – ადამიანები და ინსტიტუტებია პირველადი და მეორეული სოციალიზაციის შესაბამისად აგენტებიც იყოფა პირველადად და მეორეულად. სოციალიზაცია ერთდროულად მექანიზმიცაა და პროცესიც, რომელიც ნაკლებ ექვემდებარება ხელოვნურ მართვასა და მანიპულირებას. სოციალიზაციის აგენტების მოქმედებაზე დაკვირვება წარმოება დმანისის რაიონში, რომელიც შერჩეულ იქნა ეთნო-კონფესიური მრავალფეროვნების გამო. დმანისის რაიონში სოციალიზაციის პირველად აგენტებთან ერთად აქტიურ აგენტებად გვევლინებიან სკოლები, კულტურული მემკვიდრეობის განვითარების ხელშემწყობი ცენტრი, დრამატული თეატრი, ფოლკლორული ანსამბლი, ყოველთვიური გაზეთი. სოციალიზაციისა და ინკულტურაციის პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ღონისძიებებს. ამ მხრივ დმანისის რაიონი საკმაოდ აქტიურია, ამასთან, სახელმწიფოს და ადგილობრივის გარდა მოქმედებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ყურადღება ექცევა სოციალიზაცია-ინკულტურაციის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს

ჯარისა და ქვეყნისათვის მებრძოლთა პოპულარიზაციას: სხვა ეთნიკური ჯგუფების ქართულ სახელმწიფოში ინეგრაციისათვის მნიშვნელოვანია ინკულტურაციის პროცესის წარმართვა, რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს სახელმწიფო ენა ასრულებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ღონისძიებები რომლებსაც აზერბაიჯანული მოსახლეობა აწყო. მიუხედავად ზემოთქმულისა, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები შედარებით დახურულ საზოგადოებებად ცხოვრობენ, კეთილმეზობლური ურთიერთობების მიუხედავად ეთნო-რელიგიური განსხვავებანი მათ საშუალებას არ იძლევა მოხდეს ეთნიკური უმცირესობების ინკულტურაცია ქართულ საზოგადოებაში. მთელი რიგი პროგრამების მიუხედავად ხელშესახები შედეგი ჯერ არ ჩანს, ამას თან ერთვის ლოკალიზაციის პროცესების თანმდევი ბარიერების გაჩენა.

## ლელა ხაჩიძე

### ასურელი მამები და ქართული სასულიერო მწერლობა

ასურელ მამათა ეპოქალურ მოღვაწეობაში ყურადღებას იმსახურებს მათი მიმართება ძველ ქართულ სასულიერო მწერლობასთან. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქართული სასული- რო პოეზია – ჰიმნოგრაფია იწყება ერთ-ერთი ასურელ მამათაგანის – შიო მღვიმელის საგალობლებით (პ. ინგოროყვა).

ასურელ მამათა მოღვაწეობის ხანის - VI საუკუნის ლიტურგიას გააჩნია გარკვეული თავისებურებები, რომლებიც დადგენილია ცნობილ ლიტურგისტთა მიერ ( ბაუმშტარკი, კეკელიძე, დმიტრიევსკი, ლეები). შიო მღვიმელის საგალობ- ლები, მრავალი ნიშნით, ზუსტად ემთხვევა VI საუკუნის ლიტურგიისათვის დამახასიათებელ ამ თავისებურებებს.

არანაკლებ საინტერესოა იოანე ზედაზნელის, აგრეთვე შიოსა და ევაგრეს “ცხოვრებებში” დაცული “სწავლანი”, რომლებსაც ქართული ჰომილეტიკის სათავეებთან მივყვართ.

ქართული ჰომილეტიკა არაა მდიდარი ორიგინალური ძეგლებით. ამ ვითარე- ბაში ათეულობით უძველესი ქადაგების არსებობა ასურელ მამათა “ცხოვრებებში” მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას.

## ბეჟან ჯავახია

### წმინდა მეფეები და ეროვნული ერთობის ჩამოყალიბების პროცესი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში

შუა საუკუნეებში ერთიანობის აღთქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წმინდანთა კულტს. თავდაპირველად წმინდანთა კულტი აერთიანებდა ქრისტიანებს; ის აერთიანებდა იმ არეალს სადაც წმინდანი მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგში იმ ტაძრის მრევლს, სადაც ესა თუ ის წმინდანი იყო დაკრძალული. წმინდანთა კულტი თანდათანობით უფრო ფართო მასშტაბური ხდებოდა და ეროვნული გამაერთიანებელის სახეს იღებდა

ისტორიაში მითი წმინდა მეფისა და სამეფო წმინდანისა უზრუნველყოფდა მთელი მართველი დინასტიის ხელშეუხებლობას. ხოლო ღვთივკურთხეული სამეფო დინასტია კი ამ სამეფოს ხალხთა გაერთიანების მნიშვნელოვანი საფუძველი იყო. წმინდა მეფეები წარმოდგენილია, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ ევროპულ სამყაროში. ჩეხი და რუს წმინდა მეფეებს ვაცლავს, ბორისს, გლებს ჰყავდათ ანალოგი დასავლეთში, განსაკუთრებით ბრიტანეთსა და სკანდინავიაში, კანონიზირებული სუვერენების სახით, მსგავსად წმინდა ოსვალდის, ეგელბერტის, კნუტის, მაგნუსის და ყველა მათი, ვინც ძალადობრივად იქნენ მოკლულნი და საკუთარი ხალხის მიერ აღიარებულ იყვნენ წმინდანებად. იმის შეფასება, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ კულტს დიდი ხანია გახდა ისტორიკოსების კვლევის ობიექტი. ისტორიკოსისათვის მეტად საინტერესოა თუ რატომ გაჩნდა ეს ნაციონალური სიწმინდე არენაზე და სად და როდის ჩაეყარა საფუძველი. მკვლევარები მიიჩნევენ რომ წმინდანად შერაცხვის ეს მეთოდი ყველაზე სწრაფი, მოსახერხებელი და იოლი გზა იყო საკუთარი დინასტიის ან ეკლესიის ლეგიტიმაციის მისაღწევად. საჭირო იყო მხოლოდ შესაფერისი ადამიანის შერჩევა, რომელიც აღესრულებოდა როგორც წმინდანი. დინასტიური მატვილობა იყო სწრაფი და სათანადო საშუალება X საუკუნის ბოლოდან მფარველის შეძენისა, რომელიც იყო უკვე ნაციონალური ფიგურა და მოკვდა წმინდანის მსგავსად. მსგავსი მაგალითები მრავლად არის წარმოდგენილი ქართულ ჰაგიოგრაფიაში. საქართველოს სამეფო საგვარეულოს რამდენიმე წმინდა მეფე ჰყავს, რომელთა სახელები ქართული იდენტობისთვის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მაგალითად რჩება.

საინტერესოა ჰუმანისტთა მოსაზრებანი წმინდა მეფეთა შესახებ. ენეა სილვიო პიკოლომინო გამოხატავს მის გონებაში დაბადებულ პარალელს: ის აღნიშნავდა რომ, ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც საკუთარ სახელმწიფოს თავს სწირავდა, მისი სიყვარული ხალხისადმი ქრისტეს ხალხისადმი სიყვარულის იმიტირება იყო. მაგრამ მთავრის თავგანწირვა მისი საერო სახელმწიფოსათვის, უფრო პირდაპირ ქრისტეს თავგანწირვას შეესაბამებოდა, მაგრამ სხვა დონეზე: ორივე მათგანმა საკუთარი სიცოცხლე გასწირეს არა მხოლოდ როგორც წევრებმა, არამედ როგორც მათი მისტიური სხეულის თავებმა. აქ, გარკვეული არსით არის სულიერი და საერო მისტიური სხეულის ღვთიური

მეთაურისა და მისი სამეფო მეთაურის პარალელიზმი. ღვთიური ტრანსცენდენტალური ერთობისადმი და ამქვეყნიური მორალური თუ პოლიტიკური ერთობისადმი, საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა გარკვეულ დასკვნებამდე მიდის: მთავრის თავგანწირვა ისევე იყო სახელმწიფოზე ორიენტირებული, როგორც ქრისტესი.

## ელენე ჯაველიძე

### სიკვდილის აპოლოგეტიკა აჰმედ ჰაშიმისა და იაჰია ქემალის ლირიკაში

აჰმედ ჰაშიმი და იაჰია ქემალი XX საუკუნის დასაწყისის თურქული მწერლობის ორი გამორჩეული, იდუმალების შარავანდედით მოსილი ფიგურაა. ორივე პოეტი შესანიშნავად იცნობდა როგორც აღმოსავლურ დივანის ლიტერატურას, ასევე დასავლურ მწერლობასა და ფილოსოფიას. ამ მწერალთა მხატვრული ხედვისა და წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე სიმბოლიზმის იდეალისტურმა მსოფლმხედველობამ უდიდესი ზეგავლენა იქონია. ამ ფაქტს გარკვეული ყურადღება დაეთმო თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა პოეტთა შემოქმედების შესწავლა არ წარმოებს სიმბოლიზმის საერთო ესთეტიკისა და მხატვრული პრინციპების სერიოზული შესწავლის დონეზე. სწორედ აქედან მომდინარეობს თურქული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ დაშვებული ის უზუსტობა და ხარვეზები, რომელიც თვალშისაცემია “ყველაზე მეტად შესწავლილ” პოეტთა შემოქმედებისადმი მიძღვნილ კვლევებში.

აჰმედ ჰაშიმისა და იაჰია ქემალის ლირიკაში სიმბოლიზმისთვის უმნიშვნელოვანესი “ბოროტი” დროებისგან განთავისუფლების და სიკვდილის “თავისუფლებაში” ჩაღრმავების მოთხოვნილება მოჩანს. იმანენტური გარემოდან გაუცხოება, სიკვდილში თავისუფლების ძიების სურვილი სიმბოლიზმის უმნიშვნელოვანესი კონსტანტაა. სიკვდილის ტრანსცენდენტური, შეუცნობადი საზღვრების ფიქსაცია აჰმედ ჰაშიმისა და იაჰია ქემალის პოეტური მისტიკისთვის დამახასიათებელ სენსიტივობას აყალიბებს. სიცოცხლის გააზრება, როგორც ნაღვლიანი, ტრაგიკული მოვლენისა, სიკვდილის ბარიერის გადალახვის მოთხოვნილება და მარადისობის სივრცეში გადასვლისაკენ სწრაფვა ორივე პოეტის შემოქმედებითი იმაგინაციისათვის ბუნებრივ კომპონენტს წარმოადგენს.



## მანანა ჯავახიშვილი

### ქრისტიანთა და ებრაელთა ურთიერთობის თავისებურებანი შუა საუკუნეების ევროპაში

დასავლეთ ევროპაში ებრაელთა დიასპორის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული შუა საუკუნეების საზოგადოების კონსოლიდაციის მნიშვნელოვან მომენტებთან. შუა საუკუნეების ევროპულ სივრცეში გაერთიანების იდეა კონფესიურ ერთობასთან იყო ასოცირებული, ხოლო ასეთი მომენტები იყო, მაგალითად, ქრისტიანიზაციის პროცესი ევროპაში, რომელიც X–XI სს-ში დასრულდა, ჯვაროსნული ლაშქრობები, ინკვიზიციის ჩამოყალიბება, ასევე შუა საუკუნეობრივი სახელმწიფოების გაერთიანება სამეფო ხელისუფლების ეგიდით.

ევროპაში ებრაელთა თემები ქრისტიანებისგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ და განსაკუთრებულ, მათთვის დამახასიათებელ წესებს, კანონებს მისდევდნენ. ისინი, გარკვეულწილად, ქრისტიანული საზოგადოების მარგინალური წევრები იყვნენ. შუა საუკუნეების ევროპაში მრავლად გვხვდება ებრაელთა დევნისა და განადგურების ფაქტებიც. საბოლოოდ ებრაელთა სამართლებრივი სტატუსის ჩამოყალიბება X-XI სს-ში ევროპის ქრისტიანიზაციის პროცესის დასრულებასა და თეოლოგიური კონცეფციების ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

შუა საუკუნეობრივი სამართლის მიხედვით, ებრაელებს “სამეფო სერვებად” – *servi camerae regis* – განიხილავდნენ, ხოლო XIII საუკუნიდან ისინი ადგილობრივი ხელისუფლების “კუთვნილებად” იქცნენ. ებრაელები სპეციალურ ნიშნებს ატარებდნენ: ყვითელ ვარსკვლავს ან ბორბალს ტანსაცმელზე. ამგვარი გარეგნული ნიშნებით ისინი განსხვავდებოდნენ ქრისტიანთაგან, ამავე დროს ეს ნიშნები მათი სოციალური სტატუსის გამომხატველი იყო. მეორე მხრივ, ქრისტიანი მონარქები ეხმარებოდნენ ებრაელებს, რადგან ქრისტიან მეფეებსა და დიდებულებს ებრაელებისგან ფულადი დახმარება ესაჭიროებოდათ სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობის განსახორციელებლად. ამგვარად, ქრისტიანული საზოგადოების დამოკიდებულება ებრაელთა მიმართ არაერთგვაროვანი იყო.

ზოგიერთი ქრისტიანი თეოლოგი და ასევე, იმ დროის ქრისტიანული საზოგადოების დიდი ნაწილი ებრაელებს ქრისტეს მკვლელად აღიქვამდა, ხალხად, რომელმაც არ აღიარა ჭეშმარიტი მესია. ებრაელებს ასევე აბრალებდნენ ჭების მოწამლვას შავი ჭირის პერიოდში და ქრისტიანი ჩვილების მკვლელობას მათი უცოდველი სისხლის საკუთარ რელიგიურ რიტუალებში გამოყენების მიზნით.

შუა საუკუნეების საზოგადოება და ქრისტიანული ეკლესია ებრაელებს “უცხოებად” მიიჩნევდა, რელიგიური ნიშნით გამოარჩევდა და მათ ერეტიკოსებად, სქიზმატიკოსებად, სხვა რელიგიის წარმომადგენლებად განიხილავდა. თუ მაჰმადიანების ქრისტიანული ქვეყნების გარეთ ცხოვრობდნენ და იყვნენ შორეული “მტრები/უცხოები”, ებრაელები

კათოლიკურ ქვეყნებში ცხოვრობდნენ და შინაურ “მტრებად” მიიჩნეოდნენ. შესაბამისად, ქრისტიანული საზოგადოება ცდილობდა მათ იზოლირებას როგორც სოციალური, ისე კანონიერი ველიდან, მიმდინარეობდა ებრაელთა გაუცხოების პოლიტიკა.

## ნატა ჯანელიძე

### სომატური ფრაზეოლოგია თარგმანმცოდნეობის კონტექსტში

თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი. ენისა და აზროვნების დიალექტური ერთიანობა და ენის უნარი აზრის გარდასახვისა, თარგმანის საფუძველს წარმოადგენს. ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვაგვარი სემანტიკური ტევადობა, სიტყვების განსხვავებული კომბინატორული ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების თავისებური კანონები, თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასემიოტიკური საფუძველი, თარგმანის გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ მთარგმნელს დედნის ენის “ენობრივი კომპეტენცია” ეხმარება რეალური სიტუაციის, იმ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გაგებას, რომელსაც ესა თუ ის ტექსტი ეყრდნობა, ეს კი თავის მხრივ, ობიექტური ფაქტების ცოდნას ემყარება და კონკრეტულ სათარგმნ ნაწარმოებთან ერთად ნათელ, გასაგებ სურათს ქმნის.

თარგმანში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტილის ექვივალენტობის და სტილისტური ინვარიანტის შექმნის პრობლემა. სათარგმნი არის არა ცალკეული სიტყვები, ან თუნდაც წინადადებები, არამედ მთელი ტექსტი და თარგმანის ტექსტების ურთიერთმიმართება.

ბილინგვალურმა და ინტერლინგვალურმა კვლევამ, როგორც მეცნიერების დარგმა, შეპირისპირების მეთოდზე დაყრდნობით, ევოლუცია განიცადა და ის დღეს ტრიადის სახით არის წარმოდგენილი: “ტიპოლოგია-კონტრასტულ/კონტაქტური ლინგვისტიკა – თარგმანის თეორია”.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს განიხილოს ფრაზეოლოგიის რიცხობრივად ყველაზე უფრო კონვექსური სეგმენტის “სომატური” ფრაზეოლოგიის თარგმნის საკითხი, რაც ქვეცნობიერად თუ იმპლაციტურად, ეფუძნება მარტივ ფორმულას: აადამიანი vs სამყარო (“Mensch vs Universum”). მეცნიერთა უმეტესობა საკვლევ ობიექტად სწორედ ამ სეგმენტს ირჩევს მონათესავე თუ არამონათესავე ენათა შეპირისპირებისას, რადგანაც სწორედ ეს სეგმენტი გამოირჩევა სტრუქტურულ-სემანტიკური კონვერგენციით.

ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ჰომოგენურობა და კონსტანტურობა ლიტერატურის მეტაენის საშუალებით კაცობრიობას ერთი ნიშნით აერთიანებს და ე.წ. "უნივერსალურ" განზომილებათა არსებობას გულისხმობს.

## დემურ ჯალაღონია

### ადამიანის ეპოქალური დეფინიციები და ზნეობის მოდელები

განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და ცხოვრების მაღალ დონესთან გვაქვს საქმე, ადამიანთა დიდი ნაწილი ცხოვრების საზრისის დაკარგვამდე, ზნეობრივ გადაგვარებამდე მივიდა, რასაც ფონად ქრისტიანული სულიერი დაქვეითება უდევს. გავიხსენოთ ბიბლიიდან, „მოველოდე კეთილსა და აჰა ესერა, შემემთხვენეს მე დღენი ბოროტნი.“ მიმდინარე კოსმიურ და სოციალურ პროცესებში დაისმის საკითხი ადამიანის ბედის, ადამიანის ზნეობის, ადამიანის არსის და მთელი ცხოვრების დეჰუმანიზაციის შესახებ. მაშინ ჩვენ გარდუვლად მივიღებთ რელიგიურ პრობლემებს. ადამიანი არის ყოფიერების ყველაზე დიდი საიდუმლო. ის ყველა ხორციელ ქმნილებაზე მაღლა დგას, რადგან გააჩნია გონება, ღირსება და რაც მთავარია თავისუფალი ნება. ადამიანის არსების გასაგებად ჩვევლებრივ ირჩევენ ორ გზას: ეს გზა დაბლიდან მაღლა-ცხოველიდან ადამიანისაკენ, ან მაღლიდან დაბლა-ღმერთიდან ადამიანისაკენ. თითქმის ყველა ეპოქაში არსებობს ადამიანის დეფინიცია, რომელიც ქმნის ეპოქალურ მსოფლმხედველობას.

შეღერი როდესაც სვამს საკითხს, რა არის ადამიანი? იქვე აღნიშნავს, ამ დროს სამი ერთდროულად განსხვავებული იდეა გახსენდება. პირველი არის ბიბლიური იდეა ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად. მეორე, ადამიანის ფილოსოფიური იდეა. ამ იდეის მიხედვით ადამიანი არის „გონებით დაჯილდოვებული ცოცხალი არსება“-animal rationale და მესამე ადამიანი წარმოიშვა ბუნების ევოლუციის გარკვეულ საფეხურზე და არის განვითარებული ცხოველი. იგი არის „იარაღის მკეთებელი ცხოველი“ და „მწარმოებელი ადამიანი“ „Homo faber“. ქრისტიანობა ხედავს ადამიანში ორ თვალში საცემ არსობრივ შტრიხს: ადამიანი არის ღმერთის ხატი და მსგავსი „ვქმნი კაცი ჩვენს ხატად და მსგავსად“. მაგრამ ამავე დროს ადამიანის ქრისტიანული გაგება ხაზს უსვამს მის დაცემულობას, შეცოდებას, სასრულობას... ქრისტიანობაში მუდამ მხედველობის არეშია ადამიანის ნეგატიური და პოზიტიური გაგება.

განსაკუთრებით ახალი დროიდან მოყოლებული ცოდვით დაცემული ადამიანის არსებით მახასიათებელ დეფინიციებს ვღებულობთ. რომელი დეფინიციაც ასე თუ ისე

ასახავს ეპოქალურ სააზროვნო სიტუაციას. ამავე დროს ეპოქალური სააზროვნო არეალი ქმნის ზნეობის თავისებურ მოდელს. თუ გავანალიზებთ დეფინიციებს homo sapiens-იდან დაწყებული homo faber-ით დამთავრებული, ვნახავთ რომ ადამიანის მთავარი დეფინიცია, როგორც „ღვთის ხატი” შუა საუკუნეების შემდგომ თითქმის დავიწყებულიც კი იქნა.

ბუნებრივია, ადამიანის არსების გაგების საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია არ არსებობს. თეოლოგიური, ფილოსოფიური და ბუნებისმეტყველების ანთროპოლოგები არ ინტერესდებიან ერთმანეთით. რჩება ერთადერთი გზა ადამიანის ბუნებაში შესაღწევად, ეს არის რელიგია (ქრისტიანობა), რადგან ადამიანი განიხილება ორგვარი ბუნებით: შეცოდებამდე და შეცოდების შემდეგ. ადამიანი

მუდამ ესწრაფვის სამყაროს შუაგულად მიიჩნიოს ის ვიწრო წრე, რომელშიაც თვითონ ცხოვრობს, წუთისოფელში და სამყაროს მასშტაბად აქციოს თავისი პირადი ცხოვრება (კასირერი). ამ შემთხვევაში მთელი ადამიანის არსების დეფინიცია შეიძლება animal rationale-თი განისაზღვროს. მაგრამ განზე რჩება similitudo Dei (ღვთის ხატი). ადამიანი არ არის მარტო homo sapiens, არც homo faber-ი, არც animal rationale, არც zoon politikon.

ბუნებრივია ეს დეფინიციები არ ამოწურავს ადამიანის არსებას. თუ არ წარმოვაჩინოთ ადამიანს, როგორც „ღვთის ხატს” და „მსგავს” ადამიანს, როგორც მორწმუნე არსებას, რომელიც მისი უმთავრესი დეფინიცია გახლავთ. სხვანაირად ადამიანი ყოველთვის ცალმხრივად იქნება განხილული და ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ თუ რა არის ადამიანი.

თუ არ მოხდა რწმენით დაკარგული საუნჯისაკენ სწრაფვა, ადამიანური დეფინიციები ყოველთვის ცალმხრივი იქნება. ადამიანი, როდესაც უკავშირდება სინამდვილეს, ის ქმნის „სამყაროს”. მისმა ენამ კუთვნილი უნდა მიაგოს ფენომენს. იქმნება სამყაროს მისეული გაგება და ყალიბდება ადამიანის არსის დეფინიცია, რომელიც ეპოქის განმსაზღვრელია. შეიძლება პირიქით იყოს. ეპოქალური მდგომარეობა განსაზღვრავდეს ადამიანის არსის დეფინიციას. ასევე ეპოქალურ ზნეობრივ პრინციპებს და მოდელს.

რას ვართ მოკლებული ადამიანები ამ დროს? მსოფლმხედველობა მოიცავს თუ არა ყველა განზომილებას? როგორ გავიგოთ მე და სამყარო და მე ამ სამყაროში? საკითხთა ურთულესი წრე იკვეთება, რომელიც ორბუნებოვნებით ხასიათდება. ამიტომ უნდა მოხდეს ადამიანის არსების დეფინიციების გააზრება- ადამიანის როგორც „ღვთის ხატთან” მიმართებაში.

## მაია ჯავახაძე

### ქართული და იტალიური სომატური ფრაზეოლოგიის სემანტიკური ანალიზისათვის

1. ლინგვოკულტუროლოგია ენისა და კულტურის ურთიერთკავშირს, ურთიერთ-მიმართებას შეისწავლის. ეს კავშირი პირველ რიგში ეთნიკური მენტალიტეტის ენობრივ გამოხატვაში ვლინდება.

ლინგვოკულტუროლოგია იკვლევს ენას ადამიანთან ძალიან მჭიდრო კავშირში – როგორც ანთროპოლოგიურ ფენომენს. თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები ოპერირებენ ისეთი სპეციფიური ცნებებით, როგორცაა: “ცნობიერება”, “მენტალიტეტი”, “სამყაროს სურათი”, “სამყაროს ენობრივი სურათი”, “ენობრივი პიროვნება”, “ენობრივი ცნობიერება” და სხვ.;

2. ლინგვოკულტუროლოგიური კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფრაზეოლოგიის კონტრასტული კვლევა. ამ კვლევების მიზანია ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიზმების ეთნიკური თუ ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გამოვლენა, რომელიც სამყაროს “ნაივური” სურათის ფონზე წარმოჩინდება. ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფ.ე.) უმრავლესობას ახასიათებს კულტურულ-ენობრივი თავისებურება. ფ.ე.-ის კულტურული სპეციფიკა განისაზღვრება მისი მიმართებით მოცემული საზოგადოების მატერიალურ თუ კულტურულ ელემენტებთან, მის ისტორიასთან, რწმენებთან, ჩვევებთან რომელშიც ეს ხალხი ცხოვრობს.

3. იტალიურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ კორპუსში დიდი ადგილი უკავია სომატური ტერმინების შემცველ ფრაზეოლოგიას. ანთროპოცენტრულობის პრინციპიდან გამომდინარე ცნობილია, რომ სამყაროს ენობრივ სურათში, როგორც ადამიანის შინაგანი, ისე მის ირგვლივ არსებული სამყაროს მოდელირება ხდება ადამიანის ფიზიკური სხეულის, მისი მახასიათებლების, მისი ფიზიკური გამოცდილების მიხედვით.

4. იტალიური და ქართული სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულების კონტრასტულმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ამ ტიპის იდიომების წარმოქმნის პროცესი ყველაზე ხშირად მიმდინარეობს როგორც მეტაფორიზაცია – მოსაუბრე, გამოდის რა რაღაც ნომინატიური ჩანაფიქრიდან აღნიშნოს ჯერ უსახელო საგანი, თვისება, პროცესი, მდგომარეობა და ა.შ. მიმართავს რაღაცით მსგავს, მაგრამ ენაში უკვე დასახელებულ რეალიას.

კვლევის შედეგად ორივე ენაში დადასტურდა მეტაფორისა თუ მეტონიმის საფუძველზე შექმნილი ერთნაირი სემანტიკური ჯგუფები, მაგ., მეტონიმია:

ა) სხეულისმიერი მოვლენა ან მოქმედება, რომელიც თან ახლავს მოვლენას ან ქმედებას, ნაცვლად თავად ამ მოვლენისა ან მოქმედებისა:

ქართ.: ფეხების გაჭიმვა - სიკვდილი

იტალ.: allargare gli stinchi – morire

ბ) ემოციის ფიზიოლოგიური ეფექტი თავად ემოციის ნაცვლად:

ქართ: თმების ყალყზე დადგომა – შიშისაგან, გაკვირვებისაგან

იტალ.: Drizzarsi i capelli in testa

მეტაფორა:

ა) ძლიერი ემოცია როგორც სიმხურვალე:

ქართ.: თვალებიდან ნაპერწკლებს ყრის – ბრაზისაგან

იტალ.: mandare/schizzare fuoco/fiamma dagli occhi

ქართ.: ცხელ გულზე რადაცის ჩადენა და ა.შ.

ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ორივე ენაში ამ ტიპის იდიომატური გამოთქმების შექმნის საფუძველს ანთროპომეტრულობის პრინციპი წარმოადგენს.